


133

1915



133
1915

ქართველი სამართლებრივი კუთხე

გ ი ნ დ ა რ ხ ი.

1. საზოგადოების სულთანი განწყობილება.
2. ცხოვრება და ერობა.
3. წოდება და ერობა.
4. საერობო კინონების განხილვა.
5. 1890 წლ. საერობო კანონი.
6. ახალი ხანა ერობის ცხოვრებაში.
7. ჩერნი ცხოვრება და ერობა.
8. ჩერნი ერობა.
9. მეფის მოადგილეს საერობო ცირკულიარი
10. ერობა და დასელები
11. ერობა და საზოგადოებრივი ბრძოლა.
12. ერობა თუ კოოპერაცია?

ტფილისი

ს რ ა მ ბ ა „ შ რ თ მ ა “ მ უ ხ რ ა ნ ი ს ქ უ ჩ ა ,
1915 წ.

III. ლ ღ მ წ ॥.

საქართველოს სახ. წიგნის კა
ნონი 1942 წ.

1 000

Nº 133

მარტ 1-112 ლ.

შ ი ნ ა პ ა რ ს ი.

1. საზოგ ადოების სული-
ერი განწყობილება.
2. ცხოვრება და ერობა.
3. წოდება და ერობა.
4. საერობო კანონების
განხილვა.
5. 1890 წლ. საერობო
კანონი.
6. ახალი ხანა ერობის
ცხოვრებაში.
7. ჩვენი ცხოვრება და
ერობა.
8. ჩვენი ერობა.
9. მეფის მოადგილეს საე-
რობო ცირკულიარი
10. ერობა და დასელები.
11. ერობა და საზოგა-
დოებრივი ბრძოლა.
12. ერობა თუ კომპე-
რაცია?

ტ ფ ი ლ ი ხ ი

სტამბა „შრომა“ მუხრანის ქუჩა.

1915 წ.

ეროვნული საქართველოში

1

ხაზოგადოების ხულიერი
განწყობილება.

ომის პირველ ხანას ქართული პრე-
სა ფხიზლად შეხვდა. მთელი საზოგა-
დოება გაიშეცვალა გრძნობით: თანა-
მედროვე ომი ძირ-ფესვიანად შეარ-
ყვეს არსებულ მდგომარეობას: ეკონო-
მიკურს, სოციალურს, პოლიტიკურს.
დიდ გავლენას მოახდენს აზროვნება-
ზე, ნიადაგს შეუმზადებს ახალ ხასია-
თის საერთაშორისო განწყობილებას
და სხვ. ერთი სიტყვით, დიდი იყო
ომის გავლენა. იმას ვგრძნობდით. ეს
ომის დიდი საბუთი იყო, რომ დიდი
იქნებოდა ომის ნაყოფი. ეს აზრი მარ-
თალი იყო, მართალია ესლაც. შეი-
ძლება ზოგს ეს ომი ხანმოკლედ მია-
ჩნდა, ამიტომ მისი შედევის, ნაყოფის
მოღებასაც ჩქარობდა. ომი რომ ხან-
გრძლივი გამოდგა ეს სრულიად არ
ნიშნავს იმას, რომ გაქარწყლდება მი-
სი გავლენა ცხოვრებაზე. პირიქით,
ომი სახალხო ხდება. ცხადია სა-
ზოგადოებრივ ნებას, ხალხის სურვილს
მეტი ძალა ეძლევა, მეტი საშუალება,
რომ გაანალიზოს სულისა და გულის
ხრახვანი. ამნაორად, ომის გავლენა კი-

დევ უფრო მეტი ცხოვრებაზე, უფრო ძირითადი, საფუძვლიანი, ლრმა და ფართე იქნება ის ცელილება, რომელსაც ომი გამოიწვევს.

ვინც ომს სერიოზულად უყურებდა ის ფართედ აუენებდა პოლიტიკურ საკითხებზე. რაულია მომენტი, დიდ სახელმწიფოების ცხოვრება სასწორზეა ვატანილა და ცხადია პოლიტიკურ თანახესათვის შეუძლებელი იყო ჰორიზონტის შეზღუდვა, დიდ იმედების ნამციცებებზე გადახურდავება.

ასეთი დადი იმედით იყო აღჭურებილი ქართველ ხალხის ის ნაწილი, რომელიც პოლიტიკური ცხოვრებით არსებობს. მარტივად: რა ფორმაში გამოიხატებოდა პოლიტიკური ცელილება, განწყობილება, კონიუნკტურა? ამ საკითხის გაჩვევა შეუძლებელი იყო, რამდენადმე შეუძლებელია ეხლაც დიდი თბილი ბურუსსაც ჰქმნის ხოლმე. არა მარტო ბრძოლის ველზე, აზროვნების სარბიელზედაც. ამიტომ მხოლოდ წინასწარმეტყველება იქნებოდა კონკრეტულად რისიე თქმა. ასე იყო საერთოდ: დიდი ცელილება მოხდება. და რაკი ისტორიული ტრადიცია—ცელილება დემოკრატიისა და ერების განთავისუფლების სასარჯებლოდ, ჩევენს მსჯელობასაც, იმედსაც ისტორიული და ლოლიკური საფუძველი ჰქონდა, ეხლაც იქვე, რომ ერთ უფლებას მიიღებს, დემოკრატია წელს იღლებს, გაიმარჯვებს. ასე ვფიქრობდ თ, ეხლაც ასე ვფიქრობთ. მაგრამ, რამდენ დაც გხანგაძლიერდა ომი, რამდენიადც იჩედი მომავლის წილში გა-

დაიდეა, იმდენადვე განელდა ცნტერა-
 სიც, საზოგადოების პოლიტიკური
 გრძნობაც დაჩრუნგდა...

მეორეს მხრივ ფრიად საყურადღე-
 ბო შეიქმნა ეს ომი. კინც თმისა-
 ვან დიდ რამეს მოელოდა, მი-
 სი იმედი თმის მსვლელობამ გააორ-
 ეცა. მეტი სიმაგრე მიანიჭა მის
 აზროვნებას. თუ ჩვენ დიდ ცელი-
 ლებებს თმის შედეგად მოველოდით
 მხოლოდ, ეხლა აშეარაა: თვით თმის
 პროცესში, თმის დროსაც შესაძლებე-
 ლი ხდება დიდი პოლიტიკური და
 აღმინისტრატიული ცეცილებები. ჯერ-
 ჯერობით ამ ცელილებასაც ზემოდ
 აღნუსხულ ტენდენციის ხასიათი აქვს.
 რუსეთში მაგ., ებრაელების უფლების
 აღდგენაზე ლაპარაკობენ. საზინისტრო-
 ში დიდი ცელილებები მოხდა, ხდება
 კიდევ, ხოლო ვაჭრობა-მრეწველობის
 ყრილობა ერთხმად ადგენს—ამნიხტი-
 ას. იქვეუნებენ კანონ-პროექტს შემო-
 სავლის კვალობაზე გადასახადის შე-
 მოლების შესახებ.

ჯერ-ჯერობით, თმის პროცესში და
 ჩვენი საზოგადოების პოლიტიკური ყუ-
 რადღებით ოდნავ შესუსტების დროს
 მეტის სიმწვავით წარმოსდგა ჩვენი
 ცხოვრების წინაშე—ერთბის საკითხი.
 ერთბის საკითხმა ერთი აურ-ზაური
 გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში. ზაგ-
 რამ ის აურ-ზაური ნათლად მოწმობს:
 ნაწილი ჩვენი საზოგადოებისა ფრიად
 მოღლილა, იმედი უკეთესი მომავლისა
 წარკვეთია და მზად არის ყველაფერი
 დავიწყებას მცხუქს, ოღონდ ნაფოტებს
 წაავლოს ხელი. ერთბა ნაფოტია იმ

იდეალთან, შედარებით, რომელსაც
ჩვენ უმსახურებით, ის მხოლოდ ელე-
მენტია იმ წყობილების, რომლის შე-
მოლებას მოვითხოვთ, საერთოდ ის
დიდი პოლიატიკია ამ ეამაღ და მისი
მნიშვნელობის დაფასებაც მიუდგომ-
ლად უნდა მოხდეს.

ერობის საკითხმა უკვე სათანადო
დოფერენციალურია მთაბდინა ჩვენს სა-
ზოგადოებაში. ჯერ კიდევ არ განხორ-
ციელებულა იგი, წარმოიდგინეთ, კა-
ნონ-პროექტიც არაა აღძრული, საკა-
ნონმდებლო დაწესებულებაში შეტანი-
ლი და ჩვენი საზოგადოება რამდენიმე
ჯგუფად გაიყო. ეს იმიტომ, რომ ერო-
ბის საკითხი ეხლა პრაქტიკული სიკი-
თხია და მის შემოლებას ყველა შოე-
ლის. ამი ჭომაა, ბევრს ის ერობაც აკ-
მაყოფილებს, რომელიც ჩუსეთშია ეხ-
ლა, 1890 წლის დებულების თანახმად
რომ მოქმედებს. ბევრთათვის მეტი
აღარაფერია საჭირო, მთელი „პოლი-
ტიკური“ საკითხიც გადაჭრილია. გა-
უმჯობესობის მხრივ მცირე შესწორე-
ბა შეტანეთ 1890 წლის დებულება-
ში, შესცვალეთ შემავიწროვებელი კა-
ნონები 1899, 1900, 1902 წლების და
კიდევ მეტი ნაწილი ჩვენი საზოგადო-
ებისა ნეტარებას მიეცემა, მისი პოლი-
ტიკური არსება კონსერვატიულ გრძნო-
ბით ვარელინთება. ეს ჩვენთვის ეხლა
ნათელია. რამდენიმე კრებამ ტფილის-
მი—ეს დაამტკიცა. ესრულ წოდებულ
დაწესებულებათა საზოგადოების რა-
დიკალიზმი—ფუჭი გამოდგა. არავითა-
რი ლრმა და ფართე ინტერესი მათში
არ არსებობს. პოლიატიკი შეი აქმა-

ყოფილებს, ნამცეცი, ნაფოტი — მათი იდეალია. ოლონდ ჩალაკა და მორჩია — გათავდა. ჩეენში პოლიტიკური ლიბერალიზმიც არ არსებობს. რესის ვაჭრებისა და მემამულების ვამბედაობა, უკეთ, პოლიტიკური ვამჭრიახობაც არ არის. ჩეენი საზოგადოების ასეთი დაცემული სულიერი განწყობილება ფრიად სავალალოა. სწორედ რომ დაჩაგრულ ერთს ძალები უნდა აძლევდეს ტონს სახელმწიფოს სხვა ძალებს, ჩეენში კი საღი და მტკიცი აზროვნებაც დაბშული და მოსპობილია.

ასეთია მდგომარეობა. დაუძლულიდა საზოგადოება. დახურულავდა მისი მოთხოვნილება. მაგრამ თუ ასეთი ცვლილება დაეტყო საზოგადოების ერთ ნაწილს, უმთავრესად შეძლებულ და გავლენიან წრეებს, სამაგიეროდ ხალხის ფართე წრეების, დიდი საზოგადოებრივი ჯგუფების მოვალეობაა კიდევ მეტის გატაცებით დაიჭიროს საზოგადოების დროშა თავის სიმაღლეზე, რომ შეუბლალველად გასწიოს იგი უკეთეს, დიდ, სანეტარო მომავლისაკენ.

რა ხასიათისაა ჩეენი დამოკიდებულება ერობისადმი? რა უნდა ვქმნათ ჩვენ? უარყოთ იგი როგორც პალიარივი უმაღლესი მიზნების სასაჩვებლოდ? განკუნებულად მსჯელობა აქ შეუძლებელია. ჩეენთვის არ არსებობს მოთხოვნა ერთი წყობილების და უარყოფა მეორის. ჩეენი აზროვნების სისტემა ერთვნული თეიომიმართველობაა და ერობა სრულიადაც არ უარყოფს, არც აუსებს, რომ ერობით ერთვნულ თვით-

შმართველობის საკითხს ვახურლავებდეთ. ჩვენ გვწატი: ერის ზრახვები ფართეა, ერობაზე ულტიმეტია, მაგრამ შეუძლებელია დაეიცვიტყოთ: ერობა ხაჭირთა როვორც ადმინისტრატიული ერთეული, ორგანიზაცია. ერის ზრახვა ადმინისტრატიულიც არის და უფლებრივ პოლიტიკურიც, ეკონომიკურიც. ეს ერთი მოვლენის ორი მხარეა, რომელიც ერთი-მეორეს ასრულებს, მიღიანდ ჰქმნის ჩვენს ეროვნულ ცხოვრებას. ჩვენს დაროშას ორივე ეს მხარე იწერია და ამიტომ ერობის აზრის ქადაგება, მისი წამოყენება, ვანმარტება — ჩვენი მოვალეობაა.

ამნაირად, ერობას ჩვენ არ ვაუჩით, პირიქით, მისთვის უნდა ვიმუშავოთ. თვით ისეთ დროში, როვორც დღევანდელი მისი დროა.

ეხლა კი ერობაზე უნდა ჩამოვაგდოთ საუბარი. ერობაზე ქართულს მწერლობაში ადრეც. უწერიათ, ეხლაც იწერება. მაგრამ კვლავ საჭიროდ, აუკითლებელ საჭიროდ მიგვაჩნია კრდევ ბევრი რამ დაიწეროს. ბევრი წერა საკითხების გარკვევის კიდევ არ ნიშნავს. კატეკვმა ძლიერ ბევრი წერა ერობაზე, მაგრამ ერობის საკითხი ვანათების ნაცვლად არივ-დარია, ბურუსში გაიხვია. ერობის შესახებ ეხლა მით უფროთ საჭირო ლაპარაკი, რაღაც ერობის კომპეტენციის საკითხი თან და თან ფართე ხასიათს რეგბის, ხოლო ეროვნულ სამეფოებში მისი უფ-

ლება-მოვალეობა, მუშაობის წეს-რიგი ეხლაც ბუნდოვანია.

რა მოსაზრებით, უკით თვალ-საზრი-სით, უნდა ვიხელ-მძღვანელოთ ჩეენ ერო-ბის შესახებ სჯა-ბაასის დროს? უალრე-სად პრაქტიკულ მოსაზრების თვალსაზ-რისით უნდა გავიმსჭვალოთ თუ საკითხი დავსვათ, ისე, როგორც ერის სარგე-ბლობა ჩვენი ცხოვრების საჭიროება მოითხოვს? ჩვენი შიშანი არ არის მარ-ტიკი საურობო კანონ-პროექტი დაუ-წეროთ ეხლა. ჩვენს შრომის ასეთი ხა-სიათი არ აქვს. ჩვენთვის არც ის აზ-რი არსებობს, რომ კომპრომისულ კომ-ბინაციებით შევეციდოთ იმ წყობილე-ბის განალდება, მიღება, რომელსაც გვაწვდის სახელმწიფო. ჩვენი მოსაზ-რება უალრესად პოლიტიკური და სო-ციალურია. ჩვენ ვითვალისწინებთ ჩვე-ნი საზოგადო-ეკონომიკურ ცხოვრების მდგომარეობას, მის მოძრაობას, სა-კიროებას და ამისდა მიხედვით ვი-ხებით, ვაშუქებთ ეროვნულ საკითხს, უმთავრესად იმ კანონებს, იმ საერთ-ბო წეს-წყობილებას რომელიც ეხლა რესერვში არსებობს, ან რომელიც რე-სერვში 1890 წლამდე არსებობდა.

რას წარმოადგენს რესერვის ერობა? რა შინაარსის ერობაა ჩვენთვის საჭი-რო? ე. ი. ქრიტიკა არსებულის, ქადა-გება დადებითი საერთო წეს-წყობი-ლების - აი მოვლეთ სქემა ჩვენი შემ-დეგი საუბარისა.

2.

ცხოვრება და ერობა.

ცხოვრების კანონიერი შეილია ერო-ბა. არა მხოლოდ სოციალური, პოლი-

ტიკური, ზნეობრივი, თვით ეკ.ნომიუ-
 რი ცხოვრების მიერ არის ის წამოყე-
 ნებული. რას ნიშნავს ერობა? — საზო-
 გადოების მართველობას. ერობის კომ-
 პეტენცია საადმინისტრაციო უფლებაა.
 როგორც კი პოლიტიკის სფეროში შე-
 დის ერობა ის ჰერაგევს თავის ნამ-
 დვილ მნიშვნელობას. პოლიტიკურ
 თვითმართველობიდან ადმინისტრა-
 ტიული თვითმართველობა (ერობა)
 სწორედ ამით განიჩევა.

კანონმდებლობის უფლება არ აქვს
 ერობას. ეს არ ნიშნავს მის სისუსტეს.
 არც იმას, რომ ის ცხოვრების პირმან
 შეიღო არ არის. ცხოვრების წესები
 მოძრაობაში მოდის არა მხოლოდ კა-
 ნონით, არამედ მართველობითაც.

ერობის განხორციელება დიჭი სა-
 ქმედა. რას უმთავრესად სოციალური
 მნიშვნელობა აქვს. ასე ამბობენ: ერო-
 ბის შემოლება ბიუროკრატიულ მარ-
 თველობის განაწილებაა, მათ შორის
 შრომის განაწილების მომასწავებე-
 ლიათ. ასე ლაპარაკი იმათ სჩვევიათ,
 ვინც მუდამ ერობის უწევდა წინაალ-
 მდევგობას. ასე რომ იყოს ერობის მო-
 პოვაც ყოველ დროს შეიძლებოდა რო-
 ცა ბიუროკრატიი მოინდომებს. ნამ-
 დვილად კი ერობის მოპობა, როცა
 ის ხალხის ძვალ-რბილშია გამჯდარი, --
 შეუძლებელია. პეტრუნიევის კარგად
 აქვს ნათელობი: როცა ერობას წერილ
 საერობო ერთეულით ნიადაგი აქვს

გამაგრებული, ერობას ისე ვერ მოს-
 ვობთ, როგორც ბატონ-ყმობას ვერ
 აღადგენთო. ეს მართალია. ერობა
 საზოგადოების სულია, განვითარებულ
 ხალხის. როცა ერობის მართველობას
 ხალხი დაიწყებს—მას ვერ დათრგუნავ.
 რესერთის ბიუროებიამ ერობის შე-
 ბოჭვა მოინდომა 1890 წლის 12 ივ-
 ნისის კანონით, ზოგრამ მე 90 წლები-
 დან ხალხური მოძრაობა განვითარდა
 და 1902—3 წლებში დემოკრატიული
 წვრილი ერობის ერთეულები მოი-
 თხოვა. ხალხს ფრთას უკვეცდნენ. და
 იგი კი კიდევ მეტ უფლებას მოითხოვ-
 და. ასე ძლიერია ცხოვრების ლოლიკა.

ერობის განხორციელება—აუცილე-
 ბელია. შეიძლება მისი შემოღების გა-
 დადება, ხელის შეშლა, მაგრამ სამუ-
 დამოდ მოსპობა მისი აზრის—შეუ-
 ძლებელია. ერობის განხორციელება
 ბედითი აუცილებლობაა, ფატალიზმია.
 იმიტომ, რომ არა თუ მასსის, ხალხის
 შეგნების განძია ის, არამედ ეკონო-
 მიურად აუცილებელიც. ეკონომიური
 ცხოვრებაც იქით მიისწრაფეს, რომ
 საზოგადოების ხელში გადავიდეს წარ-
 მოება, აღებ-მიცემობა, კულტურა.
 შრომის განაწილება ამის უტყუარი
 თავდებია. წარმოებაში თანდათან ჰქონე-
 ბა პიროვნება, რომლის ადგილის სა-
 ზოგადოება დგება. ეს საზოგადოება
 ჯერ მცირე რიცხოვეანია, მაგრამ ახა-
 ლი ეკონომიური ფორმაციები მრავალ-
 რიცხოვეან ამხანაგობებს ამტკიცებენ.
 ამ ერთად არკერთი მსხვილი მრეწვე-
 ლი პირადად არ განავებს აღებ-მიცე-
 მობის საქმეს. არც შეუძლია განავოს.

წარმოებამ საზოგადო ხასიათი მიღო, საზოგადოებას აქმაყოფილებს ის და მოძრაობაში მოდის საზოგადო ძალების მეოხებით, საშუალებით.

ეკონომიკური სინამდვილე გავლენას ახდენს საზოგადოების მართველობაშე და როგორც ეკონომიკაა დატუმნებული საზოგადოებრიობის ნიადაგზე, ისე მართველობაც ეყრდნობა საზოგადოებრიობის სიმბოლოს—ერობას. საზოგადოების სოციალურ და კულტურულ მოთხოვნილების დაქმაყოფილება ბიუროკრატიას არ შეუძლია. როცა ეკონომიკური ცხოვრება მარტივი იყო, ბაზარი ვიწრო იყო და დიდ მოძრაობას, ურთი-ერთობას, სიკოცხლეს არ მოითხოვდა იგი, მანამდე ბიუროკრატიაც ახერხებდა ცხოვრების სადაცე-ების ხელში დაჭერას. კაპიტალიზმი კი ეკონომიკური ცხოვრება ძალზე განავითარა, გაართულა, წარმოშობა უმა-გალითო, მძაფრი მოძრაობა, რაიც იწვევს სოფლისა და ქალაქის ცხოვრებაში ათასნაირ ცვლილებებს, ახალ გეგმის მიხედვით მთელ ერის არსებობის მოწესრიგებას. ტყა, წყალი, გზა, შეკლა, ბანკი, მედიცინა, სანიტარია, ვეტერინარია, დაზლვივა, კავშირები, ამხანაგობანი, ირიგაცია, მელიორაცია... ერთი სიტყვით აუარებელი საქმეები წამოაყენა ახალმა დრომ, ახალმა ეკონომიკამ და ამ აუცილებელ მოთხოვნილებათა დაქმაყოფილება, უზრუნველყოფა სრულებით არ შეუძლო.

— ბიუროკრატიას.

ცხოვრების ასეთმა პირობებმა წილ-
მოშვა ერობა. ძველი ცხოვრება ეყრ-
დნობოდა პატრიმონიების უფლებას.
საკუთრების მოუხეშავი, ტლანტი უფ-
ლება შესცვალა სხარტმა ბურუჟიულ-
მა კონცეპტუამ, ნაპოლეონის კოდექსია.
საკუთრების პატრიმონიალურ ხასია-
თის რამდენადმე დაკარგვამ დიდი გაე-
ლენა მოხდინა საზოგადოებრივ განწ-
ყობილებაზე და როცა ეს განწყობი-
ლება ფორმალურად იქმნა ჩამოყალი-
ბებული ბატონყმურ უფლების გადაგ-
დებით, როდესაც ინდივიდის, პიროვ-
ნების ნება, ინტერესი ახალ ცხოვრების
საფუძვლად იქმნა გამოცხადებული, მა-
შინ შეუძლებელი იყო ფეოდალური,
პრიმიტულ პატრიარქალური მართვე-
ლობა არ მოესპოთ საზოგადო, ერო-
ბების მართველობის სანაცვლოდ. ერო-
ბაში პიროვნება, საზოგადოებაა გა-
ბატონებული. ერობის საფუძველია
— ქონება და გადასახადი, მაშა-
სადამე შრომა და შრომის თავისუფ-
ლება. შრომის თავისუფლების გამოც-
ხადება, ბატონ-ყმობის გადაგდება აუ-
ცილებელი პირობა იყო ერობის განსა-
ხორციელებლად. ამიტომ საერობო
ორგანიზაციების შემოღების საჭირო-
ბით ჯერ კიდევ 1861 წლის 19 თე-
ბერვლის მანიფესტია გამსჭვალული.
რუსეთის მთავრობას არ სურდა ერო-
ბის განხორციელება. 1864 წლის საე-
რობო აქტში ისე იყო გამოცხადებუ-
ლი: რუსეთის ყოველ ადგილის უნდა
შემოელოთ ის, მავრამ დღესაც შრავალ
აღავას არ არსებობს ერობა. 1905
წელში კავკასიის მეფეს მოადგილე

1864 წ. საერთო კანონის მოითხოვდა,
 1907 წელში კი 1890 წლის კანონის
 სხვა და სხვა დამატება-განხარტებე-
 ბით; მაგრამ ერთბა დღესაც არაა
 განხორციელებული. ჩვენ უკვე მოვიხ-
 სენიეთ: ბიუროკრატიას შეუძლია ერთ-
 ბის შემოღების საქმე გადადოს, ზე-
 ფერხოს და ეს კიდეც შესძლო მთავ-
 რობამ. სამავიეროდ საშინელი ნაყოფი
 მიიღო. მთელი ცხოვრების სისუსტე.
 და სწორებ ამიტომაა დღეს თვით
 მთავრობა ქადაგებს ერთბის აზრს.
 თქვენ წარმოიდგინეთ, პურიშვილის მიე-
 რა მარკოვები ერთბას უცხადებენ თანავრი-
 ნობას, კიდევ მეტი, პოლონეთისათვის
 დიმშის გვერდით პოლოტიკურ ავტო-
 ნომიის აზრს ლალადებენ. ეს საყურა-
 დღებოა ფრითად.

ამნაირად, ერთბა ცხოვრების, განვი-
 თარებულ ცხოვრების, კანონიერი შვი-
 ლია. მეცხრამეტე საუკუნის მე-30—40
 წლებში გლეხეცობის მოძრაობა ვაჩა-
 და ოუსერთში ბატონიუმობის წინააღმ-
 დეგ. ეს ცხოვრების მოძრაობა იყო და
 რამდენიმე წლებში კიდეც დაკმაყ-
 ფილდა ცხოვრების მოთხოვნილება.
 1855 წლიდან მუშაობა დაიწყეს ბა-
 ტონ-ყმობის გადასაგდებად. წინადაც
 იბრძოდნენ და ეხლაც იბრძვიან ერთ-
 ბისათვის. ფერდინანდ ლასსალი „ქონ-
 სტიტუციის შინაარსში“ ასე ამბობდა:
 სახელმწიფოს ძირითად კანონებს სჭედს
 საზოგადოების ძალთა განწყობილება,
 ბრძოლა. ეს აზრი სავსებით ეხება
 საერთო საკითხსაც. ბრძოლა ერთი-
 სათვის ერთბის გამარჯვებას მოასწა-
 ვებს. ერთობისათვის საზოგადოების

ბრძოლია ხალხის, საზოგადოების კულ-
 ტურულ სიმაღლეს მოასწევებს. რამ-
 დენადაც სრულ ერობისათვის, იბრძვის
 საზოგადოება, რამდენადაც ლრმაა მისი
 მოსაზრება, რამდენადაც გაშლილია
 მისი პერსპექტივა და შესაფერი ცხო-
 ვრების არსებულ ძალთა ვანწყობილე-
 ბის, იმდენადვე ის საზოგადოება ააშ-
 კარავებს ვონების ძალას, კულტურულ
 სიმხნეს, დემოკრატიულ და პროგრე-
 სიულ სულისკვეთებას.

ამ ეამად ქართველი ხალხი ერთობ
 შებოჭილია ერობის საკითხით. ყველა
 და ყველგან ერობაზე ლაპარაკობენ.
 რამდენიმე საგანგებო კრებაც ზოგდა
 ერობის თაობაზე. ტფილისის ქალაქის
 მართველობა, სამხედრო - სამრეწველო
 ორგანიზაცია, ქართვ. თავ.-აზნაურითა
 საკრებულო, კავკასიის სასოფლო-სამე-
 ურნეო საზოგადოება, მთელი იდგი-
 ლობრივი პრესა, ახალი ცირკულიარი
 მეცნის მოადგილისა, ერთი სრტყეთ
 მთელი ეროვნული ცხოვრება ეხლა
 ერობაზეა მიჯაჭული. და ერობის სა-
 კითხი, ბრძოლია იმ პრობლემის გარ-
 შემო ერთავად ახასიათებს ყველა იმ
 ძალების სულისკვეთებას, რომელნიც
 კი თანამედროვე ცხოვრების ამ ღერ-
 ხე ფიქტობს და ზრუნავს.

უიპერელია: ყველას სურს ერთე,
 უმთავრესად იდგილობრივ ძალებს.
 ამ-ტომ საზოგადოების უმეტესობა ასე
 მსჯელობის ოლონდ ერთია მოვიპოვთ
 და ერობის ტიპის, ფორმას ნუ დგევი-
 ძებოთ. იმ მოსაზრებას აქვს ერთი სა-
 ფუძველი - პრაქტიკული თვალსაზრი-
 სი. მრავალ ბოროტებაში ნაკლებ ბო-

როტებას ირჩევენ. ყველა ჰერათამყოფელიც ასე მოიქცევა. ნაგრამ ეს პრაქტიკიშიმი შეუძლებელია საესებით გავინაწილოთ, ვინაიდან სწორედ ის ძალები, რომელნიც ამ ეამად პრაქტიკულის მოსაზრებით არ იძიებენ ერთბის ტიპებს, მათთვის ხელხაყრელი, კლასიური სწორედ ის ტიპია, რომელიც ამ ეამად არსებობს ჩასეთში. ამიტომ პროგრესიულ ჯგუფებს ამ შემთხვევაში დიდი წინდახელულობა, სიფრთხილე და სიყოჩალე მართებს. პირველყოვლისა ჩვენ სავსებით უნდა გვქონდეს გათვალისწინებული საქართველოს ცხოვრების პირობები, მოხხოვნილება, საჭიროება ჩვენი ცხოვრებისა, ხალხისა და ამისღამიხედვით შევაღვინოთ ისეთი საერთო პროექტი, პროგრამა, რომელიც საერთო საკითხებზე მსჯელობის დროს საერთო ხელმძღვანელობას გაგვიწევს. პრაქტიკულ თვალსაზრისს ჩვენ არ ვიფიქიროთ, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენ გონება დავიხმოთ, ჩვენი ცხოვრების წინაშე დავბრმავდეთ და არ გავარკეოთ ჩვენი ცხოვრების საჭიროება.

ერთბის განხორციელებას აჩრი აქვს. ცხოვრების პირობები იწვევენ მას, მთელ საზოგადოებრივობას აწესრიგებს იყი. მაშასადამე ერთბა უნდა იყოს ცხოვრებისა და საზოგადოების კულტურულ მღვრმარეობის შესაფერი, ელასტიკური, სახალხო და თავისუფალი.

რანაირი ერთბა შეეფერება ჩვენს ცხოვრებას? რა აამოძრავებს საზოგადოებრივ კულტურას? ე. ი. რა ტიპის ერთბა გვესაჭიროება ჩვენ?

წოდება და ერობა.

ერობა ცხოვრებამ წარმოშვა. იგი ისტორიული მოვლენაა. მაშასადამე ერობის საკითხს მუდამ საზოგადოებრივი და ისტორიული თვალსაზრისით უნდა ვისწილიდეთ. როგორც მოვიხსენიეთ, კავკასიის საერობო მოღვაწეთა იდეალია: 1864 წლის იანვრის საერობო დებულება. თუ მას დაუმატებთ წვრილ საერობო ერთეულის აზრს, თქვენ მიიღებთ ლრმა დემოკრატიულ მიზნებით გამსჭვალულს საერობო მოღვაწეს. აშკარაა, აქ ვონებრივ სიჩლუნგესთან გვაქვს საქმე. ერთის მხრივ არ ვიცნობთ 1864 წლის კანონებს, მის ნამდვილ შინაარს და მეორე მხრივ არ ვითვალისწინებთ თანამედროვე ცხოვრების პირობებს. ე. ი. თანამედროვე საერობო მოღვაწეთა თვალსაზრისი დოქტრინალურია ერთის მხრივ და აბსტრაქტული მეორე მხრით. შეუძლებელია მეცნიერულის სასწორით ავტე შეჯელობა. 1864 წლის კანონი სრულიად არ გამოხატავს და ვირც დაიკავს სახელმწიფოს თანამედროვე საკიროებას.

ჩვენ 1864 წლის საერობო კანონს რამდენადმე ქვევით შევეხებით. ამიტომ მის არსებით კრიტიკას აქ არ შევუდგებით. პირდაპირ დავსუამთ პრობლემას: რად არის შეუძლებელი ეხლა 1864 წლის საერობო კანონზე დაყრდნობა? რუსეთის ერობის ცხოვრება ერთ მარტინოლოგს წარმოადგენს. 1864 წლის კანონის შემდეგ, თითქმის წელიწადი არ გავიდოდა, ახალი

კანონი, ცირკულიარი, უქაში და სხვა
 შემავიწროვებელი ზომები არ გამოეცა
 სახელმწიფოს. უმთავრეს მნიშვნელო-
 ბის ორი აქტია საერთობო ცხოვრება-
 ში—1864 წლისა და 1890 წლის. სხვა
 კანონები 1866, 68, 69 ან უფრო შემ-
 დევ 1900 წლის, 1906 წ., 1910 წლი-
 სა (ეს უკანასკნელი საგულისხმიურო
 ფრიად ნაკიონალისტური სულისკვე-
 თებით) პირველის და მეორეს ფარგ-
 ლების შეზღუდვა-გაფართოვებაა, ასე
 ვსთქვათ—დამატება-განმარტებაა. ყვე-
 ლი კანონს კი—თუ მხედველობაში არ
 მივიღებთ სტოლიპინის ქმნილებას 1910
 წელში—ერთი რამ ახასიათებს: წოდე-
 ბრივი სულის კვეთება. წოდებრივი
 განწყობილება ნაშთია ფეოდალურ
 ცხოვრებისა და ის ნაშთი საფუძველიად
 დაედო იანვრის (1864 წ.) საერთობო
 დებულებას. კუნძინ-კარავაევს (ვგუ-
 ლისხმობ თხზულებას „ერობა და სო-
 ფელი“) ძლიერ უყვარდა ცნობილ პუბ-
 ლიცისტის—კაველინის აზრის გახსე-
 ნება. კაველინი მეოთხმოცე წლებშიაც
 ამბობდა: რუსის ხალხს შორის წოდე-
 ბის სულისკვეთება ყალბი ელემენტი
 კი არ არის, არამედ ცოცხალი ძალაა,
 ხალხის ძალა-ჩბილში გამჯდარი. მა-
 შასადამე, საერთობო კანონების წოდებ-
 რივი საფუძველი არიანის გაკკეირებია
 რესერვი. და ეხლა თამამად შეგვიძ-
 ლიან ესთქვათ: 1864 წლის დებულე-
 ბით საზოგადოების უმეტესი ნაწილი
 არც იყო უკანასკნელო.

რესერვის ერობის ისტორიკოსს ბორის

ვესელოვსკის სამართლიანად აქვს მო-
 ხსენებული: 1864 წლის 1 იანვრის აქტი,
 კანონი, საზოგადოებრივ წრეებს თავ-
 აზნ უზრუნველყოს კომპენსაციად მიაჩი-
 და 1861 წ. ზარალის გამო. (ტომი მე-III
 გვ. 39 სხოლით). და ეს აზრი იმ დროის
 „თანამედროვე უწყებებისა“ უეჭველად
 სწორი აზრია. 1864 წლის აქტმა თა-
 ვად-აზნაურობას მიანიჭა სოფელში ბა-
 ტონობის უფლება, ის რჩებოდა გამგე-
 ბელი, მომწერსრიგებელი და მესვეური
 ადგილობრივ მეურნეობრივ ცხოვრე-
 ბისა და ვინ არ იცის თუ როგორ გა-
 მოიყენებდა იმ პრივილეგიას — რუსის
 ბრწყინვალე წოდება, რომელიც ტე-
 რის თ.-აზნაურობამ „სამარცხვინო პრი-
 ვილეგიად“ აღიარა.

ერობის ისტორია ჩვენ ვეიმტკიცებს,
 რომ „სამარცხინო პრივილეგიით“
 ლრმად და ფართედ ისაზოებლა რუსე-
 თის ბრწყინვალე წოდებამ. ამ აქტს
 სათანადო წინააღმდეგობას ვერ უწევ-
 და რუსის საზოგადოების დაბალი წრე-
 ბი, ვინაიდან მათ ლუთაებრივ ძალად,
 ბუნებრივ ელემენტად მიაჩინდათ წო-
 დებრივი უპირატესობა. ხალხის უმე-
 ტესობას ის კი არ უკვირდა, თუ სა-
 ხელმწიფო რად იძლევდა თავად-აზნა-
 ურობას შელავათებს და უფლებას,
 არამედ ის, რომ თავად-აზნაურობის
 უფლება რამდენადმე ვიწროვდებოდა.
 ასეთი საზოგადოებრივი სიჩლუნე სწო-
 რედ რომ პგულისხმობდა, შესაძლებ-
 ლად ხდიდა 1864 წლის იანვრის კა-
 ნონ-დებულებას, წოდებრივ წყობილე-
 ბის შემოღებას.

ეხლა, მეოცე საუკუნეში საკითხი
 იბადება: შესაძლებელია 1864 წლის

დებულება მიზნად დაისახოს საზოგადოების წინაშე ელემონტის მოტრფიალე ჯგუფშა?

ამ საკითხზე ჩვენ ღირსეული პასუხი უნდა გავსცეთ. აქ კაზუისტიკა არაა საჭირო, არც მიხვეულ-მოხვეული, კრიაშეილისებური პასუხი. უნდა დავიკვირდეთ საზოგადო-ეკონომიკურ ცხოვრების მსელელობას, ახალ პირობებს, სოციალურ განწყობილებას და იმის მიხედვით შევიმუშაოთ გადაჭილი, მტკიცე, ერთობ გარკვეული აზრი, შენედულება.

1861 წლის კანონმა ძირითადი ცელილება მთაბდინა რესეტის საზოგადო-ეკონომიკურ ცხოვრებაში. წოდებრიობა ციდან ჩამოვარდნილი უფლება არ არის. ის ნაყოფია საზოგადო ცხოვრებისა და ამიტომ საზოგადო ცხოვრების პირობების შეცვლა სცელის მის ხასიათსაც, დანიშნულებას, მიმართულებას.

წოდების იტრიბუტი შთამომავლობითი უპირატესობაა. ახალი დრო პირადი ღირსების, თაოსნობის, შემოქმედების სამშობლოა. კაპიტალისტურ-ბურჟუაზიული კულტურა სრულებით არ მოითხოვს წოდებას, შთამომავლობითი უპირატესობას. მას ფიზიკური და გონიერივი ენერგია ესაჭიროება, მაშასადამე შრომა, რეალური ძალა და არა ისტორიული ფიქცია. დღეს წოდების ამარა ცხოვრება შეუძლებელია. მელავაძეც ვერ გაძლებს ერთ წუთს, თუ თავისი ძლიერი მხრებით არ შექმნა საბაზრო ნივთი—საქონელი. გვარსა და მოდგმას არავითარი ფასი არ

აქვს. დაკარგულია სახელმწიფო, რო-
 მელიც წოდების ძალის ემყარება. წო-
 დება კი არ ჰქმნის ეროვნულ-სახელ-
 მწიფოებრივ სიმღიდრეს, არამედ სო-
 ციალური შემოქმედება, შრომა. ვაჭ-
 რობა-მრეწველობისათვის შრომა—სა-
 ფუძველია, წოდება—ზღაპარი. მხო-
 ლოდ იმდენად აქვს მაღალ წო-
 დებას მნიშვნელობა, რამდენადაც
 ის შრომის წარმომადგენელია, რამდე-
 ნადაც ის პირადი ღირსებით არის
 თეალსაჩინო, დადებითი. კაპიტალისტი
 და მუშა, ვლეხი და მემამულე, წარ-
 მოების პატრონი და წარმოების მანა—
 ათ მთავარი საზოგადოებრივი ილემენ-
 ტი არსებულ კაპიტალისტურ ცხოვრე-
 ბასა. ცხოვრების ტენდენციაც აქეთკენ
 შინისწრაფვის. ყოველ დღე მნიშვნელო-
 ბა ეკარგება წოდებრივ პრივატურის,
 რომლის ალაგს იჭერს კლასობრივი
 უპირატესობა. თანამედროვე ცხოვრე-
 ბამ წოდებრივი პოლიტიკის მავიერ
 წამოაყენა — კლასიური პოლიტიკა და
 შეუძლებელია ჩვენი მოლვაწეობის ხა-
 სიათიც არ იყოს წმინდა კლასიური.

წოდებრიობა დღესაც არსებობს რუ-
 სეთში, მაგრამ არსებითად ის არა-
 ფერს წარმოადგენს. მთავალი უპირა-
 ტესობით იყო აღჭურვილი რუსეთში
 თ.-აზნაურობა, მაგრამ თ.-აზნაურობის
 გაძლიერება ვერ მოხერხდა. იმიტომ,
 რომ წოდებრივ ორგანიზაციის სიკუ-
 ცხლე შეუძლებელია. საზოგადოებრივ
 ძალის სუბსიდია და შელავათი ვერ
 აცოცხლებს. მაცოცხლებელი ძალა —
 შრომაა, ფიზიკური ენერგიაა და ამი-
 ტომ თავად აზნაურული სიმღიდრე

თან და თან გადადის შრომისა და
 მწარმოებელ კაპიტალის განკარგულე-
 ბაში. თვით რესის სახელმწიფოც და-
 რწმუნებულა ამ სინამდვილეში და
 წოდებრიობის ძალა ფრიად შეუმცი-
 რებია. არსებითად რა მნიშვნელობა
 აქვს წოდებრიობას, როცა ხორციელ-
 დება საყოველთაო და საკალდებულო
 სწავლის სისტემა, რა დარჩა წოდები-
 დან, როცა გლეხ-კაცაც შეუძლია
 სახელმწიფოებრივ სამსახურის პირველ
 საფეხურებს მიაღწიოს? დღეს ბრწყინ-
 ვალე წოდებასაც ახდევანებენ ყოველ-
 გვარ ბეგარიას: სახელმწიფოს, ფარულს,
 პირდაპირს, ფიზიკურს. საერთო ხარ-
 ჯებშიაც სავსებით ითრევენ მათ, ხო-
 ლო უწოდებრიო ერობის პროექტით
 სრულიად ეკარგება მნიშვნელობა წო-
 დებრივ წყობილებას. ეკონომიკურ ცხო-
 ვებაში არსებითი მნიშვნელობა არ
 აქვს წოდებას, თვით პოლიტიკურ და
 სოციალურ ცხოვრებაშიაც მეტის-მე-
 ტად შეზღუდულია მისი უპირატესობა
 და ამნიტად ცხოვრების თანამედრო-
 ვე პირობებში წოდებრიობა მეტი ბარ-
 გია, ხორცმეტია და სხვა არაფეხო.
 ყოველივე ეს საანბანო ჰემიარტებაა,
 ცხადია ჩვენთვის, თუმცა გაბატონე-
 ბულ წრეებისათვის ეს კიდევ თავსამ-
 ტერეფი საკითხია.

როცა ერობის საკითხს ვიკელივთ
 და ცხოვრების ნამდვილ პირობებს
 უწევთ ანგარიშს, წოდებრიობის საკი-
 თხი მუდავ უნდა გვახსოვდეს. მისი
 დავიწყება შეუძლებელია. ის მავნებე-
 ლი წყობილებაა და ამიტომ უპირვე-
 ლეს ყოვლისა უველა არსებულ საერთ-

ბო კანონებს ვიწუნებთ — როგორც
წოდებრივ პრინციპზე დაფუძნებულ
ორგანიზაციას. ერთბის თვით მცნება
ვერ ინელებს წოდებრივ დასაწყისს,
წოდებრივ განწყობილებას და შეუძლებელია სიყალბეზე, სიუძლურეზე და
უმეტრებაზე ჩვენ დავემყაროთ.

არსებულ კანონების შინაარსის სხვა
მხარეს ქვევით შევეხებით.

ამიტომ, პირეელი მუხლი საერობო
პროექტისა უნდა იყოს უწოდებრივი
ერობა, მოსპობა წოდებრივი განწყობილებისა და ყველა იმ საერობო დებულებათა, რომელიც აგებულია წოდებრივ საფუძველზე.

4

საერობო კანონების განხილვა.

კანონის წესია — საზოგადოებრივ ცხოვრების განვითარებით გამოიცვალოს შინაარსი, გარდაიქმნეს. როგორც ცხოვრება იცვლება, ისე იცვლება კანონი. ახალი ცხოვრება ახალ კანონს იწვევს. იურიისტ კორექტ შრომა აქვს ცხოვრების უხელეს მოვლენებით გამოწვეულ ახალ ხასიათის კანონების შესახებ. ამიტომ, კანონის განხილვაც ისტორიისა და ცხოვრების მიხედვით უნდა ხდებოდეს. აბსტრაქტული და მეტაფიზიკური თვალსაზრისით კანონის შესწავლა შესაძლებელია დოქტრინისათვის, პრაქტიკული, ნამდვილი ცხოვრებისათვის ხსენებული თვალსაზრისი გამოუსადევარია.

ამ მხრივ არსებული საერობო კანონები კრიტიკას ვერ უძლებს. უვიაზე უფრო რაღიკალური, დემოკრატიული 1864 წლის იანვრის კანონია,

მაგრამ ვერც ეს კანონი გამოხატავს თანამედროვე ცხოვრების ძალთა განწყობილებას.

რანაირ ორგანიზაციის პქმნის 1864 წლის იანვრის საერთო დებულება? 1861 წ. 19 თებერვლის აქტით თავისუფლება შიანიჭება გლეხ-კაცობას. არსებითად ეს მოასწავებდა ფეოდალურ მართვა-გამგეობის შეცვლას საზოგადოებრივ მართველობაზე და სწორედ ამიტომ შემოიღეს 1864 წლის 1 იანვრის აქტით საერთო წეს-წყობილება. მაშასადამე, საერთო რეფორმით ადგილობრივ ცხოვრების მესვეურობა ადგილობრივ ხალხს უნდა ეკისრო, პიროვნებათ, მოქალაქეებს და არა სხვა და სხვა უპირატესობით ალკურეილ საზოგადოებრივ ჯგუფებს. ასეთ ხასიათის მოქმედებას მოითხოვთა როგორც ცხოვრების ნამდვილი ვითარება, ისე თვით შინაარსი 1861 წლის 19 თებერვლის მანიფესტისა. მაგრამ ბიურო-კრატიამ ცხოვრების მოთხოვნილებას სრულებით არ მიაქცია სათანადო ყურადღება. საზოგადოებრივ ძალებს ის უფლება კი არ მიანიჭა, რაც მათ არსებითად ეკუთვნოდა, არამედ საზოგადოებრივ ძალთა უფლება-კომპეტენცია საკუთარის ნების-ყოფით, სურვილის მიხედვით, განსაზღვრა. ამიტომ, ჩვენ მივიღეთ ბიუროკრატიული შემოქმედება. 1864 წლის ერთბაც ბიუროკრატიული ერთბაა.

1864 წლის 1 იანვრის კანონის ძალით, საერთო ერთეული დგება ამორჩეულ პირებისაგან. ვინ ირჩევს მართვის ჯგუფს, კოლეგიას? — მკვიდრნი,

მაგრამ მკეიდრნი ერთი უფლების მას-
 სად კი არ არის წარმოდგენილი, არა-
 მედ სხვა და სხვა ძალად. მესამოცი
 წლების საზოგადოების სხეული შესდ-
 გებოდა უმთავრესად შემდეგი ნაწილე-
 ბისაგან: 1) თავად-აზნაურობისაგან,
 2) ვაჭარ-მრავწველთაგან და 3) გლეხ-
 ეაცობისაგან. კანონიც ამ საზოგადო-
 ებრივ ელემენტებს ემყარება უმთავ-
 რესად. ამიტომ მკეიდრთა მასსა სამ
 კურიად, სამ ნაწილად, იქმნა გაყოფი-
 ლი. საზოგადოების სამი ნაწილი ცალ-
 ცალკე იკრიბება, ცალ-ცალკე ახდენს
 არჩევნებს, სხვა და სხვა ძალით არიან
 ისინი აღჭურებილნი და ასეთი წესით
 არჩეული ხალხი შემდეგ იკრიბება ერ-
 თად და შეადგენს საერობო ორგანი-
 ზაციას, საერობო დაწესებულებას.

1864 წლით შექმნილი ერობა ორ-
 საფეხურიანი ერობაა. პირველი საე-
 რობო ერთეული—სამაზრო ერობაა,
 სამაზრო ერობის არჩევნებისაგან შე-
 დგება საგუბერნიო ერობა. როგორც
 სამაზრო ისე საგუბერნიო ერობა იტ-
 ჩევს გამგეობას, რომელიც განაგებს
 მაზრის და გუბერნიის ცხოვრებას. ამ
 ნაირად, 1864 წლის კანონის ძალით
 წვრილი საერობო ერთეული, სასოფ-
 ლო ერობა (мелкая земская единица)
 არ არსებობს.

პირველ-ბარისხოვანი არჩევნებია—
 სამაზრო, სადაც მაზრის მემამულეები
 იკრიბებიან. ამ კრებაზე მონაწილეო-
 ბის უფლება აქვს: ვისაც 200 დესე-
 ტინა მიწა აქვს, ან 16 ათას მანეთის
 უძრავი ქონება მაზრაში, ვაჭარ-მრავ-
 წველი თუ მათი ქონების მოძრაობა

6 ათას მანეთს მაინც უდრის, სასულ-
 ლიერო პირთა და წვრილ მემამულე-
 თა წარმომადგენელნი, თუ მათ სრულ
 ცენტრის ერთი შეოცელი გააჩნია.

მეორე კურიის (მოქალაქეთა არჩევ-
 ნებზე) კრებაზე მონაწილეობას იღებს
 ვაჭრები, რომელთაც სიქალაქო თუ
 სამაზრო სამართველოსაგან ვაჭრობის
 უფლება, მოწმობა იქვე აღებული,
 მრეწველნი, რომელნიც 6,000 მანეთს
 აბრუნებს წლის განმავლობაში და მე-
 საკუთრენი, რომელთაც უძრავი ქონე-
 ბა ლირს 500—3,000 მანეთამდე და
 ისიც მსხვილ ქალაქებში.

მესამე კურიაში იყრიბება სასოფ-
 ლო საზოგადოებანი. იქ 200 ოჯახს
 ერთი რწმუნებულის არჩევა შეუძლია
 მხოლოდ. თუ წარმოვიდგენთ იმ გა-
 რემოებას, რომ სოფლებში ხშირად
 200 სახლობის მეტიც არ არის, მაშინ
 დავინახავთ, რომ სოფელი მხოლოდ
 ერთ რწმუნებულს გზავნის არჩევნებ-
 ზე, ხოლო უფრო პატარა სოფლები
 სრულიად მოკლებული არის საშუა-
 ლებას, როგორც პირდაპირ, ისე არა-
 პირდაპირ (რწმუნებულის სახით) საე-
 რობო არჩევნებში მიიღოს მონაწი-
 ლეობა.

ქალებს საერთო არჩევნებში აქ-
 ტიურ მონაწილეობის უფლება არ
 აქვს. პასიური - კი. თუ ქალი ქონების
 მხრივ შეძლებულია, მას უფლება იქვე
 თავის მახლობელ ნათესავს მიანდოს
 უფლება არჩევნებში მონაწილეობის
 მისაღებად. რა თქმა უნდა ეს უკანა-
 სენელი მამაკაცი უნდა იყოს.

ამ წესით მიიღო ხალხმა არჩევნებ-
 ში მონაწილეობა. ახალ ცხოვრების

ხასიათი კაპიტალისტური იყო, საზოგადოებაში ნიადაგი ჰქონდა მოქალაქეობას, თანასწორობას. 1864 წლის საერთო დებულებამ კი მოქალაქეობას წოდება და ქონება დაუდო საჩიულად და არა პიროვნება. ამიტომ საერთო მართველობასაც ფეოდალურ-წოდებრივი ხასიათი, ელფერი, მიეცა. როგორც პორტს ვესელოვსკი გადმოგვცემს, 29 გუბერნიაში, სადაც 1865—67 წ. წ. არჩევნები დასრულდა, სამაზრო ერობის ხმოსნებში 41,7% თ.-აზნაურები იყვნენ, 38,4% გლეხეცოპიდან. სავაჭრონიო ერობის ხმოსნებში თ.-აზნაურები და მოხელენი—74,2%, ხოლო გლეხეცოცობა—10,6%. აქედან აშენაა რანაირ სისტემაზე იყო აგებული 1864 წლის 1 იანვრის საერთო დებულება და რამდენად იყავდა, გამოხატავდა, იგი დებულება ხალხის ინტერესებს.

რესერტის ერობა ორმოცდაათი წლის განმავლობაში სრული გამომხატველი იყო თ.-აზნაურობის ინტერესებისა. საერთოდ, ერობის მართველობაში მუდამ სჭარბობდა ფეოდალური ელემენტები, თუმცა ბიუროკრატია ასეთ საზოგადოებრივ დაწესებულების მართველობასაც ვერ ინელებდა.

საესებით უარყოფა საერთო მართველობისა შეუძლებელი იყო. ეს იქნებოდა სახულმწიფოებრივი და ეროვნული „სკანდალი“, მაგრამ ბიუროკრატია ახალ გზის დაადგი—ერობის სამოღვაწეო ასპარეზის შევიწროებას, უფლების შეზღუდვას, საერთო მო-

ლვაწეთა მუშაობის დახშვას და თაო-
სნობის ჩაკეთას.

ფეხ-ადგმული ცხოვრება მოითხოვ-
და როგორც სახელმწიფო ეპიტოლის, ისე
საზოგადოებრივ—საერთო ძოლვაწეო-
ბას, ვალუევის სამინისტრო კი სკა-
რიატინებისა და კატეკოლების მოძღვ-
რებას ინაწილებდა და ძალშე ივი-
წროებდა ერობის მუშაობას. ერობა
სრულიად არ იყო რესერვი, მაგრამ
ალექსანდრე პირველის დროინდელი
1811 წლ. 25 ივნისის უქაში საზოგა-
დო-სახელმწიფო ხარჯების საქმეში
საზოგადოებრივ ძალებს ანიჭებდა
უფლებას. (პაერტნოვის ობზელება—
„საერთო თვითმართველობა“ გვ.
80), მაგრამ 64 წლ. დებულებამ ერო-
ბის ხარჯთ-აღრიცხვა ერთობ დაუ-
ქვემდებარა ბიუროკრატიულ მთავ-
რობას, ხოლო 1866 წლიდან 64 წლის
უფლებებიც შეზღუდა და შეამცირა.

ერობის კომპეტენციაში შედის
მთელი ადგილობრივი სამეურნეო საქ-
მეები: გზა, არხი, ჭაობი, ტყე, სკო-
ლა, სისუფთავე, საავადმყოფო, საქონ-
ლის, ფრინველის მოვლა-პატრონობა,
ვეტერინარია, სასოფლო ბანკი, ამხა-
ნაგობა, მკეიდრთა მწარმოებელ ძა-
ლების განვითარება, შინამრეწველო-
ბა, შრომის არტელი, ბიბლიოთეკა-
სამკითხველო, თეატრი, გადასახადე-
ბი... ერთი სიტყვით, ერობის სამოლვა-
წეო ასპარეზი ფრიად ფართეა, რომ-
ლია და დიდმნიშვნელოვანი. უკელ-
საზოგადო საქმეების მოწესრიგება სა-
კაროებს დიდ თანხას და აძირომ ერო-
ბის არსებობის საფუძველი გადასახა-

დებია. 1811 წლის უქაშით საზოგა-
 დოებრივი ძალა სახელმწიფო გადასა-
 ხადებითაც საჩვებლობდა, მაგრამ
 64 წლის კანონით შემოსავლის ეს
 წყარო დაიბშო, ხოლო 1866 წლიდან
 მთავრობამ შეამცირა გადასახადის
 ობიექტიც, საგანიც.

საზოგადოებრივ მმართველობას აზ-
 რი მხოლოდ მაშინ აქვს, როცა თავის
 შეხედულებას იგი სავსებით ანხორ-
 ციელებს. ფინანსიური უფლების პრო-
 გრესიული კანონი შემოსავლობის კვა-
 ლობაზე გადასახადების დადებაა. რო-
 გორც ვიცით, რუსეთში ამ ნიაღავშე
 დადგა მთავრობა მხოლოდ ებლა, თმის
 დროს. 1866 წელში კი საგანგებოდ
 გამოიცა რამდენიმე კანონი, რომლი-
 თაც სამრეწველო დაწესებულებანი,
 ფაბრიკატები და სხვა საგნები ერო-
 ბის გადასახადებისავან განთავისუფ-
 ლებულ იქმნა.

ჩვენ არ შეგვიძლიან აქ დაწერილე-
 ბით განვიხალოთ ყველა ეს ცირკუ-
 ლიარები. რუსეთის ერობის ისტორია
 არ შეადგენს ჩვენი შრომის საგანს.
 მხოლოდ მის ხასიათს ვაცნობთ ჩვენს
 მკითხველებს. 1864 წლის შემდეგ,—კა-
 ნონები 66 წლისა, 67 წლ., 68 წლ.,
 69 წლ., 1871 წლ., 73 წლ., 85 წლ.
 და სხვ. თან და თან ავიწროვებს ერო-
 ბის ცხოვრებას. ერობის მოღვაწეო-
 ბის თავისუფლება იფარგლება, საე-
 რობო-საზოგადოებრივი მუშაობა იცვ-
 ლება გამგეობაში მთავრობის მიერ
 მაღლიდან დანიშნულ მოხელეების
 თვითნებობით, თვით ასეთ პირობებში
 შოლეაწეობა ცენზურის გამო იხშობა

ერობის დარბაზის კედლებში. ათას-ნაირი დაბრულებები იქმნება ერობისათვის და ამნაირად მისი არსებობა ემსგავსება ბიუროურატიულ დაწესებულების არსებობას.

როგორც ვიცით, ყირიმის კამპანიამ პოლიტიკური ლიბერალიზმი გამოიწვია. თვით მთავრობაც „კაზ“ ხასიათზე იყო და ჰერცენ-ოგარევის ბარათებს კითხულობდა, მაგრამ 1858 წლიდან თანდათან სუსტდება ლიბერალიზმი და 1861 წლის 19 თებერვლის აქტის მიზნედაც რეაქცია თანდათან ძლიერდება.

ერობის ცხოვრების პირველი ეტაპი 1890 წლის კანონით სრულდება. ერობის არსებობის პირველმა ხანამ პროგრესიულ რუსეთის იმედი გააკრიუა. დიდი იმედი ჰქონდათ ერობისა. ბევრი სერიოზულად უყურებდნენ მის მუშაობას. რუსეთი გადახალისდება, ევროპიულ კულტურას შეისისხლობორცებს, გამოიწვევს ეროვნულ ძალების სიფხიზლეს, განვითარებას და აქ გამოიჭედება ძლიერი რუსეთის მყობადი. 25 წლის ერობის მუშაობაშ საზოგადო მოღვაწეების იმედი გაამტკუნა. მოწინავე რუსეთის გულშემატკიცარნი უკმაყოფილო იყვნენ ერობით.

მესამოცდაათე
წლებში ლიბერალების რუტნალი „უსტნიკ ეკროპი“ ასე ახასიათებდა ერობის ძალას და ხალხის იმედს: დიდი იმედები, რომელსაც ვამყარებდით საერობო დაწესებულებებზე — არ ვამართლდა. საერობო, საერობო დაწესებულების ნაყოფი — თუ კი არის იგი —

სრულიად არ არის დიდი. ერობამ არა თუ გადკეთა ისეთი რამ, სხვა დაწესებულება- თაგან რომ გამოვარჩიოთ იგი, არა- მედ თავის ვიწრო ფარგალშიაც ფრიად მცირე საქმიანობა გამოიჩინა. მათი ხარჯთ-ალრიცხვა მხოლოდ აუცილე- ბელ ხარჯებისაგან შესდგება, ნაყო- ფიერი ხარჯები სულ მცირეა. გადასა- ხადებს ისე ანაწილებენ, რომ შემოსა- ვლის წყაროებს სულ არ იკვლევენ. მთავარი შემოსავალის წყარო ისევ გლეხის შრომაა. სახალხო განათლება და ხალხის ჯანმრთელობა ფუფუნების საკითხს შეადგენს, რომლისათვის თუ რამე იხარჯება, ისე მცირე, რომ არსე- ბითად არაფერი გაკეთდება. ხალხის გამოკვების საკითხზე ხომ ლაპარაკიც ზედმეტია. (ვესელოვსკი, ტომი მესამე, გვ. 198). „ოტენისტენია ზაპისკი“ სწერდა: „სულ გაიყინა ერობის საქმე, ერობა არავის აინტერესებს ეხლა, მისი არავის არაფერი სწამს“. „საქმე“ კი ლალადებდა: „ჩვენი ერობის თაფ- ლის თვე წავიდა. თანდათან დადგა მშეიდი, კეუის, უკედ, მოხუცებულობის ხანა. გავჭრა სიზმარი, მაგრამ საღ-ლაა სინამდვილე?“ (იქვე) აი, ასეთ სასო- წარკვეთილ გუნებაზე დააყენა რუსე- თის ის სახოგადოება ერობის ოცი და ოცდახუთი წლის მუშაობამ, რომელიც ერობაზე ოცნებობდა, ერობაზე პირ- ჯვარს იწერდა, ერობაზე ამყარებდა ჩოელ იმედსა და სასოებას.

როგორც ვსოდეთ, რუსეთის ერობის განვითარების პირველი ეტაპი 1890 წლით სრულდება. ეს არ ნიშნავს, თი- თქოს 1890 წლიდან ერობას ახალი პო-

რიზონტი გადეშალა, განთავისუფლდა
 იყი, სულიმოითქვა, რომ ხალხის კე-
 თილდლეობა გაემტკიცებია. არა, აღსა-
 ნიშნავია იყი მით, რომ 25 წლის
 ჩეაქცია 90 წლის აქტით კიდევ უფრო
 გალიმავდა, გაფართოვდა და ერობის
 ძალა კიდევ მეტად შეავიწროვა. ჩა-
 მდენადმე 1890 წლის, 1900 წლ. და
 სხ. დროის კანონებსაც უნდა შევეხოთ
 ჩვენ, რომ შემდეგ უფრო ნათელი
 იქმნას ერობის ის ტიპი, რომელიც
 თანამედროვე ჩვენს ცხოვრებას შე-
 იფერება, შეეგუება, ეროვნულ ცხოვრე-
 ბის გაუმჯობესობით ხალხის იმედს კი
 არ გააცრუებს, არამედ გაამართლებს.

5

1890 წლის ხელობო კანონი.

რესის მოწინავე საზოგადოებას
 ერობაზე გული აუცრუედა. პრესაც
 იშვიათა არღვევდა ერობის ყურად-
 ლებას. მინისტრი დ. ა. ტოლსტი ასე
 ამბობდა: ერობა ერთი ბორბალი უნ-
 და იყოს სახელმწიფოს ბიუროების უ-
 ბართველობაში და ამიტომ საზოგა-
 დოება კი არ უნდა იყოს პატრონი,
 ბატონი და მესვეური საერობო ორ-
 განიშაციის, არამედ მთავრობა. პაზუ-
 ნინის, კატეკოსის და პობედონოსცევის
 მოღვაწეობა ასეთ აზრებს ამტკიცებდა.
 მართლაც, მთელ რიგ შემავიწროვე-
 ბელ ზომების, აქტების, უქაზების, კა-
 ნონების საშუალებით ერობას დაუ-
 კარგეს საზოგადოებრივი მნიშვნელობა.
 ხალხი თანდათან ჩამოაშორეს მას,
 ხალხისათვის ის მოკვედა სავსებით და
 საზოგადოებაც ერობის საჭეში გულ-
 ცივობას იჩენდა. თქვენ წარმოიდგი-

ნეთ, ისე დაეცა საზოგადოებრივი ინტერესი ერობისადმი, რომ ერთ-ერთ საერთო არჩევნებზე ორი წლით ადრე გარდაცვალებულ პირს ირჩევენ ხმოსნად. ამაზე შორს წასკლა ერობას სრულიად აღარ შეეძლო. ერობა, როგორც ცოცხალი საზოგადოებრივი ორგანიზაცია, ამ არსებობდა და ის უნდა მოსპობილიყო სავსებოთ. როცა ხალხს ძალა არა აქვს დაიცვას ეროვნული დაწესებულება, ის ლირსიც ამ არის ხსენებულ დაწესებულების. მთავრობა ყველგან კონსერვატიულია, იგი სტატიურ ძალას წარმოადგენს, დინამიური ძალა საზოგადოებაშია და თუ ის არ ჩნდება, ცხადია, საზოგადოებრივ, დინამიურ საქმეს არავინ შეასრულებს. ამიტომ ალექსანდრე მე-პ მანიფესტის შემდევ ხალხის დუმილი და შიში პრელიუდია იყო იმ საერთო პროექტების, რომელსაც ამზადებდა დ. ა. ტოლსტიო.

1889 წლის ივლისისა და 1890 წლის 12 ივნისის კანონები ითვლება ერობის გამანადგურებელ კანონებად. ეს მართალია. მაგრამ მთელ 10—15 წლის განმავლობაში ამ კანონების შექმნას ნიადაგი ემზადებოდა. სახელმწიფო სისტემატიურად ავიწროვებდა საერთო მოლვაწეობას და ამნაირად მიაღწია ისეთ წეს-წყობილებას, რომელზედაც კატკოვის ჯვაფი ოცნებობდა.

1889 წლის 12 ივლისის კანონი არ იყო გამოცხადებული, მაგრამ გუბერნატორების უფლებას ერობაზე მესამოცდაათე წლებიდანვე აფართოვებენ, საერთო გამგეობაში გუბერნატორის

მოსაზრება-დამტკიცებით იჩინებენ და აყენებენ წევრებს, მოსამსახურეთ. კრძალავენ საერობო მოღვაწეების ყრი-ლობებს, სოფლის ცხოვრების კვლევა-ძებას, ავიტროებენ საერობო ხარჯთ-აღრიცხვას, სკოლის საქმეში სდევნიან ერობას და იმნაირად, მოელ თავის ცხოვრებაში ერობა ხდება მთავრობის ისეთ დაწისებულებად, რომელსაც არა-ვითარი უფლება, ნება არა აქვს. რო-გორც ბ. ვესელოვსკის მოჰყავს, მე-70 წლებში საერობო ხარჯთ-აღრიცხვა ყოველწლიური იზრდებოდა $23,2\%$, ხო-ლო მე-80 წლებში $3,9\%$ (გვ. 290). თუ მივიღებთ მხედველობაში მცხოვ-რებთა გამრავლებას, ცხოვრების გაზ-თულებას და სხვა სოკიალ-ეკონომიკური პირობებს, მაშინ დავრწმუნდებით, რომ ერობის მუშაობა არა თუ შედარებით, აბსოლუტურადაც დაეცა დაქვი-ითდა.

ხდება, გუბერნატორი იფიქრებდა და კრების დადგენილებას შეაჩერებდა, იპის თვალით შეხედავდნენ ამა თუ იმ პირებს და ცივ-ქვეყნებში გადაას-ხლებდნენ. დასკირლათ და 1883 წელ-ში, დონის ოლქში, სავსებით მოსპეს ერობა, ხოლო 1886 წელში სხვა მა-ზრაშიც.

თუ გვინდა ვიცოდეთ ერობის ცხო-ვრების სინამდვილე, დავაფასოთ სა-ფუძველი, რომელზედაც დამყარებუ-ლია ჩასეთის ერობა, მაშინ ჩასის ერობის შთელი ცხოვრება ისე უნდა შევისწავლოთ და წარმოვიდგინოთ,

როგორც სინამდვილეში იყო. აქ იღიუნია ზიანს მოგვიტანს და, არა სარგებლობას.

თბიერქოურ პირობების მიხედვით რეკეცის ცხოვრება სრულიად არ საკიროებდა საერთო მოლვაწეობის აგრე დასამარებას. პირი-იქით, თუ თდეს-მე ფეხს იყიდებს მრეწველობა, ვაჭრობა, ალებ-მიცემობა, სოფლის მეურნეობა ეს ისევ ალექსანდრე მე-III მეფობის დროს. ყირიმის კამპანიამ ერთის მხრივ, 78 წლის ომებმა მეორეს მხრივ, ხოლო აღმოსავლეთის ასპარეზზე საბაზრო რაიონების ხელში ჩაგდებამ ფრიად დიდი მოთხოვნილება გაუჩინა რუსეთის მრეწველობას და ის იწვევდა საეკონომიკო ცხოვრების სიფხიზლეს. ხალხის მოძრაობა, სიმკვირცხლე, სიყოჩალე სწორედ ამ დროს იყო საკირო, ცხოვრება მძაფრ ეკონომიურ წესებზე იყო მოწყობილი და მას არ შეეძლო ნელი მსვლელობა. რუსეთის სახელმწიფო სწორედ რომ ვერ იჩენდა ცხოვრებისამებრ სიმძაფრეს, სიმკვირცხლეს და ვერც საზოგადოებრივ ძალას იყენებდა დამხმარედ. ერთის რუსეთის ეკონომიურ ცხოვრების გამოცოცხლებაში დიდი სამსახურის გაწევა შეეძლო, მაგრამ როცა სახელმწიფო იყო ფეოდალურ-ბიუროკრატიულ რუტინით აღჭურვილი,

რა რიგ შესძლებდა მიმდინარე ცხოვრების აღლოს ართმევას და ამიტომაც რუსეთის საუცხოვო ბუნებრივი, გეოგრაფიული, ტოპოგრაფიული და სხვ. პირობები ვერ იქმნა გამოყენებული.

რესერვის სახელმწიფო დიდ ფიზიკურ ძალას წარმოადგენდა და ამიტომ ერობის ძალა მაღა მოიკრუნჩხა, დაეცა. განვითარებულ და განათლებულ ცხოვრების მავიერ ჩვენ მივიღეთ გალატაკებული ხალხი და ყოველის მხრივ ჩამორჩენილი სახელმწიფო.

საზოგადოებრივ ცხოვრების დაცემით საესებით გაბატონდა ბიუროკრატია. და 1889—1890 წლის ივლისის და ივნისის კანონები ბიუროკრატიის უსაზღვრო ბატონობის ნაყოფია. 1889 წლით რესერვში შემოილეს ერობის უფროსობის ინსტიტუტი, „ზემსკიე ნაჩალნიკი.“ თავისუფალ მოქალაქეს რესერვში ერობის უფროსები დაუყენეს, ერობის გამგეობაში ის ნამდვილი წევრია, ხოლო მის ნებაზე დამოკიდებულია სამაზრო გამგეობის წევრთა თუ მოსამსახურეთა ბედ-ილბალი. მაგრამ 1889 წლის თავზე, 1890 წლის ივნისში (12 ივნ.) მეორე შესანიშნავი კანონი იქმნა გამოცემული, რომელიც მოქალაქობრივ წყობილების ნასახსაც ერთავად სპობს. არა მარტო ფორმალურად, ფაქტურადაც კი.

1890 წლის 12 ივნისის კანონი დიდი მოვლენაა, კარდინალური ფაქტია საერთო ცხოვრების ისტორიაში. 1890 წლის კანონის ხსენებას ჩვენს, ქართულ უურნალ-გაზეთებშიაც ხშირად გაიგონებოთ. კრებაზე დაეინებითაც ამბობენ: გვიწყალობეთ 1890 წ. საერთო კანონიო. როცა ჩვენ გვესმის ასეთი ხასიათის ძაბილი, მხოლოდ კრწმუნდებით იმაში, რომ ის, რაც ხელთ არა

გვიპყრია, არ გამოგვიცდია, — საიდეალო რამედ მიგვაჩინია. საზოგადოების სავსებით და ლრმად რომ პეტონდეს წარმოდგენილი 1890 წლის კანონი, მისი სახე პრაქტიკულ ცხოვრებაში, დარწმუნებული ვართ მის შესახებ სულ სხვა შეხედულებას შეაძლევებდა. რა თქმა უნდა ჩვენ ისეთ საზოგადოებრივ ჯგუფზე არ ვლაპარაკობთ, რომელიც 1890 წლის კანონით, დაკარგვის ნაცვლად, ბევრ რამეს შეიძენს კოდეც. რამდენიდე უნდა შევეხოთ ამ კანონს. ეს ძლიერ საინტერესოა, საჭიროა.

1864 წლის 1 იანვრის საერობო კანონის შესახებ ჩვენ ვსოდეთ: წოდებრივ ნიაღაგზეა დამყარებულია. ეს მართალია. მესამოცე წლებში მამული, მიწა და წოდება ფაქტიურად ერთი მეორეს მისდევდა, მაგრამ აბსოლიუტურად მართალი არ არის ასეთი კონცეპცია. დაბალ წრის აღამიანს რომ პეტონდა დიდი მამული, 15 ათასი მართის უძრავი ქონება, ის „ბრწყინვალეთა“ კრებას დაესწრებოდა. ფაქტიურად, ეს რომ წოდებრივი ხასიათის დებულება იყო სჩანს აზრევნების შედეგიდან, რომელიც ჩვენ წინადან მოვაწვანეთ. 1890 წლის 12 ივნისის კიბონი საინტერესო იმ მხრივ არის, რომ ის ფაქტიურ არსებას ფორმისალურად აყალიბებს, ხოლო კილევ უფრო ამტკიცებს და სწმენდს წოდებრივ ელემენტს. საზოგადოების მესამე ელემენტებმა — სტატისტიკოსებმა, ექიმებმა და ბუხალტერებმა — „სისხლი გაუშრო“ რესერტის ბიუროებრივიას. 1890 წლიდან მათ მუხრაუჭი მოუჭირეს და არ-

ჩევნებშიაც ძნელად თუ მიიღებდა მონაწილეობას საეჭვო ხასიათის ელემენტები.

პირველ ყოვლისა სამაზრო ერობის ხმოსნების ორჩევნებზე პირდაპირ მონაწილეობას მხოლოდ მსხვილი თავიდაზნაურობა იღებდა, სასულიერო წოდებას სულ წაართვეს უფლება, აგრედა გლეხ-კაცობის ამხანაგობებს და იმ გლეხებს, რომელთაც შრომით თუ სხვა საშუალებით დიდი მამული ჰქონდათ შეძენილი. 64 წლის დებულებით გლეხ-კაცობა სასოფლო ურილობაზე ირჩევდა თავის რწმუნებულებს, 90 წლის დებულებით კი რწმუნებულს ირჩევს რამდენიმე სოფლის ყურილობა. ხოლო ამორჩეულებს ამტკიცებს გუბერნატორი. ადმინისტრაცია თავის შეხედულების მიხედვით მოქმედებს ამ დროს და ხმოსნებად მხოლოდ იმათ ამტკიცებს, რომელთა პოლიტიკური ფიზიონომიაც მისთვის გამოჩევეული და სასიამოვნოა.

არჩევნებში მონაწილეობის უფლება წაართვეს აგრედა ვაჭრებს, მრეწველებს და ეპრაელებს. სრული ცენზი ისევ 15000 მანეთი დარჩა, ხოლო რწმუნებულების არჩევისათვის საჭირო იყო სრულ ცენზის ერთი მეათედი და არა ერთი მეოცედი; როგორც ეს იყო 64 წლის საერობო დებულების ძალით.

ამნაირად, საერობო ორგანიზაცია ხალხს მოაშორეს. თუმცა მთავრობა არც ამით დაკმაყოფილდა. ერობის დაწესებულება დაამსგავსა ბიუროკრატიულ-კანკელიარულ მართველობას და ეს პირველყოვლისა ხმოსნების რაო-

დენობის შემცირებით. ეს დიდი ლაბ-
 ტი იყო ერობისათვის. ხმოსანთა რიც-
 ხვი 13.329-დან 10.229-მდე დაიყვანა
 სამაზრო ერობებში, ხოლო საგუბერ-
 ნიოში 2.274-დან 1576-მდე (იხ. სლო-
 ბოეანინი— „საერობო დაწესებულ. ის-
 ტორიიდან“ გვ. 104). თვით გლეხ-
 ეაცობის ძალები ხომ ტრიად შემცირ-
 და როგორც შედარებით, ისე აბსო-
 ლიუტერად. ე. ი. სკალონის გამოან-
 გარიშებით 34 გუბერნიაში 5.357 ად-
 გილიდან გლეხობამ დაჭვარე 2.190
 ადგილი, ე. ი. 40,9%. 1864 წლის დე-
 ბულებით ხმოსანთა საერთო რიცხვში
 48%, გლეხობას ეჭირა, 1890 წლის
 კანონით კი რალაც 31%. (იქვე, გვ.
 107). „1864 წლის დებულების ძალით
 — ამბობს ბორის ვესელოვსკი — მთავ-
 რობა ამტკიცებდა გამგეობის მხოლოდ
 თავმჯდომარეს, გამგეობის წევრები კი
 არჩევის დღიდანვე თავისუფლათ იწ-
 ყებდნენ სამსახურს. 1890 წლის 12
 ივნისის კანონით კი მთავრობის დამ-
 ტკიცება საჭირო შეიქნა გამგეობის
 წევრებისათვისაც. ისე რომ, საერობო
 კრებას, მთავრობის მოქმედების განსა-
 ხივრების უფლებაც წაართვეს“. (ტ.
 III გვ. 355). ამაზე უარესი კიდევ ის
 იყო, რომ საერობო კრებას არ შეეძ-
 ლო იმ წევრის ამონჩევა, რომელიც
 ლირისი იქნებოდა გამგეობაში მუშაო-
 ბისა. 90 წლის კანონის 124 მუხლი
 პირდაპირ მოთხოვდა გამგეობაში ისეთ
 პირის გაყვანის, რომელსაც სახელმწი-
 ფო სამსახურში შესვლის უფლება ჰქონ-
 და განათლების ცენტის მიხედვით. (ეს
 წესი შემდეგ მხოლოდ 1906 წელ-

ში მოსპეს 5 ოქტომბრის უქა-
 ზით). ერთბა და ერთბის სამ-
 სახური სრულიად გაუთანაბრეს სა-
 ხელშეწიფრო სამსახურს თავის იერარ-
 ქითა და ჩინ-ორდენის პატივისცე-
 მით. გამგეობის თავმჯდომარის და წევ-
 რის დასჯა გუბერნატორს შეუძლია
 სასამართლოს გარეშე,

გუბერნატორს

შეუძლია ყოველ დროს, როცა მას
 მოესურვება, მოახდინოს რევიზია სა-
 ერთობო დაწესებულებაში,

1890 წლის დებულებით დააწესეს
 საგუბერნო საერთო საკრებულო,
 რომელიც სწყვეტს ერთბის მრავალ
 საკითხს. აქ თავმჯდომარეობს გუბერ-
 ნატორი და იგივეა სული და გული
 მთელი საკრებულოსი. შეიძლებოდა
 ბევრი წვრილმანების ამოკრეფა ერთ-
 ბის კანონისა და ისტორიიდან, მაგრამ
 ვთიქმობთ, რომ აღნუსხულიც საკმაოა
 იმ ორგანიზაციის გახაუნობად, რო-
 მელსაც 90 წლის საერთო კანონი
 ამყარებს. არსებითად, ივი სრულიად
 სპობს ერთბის ძალას, როგორც საზო-
 გადოებრივ დაწესებულების. სლობო-
 უანინი კარგად ამბობს: 1890 წლის
 დებულების შემდეგ რა დამოუკიდე-
 ბელ მართველობაზე შეიძლება ლაპა-
 რაკი, როცა აღმინისტრაციას შეუ-
 ძლია ყოველი მისი გადაწყვეტილება
 შესკვეალოს, თუმცა საუკეთესო მოლვა-

წეც მთაშორის მართველობას და სხ.
 (სლობიუმანინის თხზულება, გვ. 108).
 და მართლაც, ერობამ 1890 წლის დე-
 ბულებით დაპყარგა თავისი მნიშვნე-
 ლობა, ძალა, გავლენა, იგი გარდაიქცა
 ერთ დაწესებულებად ბიუროებატიულ
 წეს-წყობილებაში. არავითარი ხალხუ-
 რი, დემოკრატიული და დინამიური
 მასში არ იყო; ყოველ შემთხვევაში
 ისეთი, რომელითაც არსებითი ცელი-
 ლება ან გაუმჯობესობა შეიძლებოდა
 რესეტის ცხოვრების.

ასეთ ნიაღაგზე მოწყობილი საერო-
 ბო თრგანიზაცია მთავრობისათვის
 სრულიად არ იყო სახიფათო, საშიში.
 თვით პაზუხინებს, კატეკოვებს და ვა-
 ლუეების მოწაფეთ ძლიერ კარგიდ
 მოეხსენებოდათ, რომ საერობო თრ-
 განიზაცია ერთი ჩვეულებრივი თრ-
 განიზაცია იყო ბიუროებატიულ მა-
 რთველობაში და ამიტომ, ერობის კო-
 მპეტენცია მთავრობის კომპეტენციას
 შეადგენდა, ერობის საქმე მთავრობის
 საქმე იყო და მეტი არაფერი. გაფარ-
 თოვება ერობის კომპეტენციის თვით
 მთავრობის უფლების გაფართოვება
 იყო არსებითად და სწორედ ამიტო-
 ბაც რამდენადმე გაფართოვებულ იქმ-
 ნა უკიდურეს რეაქციის ხანაში 1890 წ.
 კანონით ერობის კომპეტენცია. ამ გა-
 რემოვებით ბევრი საერობო მოლვაწე
 იყო და არის დაბრმავებული, თვით
 ვესელოვსკიც კი პუმანიურ აზრს გა-
 მოსოდევს ამ საგანზე, მაგრამ ჩვენ
 ყოველი მოვლენა ლრმად და ფართოდ
 უნდა გვესმოდეს და არა გარეგნულის
 მხრით.

პრინციპიალურის თვალსაზრისით
 1890 წლის დებულებაში ორი ხასია-
 თის უფლება იყო საგულისხმიერო, რაც
 შემდეგაც გამოდგება, თუ იგი გაფარ-
 თოვებული, განეითარებული და გა-
 ღრმავებული იქმნა. პირველი: 90 წ.
 დებულების 116 მუხლი უფლებას აძ-
 ლევდა კრებას გამგეობის თავმჯდო-
 მარედ და წევრად აერჩია არა მხო-
 ლოდ ხმოსანი, არამედ ყოველი სრულ
 ცენტიანი ამომრჩეველი. მეორე: გაფა-
 რთოვებულ იქმნა სავალდებულო და-
 დგენილების გამოკემის უფლება. მა-
 რთალია, ეს დადებით მხარედ უნდა
 ჩაითვალოს 1890 წლის საერო-
 ბო დებულებაში, მაგრამ მისი მნიშვნე-
 ლობის გაზვიადება ყოვლად შეუძლე-
 ბელია. და ამ დადებით ძალებს არსე-
 ბითად არავითარი ნაყოფი არ მოუ-
 ტანია რუსეთის ცხოვრებისათვის, ვი-
 ნაიდან ისეთი უფლებით სრულიად არ
 იცვლებოდა კონტინგენტი საერობო
 მოღვაწეთა, მოძრაობაში არ მოდიოდა
 ხალხის ცოცხალი ძალა და ერობას
 ხომ იმდენად აქვს მნიშვნელობა, რამ-
 დენადაც ის პკრებს ხალხის ცოცხალ
 ძალას. 1890 წლის ივნისის კანონმა
 ჩატკლა ენერგია, ერობა შე-
 იქმნა წმინდა ბიუროკრატიულ დაწე-
 სებულებად, ასე ვსოდეთ, ფილიალური
 განყოფილება არსებულ კანცელიატე-
 ბის და თუ შემდეგში რაიმე ნაყოფი
 მოიტანა რუსეთის ერობამ, მოიტანა
 არა როგორც ერობამ, საერობო სა-
 ხალხო დაწესებულებამ, არამედ რო-
 გორც ერთმა ბიუროკრატიულმა, მთავ-
 რობის ჩეეულებრივმა დაწესებულებამ.

რესევტის ერობის ცხოვრება და ის-
 ტორია არ განისაზღვრება 1890 წლის
 ივნისის კანონით. ერობა დღესაც არ-
 სებობს რესევტში, მაშასადამე მისი ის-
 ტორია, ცხოვრება ახალ დროსაც
 ყველაზე ცხადია, ჩვენ სხარტად უნ-
 და გავიცხოთ სხვა საერობო კანონე-
 ბიც, რომელნიც საერობო ორგანიზა-
 ციაში ცვლილებას ახდენდნენ.

6.

ახალი ხანა ერობის ცხოვრებაში.

1864 წლის პირველ იანვარს გამოა-
 ცხადეს საერობო კანონი. მეორე წლი-
 დანვე განახორციელეს იგი, მაგრამ
 იმ წლიდანვე დაიწყო მისი შევიწროე-
 ბა. 1890 წელი უმაღლესი საფეხურია
 ამ მხრით, ერობა საესებით დაეცა.
 რაღა დარჩა 64 წლის ერობიდან 90
 წელში—არსებითად არაფერი, მაგ-
 რამ თვით სუსტი საერობო ერთეულიც
 საფრთხედ მიაჩნდათ.

1890 წლის 12 ივნისის კანონით
 საფუძველიანად შიერყა ერობის დამო-
 უკიდებლობა, მაგრამ 1891 წლიდანვე
 კვლავ იწყებენ საერობო მოღვაწეობის
 ფარგლის კომპეტენციის განსაზღვრას.
 ერობის მოღვაწეობის უმთავრესი ას-
 პარეზი სკოლები იყო. თვით კატე-
 კიც არ უარყოფდა ამ საქმეში ერობის
 გავლენას, მაგრამ ერობა აქ მეტის-
 მეტად შეავიწროვეს. 1892 წელში
 საგანგებო ბრძანებით საერობო დაწე-
 სებულებებს ეკრძალებათ პირველ-დაწე-
 ბებით სასწავლებლის დაარსება. ხო-
 ლო არსებულ სკოლებში რომ გაემეფი-
 ბინათ ბიტონერა ჭიული სულისკვეთი-
 ბა, ნაცვლად საზოგადოებრივ აზრე-

ბისა, მთავრობა ცდილობს სკოლის გამგეობაც თავის გავლენის ქვეშ და-აყენოს.

1894 წლის 7 თებერვლის კანონით ერობას ართმევენ სკოლის აღმინის-ტრაციის შედგენის უფლებას. სკო-ლის გამგეობა, ამ კანონით, უნდა დაამ-ტკიცოს თვით მთავრობამ. ესეც არ იკმარეს და მოინდობეს სკოლის თვით საქმეებშიც პირდაპირ ჩარევა. ამ მიზ-ნით, 1896 წელში გამოდის დადგენი-ლება, რომ ერობის უფროსები, „ზემს-კიე ნაჩალნიკი“ სასკოლო საბჭოებში წევ ებადე იქმნას ჩარიცხული. ამნაირად, სკოლის საქმეშიც საფსებით, ფაქტუ-რადაც და ფორმალურადაც გაბატონდა ბიუროკრატია.

1893 წლის 8 ივნისის კანონით ავიწროებენ ერობას ქონების შეფა-სების საქმეში, ხოლო ამავე დროს იბადება მთელი წყება ახალ პროექ-ტებისა, რომელნიც კიდევ უფრო ავი-წროებენ ერობის არსებო-ბას. ყველა ეს კანონ-პროექტი ბიურო-კრატიის მაღალ წრეებში იწვევენ ერთ-ნაირ კამათს, ბრძოლას, შეხლა-შემოხ-ლას, რომ 1900 წლიდან გამარჯვე-ბულმა მიმართულებამ საფსებით და-ცეს ერობის ხსენება.

ყველაზე მეტად საგულისხმიერო, სა-შინელი და წარმოუდგენლად მძიმე ხარჯთ-ალრიცხვის ფიქსაციაა, საერობო ხარჯების განსაზღვრაა. ერობას, მის არსებობას, მის მოქმედებას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როცა ცხოვრების განვითარების და ერობა-საზოგადოე-ბის მოთხოვნილების მიხედვით მას შეუ-

ძლიან, .საშუალება იქნეს ფრთხები გა-
 შალოს, გააფართოეოს მოლვაწეობა, ცხოვრებას ალლო აართვას და კულ-
 ტურული განვითარება, წინმსვლელობა
 გაამტკიცოს, გააღრმავოს. ერობა სწო-
 რედ ამ მიზნით იქმნა დაარსებული
 1864 წლის პირველ იანვარს, მაგრამ
 არსებითად ბიუროებრატია ვერ შეუ-
 რიგდა საზოგადოების კულტურის
 მხრივ განვითარებას და ამიტომ, 1900
 წლის 12 ივნის აქცეუნებენ კანონს,
 რომლის მიხედვით ერობის ხარჯე-
 ბი ისაზღვრება. ძალა-უნებურად ერო-
 ბამ უნდა შემოფარგლოს და განსაზ-
 ღვროს ასპარეზი მოლვაწეობისა, მას
 ფიქრიც კი არ შეუძლიან რაიმე ახალ
 საქმეზე მიაქციოს ყურადღება, პერს-
 პექტივა ილუპება და თაოსნობაც იკარ-
 ვება. 1900 წლის 12 ივნისის კანონი
 ნამდვილი სიკედილია ერობისა—რო-
 გორც საზოგადოებრივი დაწესებუ-
 ლებისა.

1900 წლის 12 ივნისის კანონითვე
 ერობის მოლვაწეობა შეზღუდულია
 ხალხის გამოკვების საქმეშიც (про-
 довольственное дело), 1901 წლის
 20 ივნისის ბრძანებით ერობას ავიწ-
 როებენ წიგნების გამომცემლობის
 მხრივ, ხოლო 8 ივლისისა და 28 օგ-
 ვისტოს კანონებით (1901 წ.) ბიურო-
 ებრატია შეუძლებლად ხდის ერობების
 ურთი-ერთობას, დამოკიდებულებას,
 ერთად შექმნებას, საერთო პირ-ვარა-
 ბის გასაზიარებლად.

1902 წლის 30 მაისის ბრძანებით
 აკრძალეს სტატისტიკური გამოკვლე-
 ვები, 10 ივნისს (02 წ.) ვიტერინა-

რიცხვ საქმეში იქნება ბიუროკრატია
და აბნაირად, ერობის არც ერთი დარ-
გი, არც ერთი საქმე არ დატენილა,
რომ ხელშეუხებლად დატოვებინათ.

მთავრობის მიმართულების დასახა-
სიათებლად ფრიად საყურადღებოა
ფონ-პლევეს აქტი. 1903 წლის 2 აპ-
რილს რესეტის დასავლეთ გუბერნიებ-
ში (კარია გუბერნიაში) ერობის კიდევ
ახალი ტიპი იქმნა შემოლებული. 1903
წლის 2 აპრილს დებულებაში არა თუ
1864 წლის ძირითადი დებულებაა გა-
მოყენებული, თვით წოდებრივი და
ქონებრივი საფუძველი საერობო ორ-
განიზაციისა, 1890 წლის იუნისის კა-
ნონით რომ არსებობდა, სავსებით იქმნა
უარყოფილი. ერობას იმიტომ ჰქონდა
ერთნაირი ძალა, მნიშვნელობა, უკეთ
— ავტორიტეტი, რომ „საზოგადოების“
არჩევნებით ხდებოდა. ვიწოდ იყო
ფარგალი ამომრჩეველთა, მაგრამ რამ-
დენამდე მას აჩნდა კოლეგიალური ძა-
ლის ელფერი. რაც უნდა იყოს ძირი-
დან შენდებოდა ერობა, საფუძველი
ჰქონდა მას, ჯერ საძირკელს იმიგ-
რებდნენ, შემდეგ კედლებს და თაღს.
1903 წლის 2 აპრილს აქტით თვით
ეს ნასახიც კი მოსპეს და ერობა მაღ-
ლიდან დააწესეს, ბრძანებით, სწორედ
ისე, როგორც რომელიმე კანცელია-
რიას დაარსებულ ხოლმე იმა თუ ის
საქმის გასაკეთებლად. ისეთი კანცე-
ლარია არის 1903 წლის დასავლეთის
9 გუბერნიაში შემოლებული ერობა.
„ ამ დებულებით (1903 წ. 2 აპრი-
ლის შესახებ) — ამბობს საუკეთესო
მცოდნე ერობის ცხოვრებისა და კა-

ნონებისა მორის ვესელოვსკი—შეადგინეს საგუბერნიო, სამაზრო კომიტეტის და გამგეობანი საერთო მართველობისათვის. საგუბერნიო კომიტეტს უმთავრესად ბრძანებლობის, გამგებლობის უფლება იქვს, სამაზრო კომიტეტის კი ამუშავებენ საერთო მეურნეობიდან უმთავრეს საკითხებს. საგუბერნიო კომიტეტი შესდგება: გუბერნიისა და მაზრის თავად-აზნაურობის წარმომადგენლებისაგან, საგუბერნიო კალაქის მოურავისაგან, გუბერნატორის თანაშემწევესაგან, გუბერნიის 5 დიდ მოხელესაგან და მაზრიდან ორ-ორი წარმომადგენელისაგან, რომელსაც ნიშნავს, ამტკიცებს შინაგან-საქმეთა სამინისტრო. საგუბერნიო კრებაზე თავმჯდომარეობს გუბერნატორი. („ეროვნის ისტორია“ ტ. 3 გვ. 515). სამაზრო კომიტეტში თავმჯდომარეობს მაზრის თავ.-აზნაურობის წარმომადგენელი; წევრებია: საერთო უფროსები, ხარჯთ-ამკრეფი ინსპექტორები, ბოჭაული და სხ. ორი თუ ხუთი მამასახლისი გუბერნატორის დანიშვნით და ორიოდე მესაკუთრენი, შინაგან საქმეთა მინისტრის დამტკიცებით. მი, 1903 წლის 2 აპრილის ერობა. რა თქმა უნდა აქ ერობის ნასახიც აღარაა, მხოლოდ სახელი-ლაპ მისი. ამ სემითად იყო არის კრება მთავრობის მოხელეთა—გუბერნატორიდან დაწყებული მამასახლისამდე ერობის ისტორიაში ეს ტიპი საერთო მართულობისა ლოლიკური დასკვნა, განსახიერებაა, განალდებაა იმ მიმართულებისა, რომელსაც სახელმწიფო

ასე მტკიცედ ადგა მთელი ორმოცი
წლის განძივლობაში.

ასეთი საერთო წეს-წყობილება შე-
მოიღეს მხოლოდ 9 გუბერნიაში, ისიც
არა რუსთა ადგილებში. უმდვილად ამ
ნიადაგზევე მოაწყობდა მთავრობა
ერობას რუსეთის შიდა გუბერნიებშიაც.
ამას კარგად გრძნობდა ვესელოვსკი
როცა სწერდა: „ვინ იცის, მივიღებდით
თუ არა ერთბის რეფორმას 1903 წლის
2 აპრილის დებულების ნიადაგზე მო-
წყობილს, რომ რეაქცია არ შეეწყვიტა
იმ ამბებს, რომელნიც 1903 წლიდან
წარმოიშვა რუსეთში“. კეშჩარიტად,
თუ რუსეთის ერთბა ისევ შერჩა 1890
წლის ივნისის ძირითად დებულებას,
ბოლო არ მოეღო 1903 წლის კანონის
მიხედვით—მხოლოდ იმიტომ, რომ სა-
ზოგადოებრივმა სიღუბჭირებ უმაღლეს
საფეხურს მიაღწია. მეტის მომენა
შეუძლებელი იყო. მთელი წეს-წყობი-
ლება, უხოვრება და კინიდა, შევიწრო-
ვდა, გალატაკდა ხალხი, დაითრუნა
მოქალაქეობა და ასეთ პირობებში
ცხოვრება შეუძლებელობას წარმოა-
დგენდა. მთელი რიგი ლრმა და ფართე
მიზეზებისა იწვევდა მოძრაობას. ასეთ
ძალის წინაშე 1903 წლის რეაქციო-
ნურ კანონის გაერცელებაზე ლაპარაკი
ოცნება იყო. ამნაირად ჩაიკლა ეს
(1903 წ. კანონი) კანონი ერთხელ და
უნდა ვიფიქროთ სამუდამოდ.

საზოგადოებრივ მოძრაობის დრო
ხან-მოკლე გამოდგა. 1904—1905 წელ-
ში არაფერი მოუტანა ერობას. 1905
წლის დეკემბერში რევოლუცია მარც-
ხდება და 1905 წლიდან რეაქცია ვი-

თარღება. მაგრამ 1904—5 წლების
 მოძრაობა დიდი საზოგადოებრივი,
 ისტორიული ხასიათის მოძრაობა იყო.
 მუკდენი და ცუსიმა სევასტოპოლის
 ამბებს უდრიდა და შეუძლები იყო მი-
 სი გავლენის აცლენა. სახელმწიფოც
 კარგად ხედავდა ცხოვრების ახალ
 მოთხოვნილების ძალას, მნიშვნელობას,
 გრძნობდა, რომ სავსებით ძველ პირო-
 ბებში არსებობა შეუძლებელია, სახი-
 ფაოთოა და ამიტომ, მთავრობის წრეებს
 შორის მეტ სიფრთხილეს, სიფხიზლეს
 და უურადლებას ჰქონდა ადგილი. დრო
 იყო, შეეძლოთ, რომ 1903 წლის 2 აპ-
 რილის კანონი განეხორციელებიათ
 მთელ რუსეთში, მაგრამ ყველას ნაყო-
 ფის ეშინოდა. ვერვინ ბედავდა ასეთ
 კანონის ხელის ხლებას და ამნაირად,
 ერობის არსებობა 1890 წლის ნია-
 დაგზე ერთხნობით გამტკიცებულ იქმნა.
 პირიქით, მთავრობა თითქოს საზოგა-
 დოების მდგომარეობაში შედის და
 აქცეუნებს 1906 წლის 5 ოქტომბრის
 უქაშს, რომლითაც გლეხ-კაცობის უფ-
 ლება შედარებით ფართოვდება. ამ
 კანონით გლეხებს, რომელთაც ნადე-
 ლების გარდა აქვთ მამული საერო-
 ბო არჩევნების მეორე კრებაზე შეუძ-
 ლიათ მონაწილეობის მიღება, იგრეფ-
 ვე სოფლის ამორჩეულ პირების გუ-
 ბერნატორის დამტკიცება უარყოფი-
 ლია, ხოლო გამგეობაში და თავმჯდო-
 მარედ შესაძლებელი ხდება არჩევა
 ისეთი პირების, რომელთაც სახელმ-
 წიფო სამსახურის ცენზი არ აქვთ მო-
 პოებული. ესაა და ეს. ხსენებულ კა-
 ნონს არაუითარი არსებითი და და-

დებითი ცვლილება არ შეუტანია საერთობო კანონმდებლობაში. პირიქით, 1906 წლის 9 ნოემბრისა და 1906 წლის 24 მაისის უქაზებით 1906 წლის 5 ოქტომბრის შეღავათებს ამცირებენ, ძალას აკლიან და იმნაირად, ცხოვრებაში ვლებულობა 1890 წლის საუროვო კანონს მრავალ კიტკულიანებით, განმარტებებებით და შესწორებებით შევიწროებულს და განადგურებულს.

ერთობის ისეთი საფალალო მდგრადიერება პროგრესიულ რესერტს სრულიად არ აქმაყოფილებდა. არც კონსტიტუციონალისტ-დემოკრატები, არც ოქტომბრისტები, შრომის ჯგუფი და სოციალ-დემოკრატები იყვნენ არსებულ ერთობით კრაყოფილნი. ყველა გადაჭრით შრომისთვის საერთობო კანონმდებლობის ძირითად რეფორმებს, განვითარებულ ცხოვრების მიხედვით შეცვლას საარჩევნო უფლების და იხალ სისტემის შემოსებას, მაგრამ

საკანონმდებლო დაწესებულებაში ისეთი პროექტის განხორციელებას ცდილობდნენ, რომელიც სრულიადაც არ შეეფერებოდა იხალ საზოგადო ცხოვრების პირობებს. საერთობო პროექტები 1908 წლიდან პროექტად დარჩნა და დღესაც არ არის გადაწყვეტილი. სამაგიეროდ, სტოლიპინის მოლვაწეობამ იხალი წეს-წყობილება შემოილო დასავლეთ გუბერნიებში. რეფორმა განახორციელდა, 1903 წლის ბიუროკრატიული და წოდებრივ ნია-

დაგზე არჩეული ერობა შესცვალეს და ეროვნულ ნიადაგზე მოაწყვეს. რუსის ხალხს განსაკუთრებული ჯურადლება მიაქცია, ერობის მართველობაში რუსის ხალხს მისცეს ბატონობის საშუალება ებრაელების, პოლონელების და სხვა ინოზოდებების საზარალოდ. 1910 წლის კანონით შესრულდა საერობო კანონმდებლობა და მას აქეთ დღემდე არავითარი რეფორმა არ განხორციელებულა. საზოგადოება კვლავ მოიხსენიერდებოდა საერობო რეფორმას, ძირითად ცვლილებებს, თუმცა მოთხოვნილება მოიხსენილებად არის დარჩენილი.

ერობის ძირითადი კონსტიტუცია, კანონები, რომელზედაც ააგეს რუსეთში ერობა, ის წესრიგი მართველობისა, ერობაში რომ შემოიღეს საბედისწერო შეიქმნა რუსეთის ერობისათვეს. ბევრი მოლვაწე თავმრუდასხმულია რუსეთის ერობის მოლვაწეობით. ჩვენ სრულიად არ ვინაწილებთ ასეთ შეხედულებას. მარტივი მაგალითი თვით დღევანდელი ჩამორჩენილი

რუსეთია. ერობის პრიქტიულ მოლვაწეობას, მის შემოქმედებას რომ ვაკეირდებით, ჩვენ, უიპველია, ყურადღებას მივაჭირევთ მის ერთნაორ სიყოჩალეს. არის მომენტები, როცა ერობა მოქმედების ხალისს იჩენს, რაღაცას აკეთებს, მაგრამ წუთის, ეპიზოდის ხასიათი აქვს რუსეთის ერობაში ასეთ შენე მუშაობას. აბსოლუტურის თვალსაზრისით, ე. ი. საერთოდ, რუსეთის ერობამ რუსის საზოგადოებას სარგებლობა მოუტანა, მაგრამ შედარებით კი — არაფერა.

ცხოვრება გაცილებით მეტს მოით-
 ხოვდა, ხალხის არსებობის პირობები
 უფრო ჩქარი, უფრო ენერგიით მიის-
 წრაფოდა წინ, იწვევდა რთულ ცხოვ-
 რებას და ერობას სწორედ ასეთ ტენ-
 დენციისათვის, მსჯელობისათვის სა-
 თანადოდ არ შეუწყვია ხელი. ერობამ
 კვალი დააჩნია რუსეთის სკოლის, სა-
 ავადმყოფოების, გამოკვების, სესხის,
 მიწის, წყლის, წიგნების გავრცელები-
 სა და სხვადასხვა საქმეებს, მაგრამ
 იმდენად, რამდენადაც ასეთ კვალს
 თვით ბიუროკრატიული დაწესებულება
 დააჩნევდა, რამდენადაც მთავრობის
 დაწესებულებანიც აკეთებდა. სახელ-
 მწიფომ ერობა კანცელიარიად გარდა-
 იქცია და ერობის ნაყოფიც კანცე-
 ლიარის ნაყოფს უდრის. ეს პარა-
 დოქტორი არ არის, სრული კეშმარი-
 ტება. ხშირად, მთავრობის მუშაობაც
 წინ უსწრებდა ერობისას. მაგალ., სკო-
 ლის საქმეში განათლების სამინისტრო
 ხარჯივდა სკოლებზე: ¹⁾)

1897	წელში	.	.	1,7	მილ.	მან.
1900	"	.	.	3,1	"	"
1905	"	.	.	7,0	"	"
1910	"	.	.	35,9	"	"

ასეთს სურათს ერობის არც ერ-
 თი დრო არ წარმოვაიღებს. და-
 ახლოვებით ეს შევფიძლია ესთეტიკ
 მკურნალობის საკითხებე და კხოვრე-
 ბის ყოველ საგანზე, რომელზედაც
 ერობის კომპეტენცია-უფლება ვრცელ-
 დება. ამით ჩვენ არ ვამბობთ: ერობა
 საზოგადოდ უძლეურია, მას არაფრის

¹⁾ ბ. ვესელისკი, ტომი მეოთხე, 23-
 96.

გაკეთება არ შეუძლიანო. პირიქით, ჩვენი შეხედულებაა: ერობა ფრიად საჭირო დაწესებულებაა, ის უნდა შემოვილოთ, გავათაროთოვოდ, გავაღრმავოდ, იმიტომ, რომ მას დიდი ნაყოფის, სარგებლობის მოტანი შეუძლიან ხალხისათვის. და თუ თანამედროვე რუსეთის ერობა არაფერს აკეთებს, ხათანადო გავლენას ვერ ახდენს ცხოვრებაზე—ეს იმიტომ, რომ კანონების საშუალებით ერობა შეაკიწროვეს. სწორედ ამიტომ ვამტკიცებთ: თანამედროვე ერობის საჭმე—უმნიშვნელოა, მას სრულიად არ შეუძლიან ხალხის იმედი გაამართოს და სიხოვალებრივ ცხოვრების განვითარება განამტკიცოს.

ერობა ცოცხალი საჭმეა, ისე ცოცხალი—როგორიც თვით ხალხი, საზოგადოება. ერობის ბუნება—თავისუფლებაა, თაოსნობაა, რწმენადა ხალხოსნური სიყვარული. რუსეთის ერობა კი ხელში ჩაუგდეს

მსხვილ მემამულეებს, რომელიც ბატონ-ყმურ სულისკეთებით იყვნენ გამსჭვალულნი. ერობის ძალები ხშირად ერობისაც დასცინდნენ, ებრძოდნენ იმ დაწესებულებას, რომელშიაც იყვნენ მოქალათებულნი. ასეთ ხალხის ერობის არა გვწამს რა, მისი სარგებლობა—საეჭვოა, მისი გულწრფელობა—ტყუილია.

ასე ვაფასებთ ერობის ძალთა მოლვაწეობას, მათ სულისკეთებას. სამართლიანი შეიძლება მკრთხველ საზოგადოებამ გვისაყვედუროს: რას ამბობთ, განა ერობის ხალხი არ იყო

თავგამოდებით იბრძოდა უკეთ წეს-
 წყობილების სასარგებლოდო? და მთე-
 ლი რიგი მარტივი ცნობების მოყვანა
 შეიძლება ამის სასარგებლოდ. რა თქმა
 უნდა, ჩვენ ამ საბუთებს, მარტივ მა-
 სალებს ძლიერ ვარგად ვიცენობთ. სა-
 ბეჭნიეროდ, რუსების ერობის შესა-
 ხებ საკმაოდ მოიპოვება ყველაფერი მა-
 სალი, მაგრამ შეუძლებელია მასალამ
 დაგვაპრმაოს, დაგვაყრუოს, გონება
 წაგვართვას. ეინ არ უწყის, რომ 1905
 წელში ერთობასა და მმობაზე ისეთი
 ხალხიც ფიცულობდა, რომელთაც
 გულწრფელადა სძულდა პირველიც და
 მეორეც. მაგრამ ეს იყო ლროების ნა-
 ყოფი და არა იდამიანის, ძალთა ნამ-
 დვილი სულისკვეთება. რუსეთის ერო-
 ბა ამ მხრით მართლა რომ საყურად-
 ღებოა. ის რეაქციონურ ძალებით ვა-
 იგსო ქანონების მეობებით და ერთ აც
 რეაქციონური გამოვიდა. რეაქციონუ-
 რი—ამ სიტყვის ნამდვილის მნიშვნე-
 ლობით. 1906 წლიდან რუსეთის რეა-
 ქციის ისტორია, ამ დროს ერობის
 მოლგაწეობა—ამის ნამდვილი საბუთია.
 ბორის ვესელოვსკის მრავალი მასალა
 მოჰყავს ამის საიულისტრაციოდ. ხერ-
 სონის გუბერნიის ხუთი ერობა 342 ათას
 მანეთს სდებს პოლიკიის გასამლიქრე-
 ბლად, ხოლო თანხის ნაწილი მოდის
 „მოლალატეების“ ციმბირში გასაგზავნ
 ხარჯების დასაფარავად. მრავალ ათას
 მანეთს იძლევს „მაძებარ პოლიკიას“
 ერობა ეკატერინებულავის, ილექსანდ-
 რიის, კურსკის, ნოვორისკოლის, ვორო-
 ნეეის და სხ. ხსენებული ივტორი
 1906—7 წლების შესახებ ამბობს:

ერობის ისტორიაშ აზ იცის ისეთი უგ-
 ვანო ხანა, როგორც 1906—7 წლები.
 ებრძოდნენ როგორც პოლიტიკურ მო-
 წინააღმდეგებს ხმოსნებ შორის, ისე
 „მესამე ელემენტებს“, აუქმებდნენ და
 სპობინენ საერობო მეურნეობის მთელ
 დარგებს, რომელიც არაკეთილ სიმე-
 დოების (რა თქმა უნდა პოლიტიკუ-
 რის მხრივ — თ. ლ.) ნიშანს გამოიღებ-
 და... ჩვენი გამოანგარიშებით, მარტო
 დეპეშები გაეგზავნა პ. ა. სტოლიპინის
 157 სამაზრო ერობისა და 18 საგუ-
 ბერნიო ერობის მხრივ, ე. ი. მთელი
 ერობის ნახევარისაგან. მაგრამ რიცხვი
 კიდევ მეტი იქნება...

ლუბასოვის თავდასხმაზე, იგნა-
 ტიევის მოყვლაზე ისინი ცხარე დეპე-
 შებს თხზოვენ. იგრარულ მოძრაობის
 დროს საერობო დაწესებულებანი მოი-
 თხოვენ გლეხ-კაცობის დასჯას და სხ.
 მართალია, რეპრესიები ბევრ ერობას
 არ მოჟოხოვნია, მაგრამ მხოლოდ
 იმიტომ, რომ აგრარული მოძრაობაც
 მალე შესწყდათ — გვისნის ცესელოვ-
 სკი (იხ. ტ. მეოთხე, გვ. 24, 21, 28,
 29, 49, 50, 52, 54, 61, 62 და სხ.)

საერობო ცხოვრების ასეთი პირო-
 ბებისა გამო ის კულტურის განვითა-
 რებას უკან ჩამორჩა, ვერ გააკეთა
 რა(?) უნდა გერეტებია, რისი გაკეთე-
 ბაც მას შევძლო.

ძალიან საკულისხმიერო და დამახა-
 სიათებელია, რომ რუსეთის ერობის
 მუშაობის გამოკოცხლება იწყება სწო-
 რედ მაშტან, როცა სასტიკი რეაქცია
 განვითარდა, როცა ერობას მუხრუჭი
 მოუჭირეს — 1890 წლიდან. ამ დროი-

დან ბევრი რამ გააკეთა ერობამ, მა-
 გრამ არა ისე, როგორც საზოგადოე-
 ბრიეტმა დაწესებულებამ, არა ისე მტკი-
 ცე და ფარისედ, როგორც სახალხო
 საქმემ, არამედ როგორც კანცელიარი-
 ამ. ჩვენ დავინახეთ, — 1890 — 1900 წ.წ.
 კანონებმა ერობის ორგანიზაცია იჩ-
 სებრთად კანცელიარიის ორგანიზაციის
 დამსახულების. ეს ასე იყო არა ფორ-
 მალურად მხოლოდ, არამედ ფაქტიუ-
 რადაც. 1890 წლიდან ერობაში მუ-
 შაობა ნებაყოფლობით კი არ ხდება —
 არამედ იძულებით. საერობო მოღვა-
 წე ისე მუშაობს, როგორც მოხელე-
 ასეთი პირობები შექმნა 1890 წლის
 ერობის მუშაობამ და იმიტომ იყო
 რაც გაკეთდა, გაკეთდა ნაკლები — რაც
 გაკეთდებოდა საზოგადოებრივი თაოს-
 ნობა და ხალისი რომ ყოფილიყო,
 გაკეთდა მეტი — არაფერთან შედარე-
 ბით. ასეთი ტემპი განვითარებისა
 ჩვენ არ გვაქმაყოფილებს და არც არი-
 ვის დააკმაყოფილებს. რესერვის ერო-
 ბის ცხოვრებისა და კანონმდებლობის
 გათვალისწინებით ულებულობით შემ-
 დეგ დასკუნას: ერობა ფრიად სისუტ-
 ველი დაწესებულებაა საზოგადოდ, მა-
 გრამ მისი თანამედროვე წეს-წყობი-
 ლება

უნდა შეიკვე-
 ლოს, მოეწყოს ცხოვრების ახალ პი-
 რობების მიხედვით, რომ მან გააკე-
 თოს როგორც სახალხო ისე სახელ-
 მწიფოებრივი საქმე. ამ შეხედულებით
 უნდა შევეხოთ ჩვენ ერობის საკითხს
 საქართველოში და იმ კანონ-პროექ-
 ტებს, რომელსაც ესა თუ ის საზოგა-
 დოებრივი ჯგუფი წამოაყენებს.

ჩეენი ცხოვრება და ერთბა

1864 წლის 1 იანვრის დებულება მოითხოვდა მთელს სახელმწიფოში საერთო წეს-წყობილების შემოღებას. მესამოცე წლებში ყველა ასე ამბობდა: 61 წლის რეფორმა მოქალაქეობრივ განწყობილებას იწვევს არა მხოლოდ ტვერსა და მოსკოვში, ან რიაზანსა და კორონეებში, არამედ საზოგადოდ მთელ რესუფტიში, რომ ბუნებრივი და აუკილებელია სახელმწიფოს წეს-წყობილებაში ერთნაირი მართველობა იქმნას შემოღებული, რომ იერარქია საჭირო არ არის, როგორც ეროვნულ უფლებაში, ისე მართველობაში.

საღი იყო ეს პრინციპი, მაგრამ იყი ძლიერ მაღე დაიკინუეს. ბატონ-ყმობა გადააგდეს ჩეენში 1864 — 5 წლებიდან, ამნაირად, გლეხ-კაცი თავისუფალი ადამიანი შეიქმნა, მისი ცხოვრება ძირითესეიანად შეიცვალა, ხალხს სხვა მიწნები და ინტერესები დაესახა. ქართველი გლეხი ცხოვრების ასპარეზზე გაირიყა და საჭირო იყო ზრუნვა თვითარებობისათვის. ფეოდალურ კედელს ის ვერ მიყენდნობოდა, ვინაიდან ბატონ-ყმურ კედლებიდან მხოლოდ ნაფოტები იყო. ამიტომ, გლეხ-კაცს ინდივიდუალური, კერძო მეფენეობრივი შემოქმედება უნდა გიეჩალხა ან-სებობის დასაცავად. ასეთი ეკონომიკური პირობები, მართალია, მძიმე იყო გლეხ-კაცობისათვის, მაგრამ ის იწვევდა მის პირადობის, მოქალაქეობის გამტკიცებას. ის სრულ-უფლებიანი ადამიანი გახდა, დამოუკიდებელი, ოჯა-

ხის მესვეური, საზოგადოებაში თაო-
 სანი და სახელმწიფოში საყურადღე-
 ბო. რამდენადაც წინ მიღიოდა დრო,
 იმდენადვე ეს ტენდენცია მძლავრდე-
 ბოდა, იმდენადვე მაგრადებოდა ხალ-
 ხის მოქალაქობრივი ცხოვრება. 1861
 წლის აქტით ხალხი იძულებული შე-
 იქმნა ეკონომიკურ ნიადაგზე თვით-
 მართველობა გაეჩაღებია, ე. ი. სა-
 კუთარი ეკონომიკა მოეწყო, სწორედ
 ისე, როგორც მის საშუალებას, შეძ-
 ლებას, სურვილს და ცოდნას შეეფე-
 რებოდა. უმშეველად, ხალხი თვითონვე
 უნდა ყოფილიყო ეკონომიკურ მდგო-
 მარეობის გამომჰკედი და ცხადია, სწო-
 რედ ასეთივე უნდა ყოფილიყო ის სა-
 ზოგადო მართველობაში. 1864 წლის
 საერობო აქტი, ამნაირად, სავსებით
 გამომდინადეობდა ერთი მხრივ 1861
 წლის მანიფესტიდან და მეორე მხრით
 თვით საზოგადო-ეკონომიკურ ცხოვ-
 რების ახალ პირობებიდან. აზრი ჰქონ-
 და მესამოცე წლების რეფორმებს და
 ეს აზრი უნდა გალომავებულიყო, გა-
 ფართოვებულიყო.

რესევტის სახელმწი-
 ფოებრივ გონიერამ საქმე ისე არ გა-
 დასწყვიტა, საჭირო რომ იყო, რო-
 გორც თვით სახელმწიფოს ლოლიკა
 მოითხოვდა. პირ-იქით, როგორც და-
 ვინახეთ, 1864 წლის საერობო დებუ-
 ლება სახელმწიფომ თანდათან შეა-
 ვიწროვა, ხალხის მასსა ჩამოშორდა
 მას, ბატონ-ყმურ ელემენტებს ჩაუგდო
 იყი ხელში, ხოლო მთელ რიგ ადგი-
 ლებში ერთობა სრულიად არ იქმნი შე-



მოლებული. მთავრობის თესლსაზრი-
სით ეს ასეც უნდა ყოფილიყო.

პირველად ერობის შემოლება ით-
ხოვეს ქართველებმა 1871 წელში, სა-
კითხი აღმრეს იგრედვე 1882 წელს,
1894 წელს, ხოლო 1905 წელში და
1907 წელში მეფის მოადგილე საჭი-
როდ აღიარებს საერთოდ კავკასია-
ში და კერძოდ საქართველოში ერო-
ბის განხორციელებას. ეხლა 1915
წელია (სექტემბერი) და ისეთ ერო-
ბის კანონ-პროექტს აფენენ ჩვენი
ცხოვრების ზედაპირზე, რომ დასავ-
ლეთ გუბერნიებში 1903 წლის კანო-
ნით შემოლებულ ერობას არაფრით
ჩამოუვარდება.

საერთოდ, ჩვენ ეხლა ერობის შე-
მოლების პირველ ხინაში, მოსამზადე-
ბელ დროში ვიმყოფებით. ეს არის
მხოლოდ ფორმალური მხარე მოვლე-
ნის, ობიექტურად კი ქართველ ხალ-
ხის (ცხოვრება და მდგომარეობა დი-
დი ხანია მოითხოვს და საჭიროებს
საერთო მართველობას.

საზოგადო — ეკონომიკური ცხოვრება
საქართველოში ისეა მოწყობილი,
გლეხ-კაცობის მიწისმფლობელობა შე-
დარებით ისე გაძლიერდა, ხოლო თა-
ვად-აზნაურობის მფლობელობა იმდე-
ნად დაეცა, ლატიფუნდიებს, დიდ მა-
მულებს ი' ე გამოეცალა ნიადაგი, რომ
წერილი მიწისმფლობელობა, საკუთ-
რება ეხლა გაბატონებული ფორმაა
ჩვენს ეკონომიკაში. თვით ეკონომიკუ-
რებაში გამოთავთავებულ, დამო-
უკიდებელ და საკუთარ მეურნეობას
აუფრიალებია დროშა და ეს გარემოე-

ბა ფაქტიურის მხრიց მოასწავებს ჩვენი საზოგადოების, მესაკუთრეების მოქალაქეობას, საზოგადოებრივ ძალთა შორის სწორუფლებიანობას. დღეს ყველა ადამიანი დამოუკიდებელია, თავისუფალია, ყველას ერთი რამ ახასიათებს — წარმოება, შრომა. ქართველ ხალხის უმეტესობა მიწის ან ფულის მონა აღარ არის, ეხლა მიწაცა და ფულიც ცხოვრების სალსარია ადამიანის ხელში. ადამიანია მუშაცა და ქაპიტალისტიც, გლეხიცა და თავადიც. მათ შორის მოისპონ ძველებური და მოკდებულება, ყველას საკუთარი ინტერესი აქვს და ეს ინტერესები ისე ძლიერი და მტკიცეა, რომ შეუძლებელია დამტკიცება: სკოლაში თავადი უფრო დაინტერესებულია თუ გლეხი, ექიმობის მოწესრიგება მუშას უფრო ახარებს თუ მრეწველს. ეხლა გზა, სკოლა, ექიმობა, წყალი და სხვა მოვლენები როგორც ლარიბის, ისე შეძლებულისათვის აუცილებელი გარემოებაა, ლრმად საჭირო და ამიტომ, ასეთ საჭმელების კეთილდღეობაში საზოგადოების ყოველი ნაწილი ფართე დაა დაინტერესებული. ფაქტიურად საქართველოს მთელ ცხოვრებას საერთო, ხაერთო ხასიათი აქვს მიღებული, მხოლოდ ეს ობიექტიური სინამდვილე ფორმალურად არ არის ჩამოყალიბებული, განხორციელებული.

ერთობის განხორციელება ჩვენი ცხოვრების შემომქმედ ძალებს არეს მისცემს, საჭიროებას გაანალიზებს, ნამდვილ შისწრაფებას განაცილებს, საერთოდ, ქართულ კულტურის მსელე-

ლობას თავის მხრიց განამტკიცებს.
 ვანსაკუთრებით საჭიროა ერობის ძა-
 ლის ამ მხარეს მიეჩვეს ყურადღება.
 ქართველი ხალხი არაჩვეულებრივ პი-
 რობებშია ჩაყენებული. მთელი ჩვენი
 ცხოვრება უწესოდ ვითარდება და სა-
 არაკო სილატაკითა და სივიწროვით
 ახერხებს ქართველი მწარმოებელნი
 ქართულ მამულისა და კულტურის და-
 ცვას. თუ ვარეგნოლ სახეს არ მივაქ-
 ცევთ ყურადღებას ჩვენი სოფელი
 დიდ ქონებრივ სილატაკეს განიცდის.
 სოტელელთა წარმოება სადა და მარ-
 ტივია, ნოყიერი მამული მეათედს ას
 გვაძლევს იშისას, რასაც მოგვცემდა
 აგრი-კულტურის გამოყენებით. ჩვენში
 არ არის საგანგებო განათლება, ჩვენ-
 ში არ არის ცოდნა, გამოცდილება,
 ტრადიცია, ეკროპიული ხასიათის ვა-
 კრობა და მრეწველობა. ქართველი
 ხალხი ქრონიკულ შიმშილს განიცდის,
 ბუდმივი მოუსავლობა, წყალდიდობა,
 მეწყერი, ავადმყოფობა, სიკვდილი,
 ყოველივე ეს გულის წამლები და
 კრძნობის შემლახველი სინამდვილეა,
 რომელსაც ვერაუინ უარყოფს. ჩვენ გა-
 ნზრას არ ვიყენებთ აქ ციფრებს, რომ
 სტატისტიკურის სისწორით დავამტკი-
 ცოთ რასაც ვაშრობთ. მავრამ არის
 მოვლენები, რომელსაც მხოლოდ დასა-
 ხელება უნდა და არა მტკიცება. ასე-
 თი მოვლენა—ჩვენი ცხოვრების კულ-
 ტურულ-ეკონომიკური ჩამორჩენაა. ერთ
 კუთხეს ვერ დავასახელებთ, სადაც
 სათანადოდ იყოს ეჭიმობის საქმე მოწ-
 ყობილი, სოფელი არ მოიპოვება წყლის
 საქმე გონივრულად ჰქონდეს მოწესრი-

გებული, იშვიათ მავალითად თუ წავაწყ-
 დებით საღმე საზრიან მეურნეობას და
 თუ საღმე რაიმე სანუგეშო ვნახეთ,
 მას ექნება მხოლოდ კერძო, შემთხვე-
 ვითი ხასიათი, ის არ იქნება ტაპიური
 და საზოგადო ხასიათის საჭირ. პირდა-
 პირ მძიმე მდგომარეობაში იმყოფება
 ჩვენი ხალხი. არ არსებობს ლონიერი
 დაწესებულებანი, რომელზედაც დაყრ-
 დნობა შეიძლებოდეს, რომელიც მტკი-
 ცედ და გადაჭრით ხელს უწყობდეს
 ეროვნულ კულტურის შემოქმედებას.
 სავალალთა მდგომარეობა. რა თქმა
 უნდა, ამ გარემოებას საპატიო ლრმა
 მიზეზები აქვს, მაგრამ ერთი მთავარი
 მიზეზი ქართველთა ძალების თვითშარ-
 თველობის უქონლობაში მდგომარე-
 ბობს. ცხოვრება,—ბრმა წესით, ფატა-
 ლისტურად არ ვითარდება. ცხოვრე-
 ბას პატრონობა ესაკიროება, ცხოვრე-
 ბის საფუძველი და მამოძრავებელი—
 საზოგადოებაა და ი ცხოვრების
 ეს ბატონი და პატრონი ყოველ თაოს-
 ნობას არის მოქლებული. ეს დიდი
 ტრაგედია ჩვენი არსებობის. ეკონო-
 მიურად ხალხი თავისუფალია, თვით-
 მოქმედი ძალაა, მაგრამ ფორმალურად,

ხელ-

ფეხ შეკონილია, რომ ეროვნული, კო-
 ლექტიური ნების-ყოფა გაამეფოს, განა-
 ვითაროს. აუტანელია მდგომარეობა
 კიდევ უფრო იმიტომ, რომ კულტუ-
 რულად ჩვენ ჩამოვმოწით პირველ-
 ყოფილ მდგომარეობას, თანამედროვე
 განათლებამ, ცივილიზაციამ რამდენად-
 მე თვალი იგვიხილა, კარგს ავისავან
 ვარჩევთ, ხოლო ხათან: დო თვითმოქმე-

დება ვერ გაგვიჩალხავს, რომ ცხოვ-
რების და არსებობის მიზნებით გავა-
ნალდოთ.

ჩვენი ცხოვრების ასეთი მდგომა-
რეობის გამო ერობის საკითხი სულ
სხვა სახეს იღებს, ის ერთი მთავარი
წყობილება ხდება, რომელიც სწორედ
იმ მხრივ, რა მხრივადაც ჭართველობის
ცხოვრება დაბეჩავებულია, რამდენადმე
საქმეს აბრუნებს ტ ეროვნულ ძალას ანი-
ჭებს თვით-გამგებლობის საშუალებას.
ერობა ერთი ელემენტია სრული თვით-
მართველობისა და ამ ელემენტის გან-
ხორციელება, გამოყენება, განალდება,
სწორედ რომ დიდ კვალს დასტოვებდა
ჩვენს ცხოვრებაში. ჩვენი მდგომარეო-
ბის თვალსაზრისი ჩვენ მოვალედ გვხდის
განსაკუთრებით დიდი ყურადღება მი-
ვაჰკით ერობას და მის სასარგებლოდ
არა ჩვეულებრივად ვიშრომოთ, ვიმუ-
შოთ. თუ სათანადო პირობებში ჩა-
ვაყენებთ ერობას, თუ ის არსებულ
მდგომარეობის და საზოგადოების ძა-
ლების ნამდვილი გამომხატველი შეი-
ქმნა—ერობა დიდ მოძრაობას გამო-
იწვევს, ადგილობრივ მოლვაწე ელე-
მენტებს ცხოვრებისა თუ წარმოების
ურველ დარგში გამოიყვანს და ეროვ-
ნულ კულტურის სიმტკიცეს უზრუნველ
ჭყოფს. ერთი სიტყვით, საერობო მარ-
თველობა საჭართველოსათვის ისე სა-
კიროა, როგორც თევზისათვის წყალი,
როგორც ჩვენთვის პატი და საარსე-
ბო სავანი.

კულტურისა და პოლიტიკის მხრით
საჭართველოს ცხოვრება ერობისათვის
საფსებით არის მომზადებული. გ. თუ-

მანოგმა და რამდენადმე სხვებმა უკვე
 გამოარყენეს, რომ კულტურული და ქარ-
 თველი ხალხი არ ჩამორჩი რეასის
 ხალხს,

რაიცა ქართველობის
 ბუნებრივ ნიჭისა და სიმკვირცხლით
 იხსნება ხოლმე. კავკასიაში კი საქარ-
 თველო და ქართველი ხალხი ყველა
 ეროვნულ ჯგუფზე მაღლა სდგას, რო-
 გორც კულტურით, ისე ეკონომიკური
 მდგომარეობით, ეთნიკური სიმტკიცით,
 გეოგრაფიულ-ტოპოგრაფიულ და ის-
 ტონიულ პირობებით. მთელი კავკა-
 სიაც კი მზად არის ერობისათვის, ისე
 მზად, რომ გ. სააკოეი მეფის მოადგი-
 ლეს ერთ კრებაზე გადაწრით ამბობდა:
 ერობისათვის მკვიდრთა გონება გა-
 დამწიფდა კიდეცო! არა თუ მარტო
 სააკოეი, თვით ყოფილი მეფის მოად-
 გილე, გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშ-
 კოვი ამოწმებდა და ამტკიცებდა ამ
 ფაქტს.

ეხლა ყოველ საზოგადო ძალის მიერ
 არის აღიარებული მთელ კავკასიისა-
 თვის ერობის საჭიროება. ისიც უნდა
 აღვნიშნოთ, რომ ერობის განხორცი-
 ელება კულტურულ-ეკონომიკურ მობ-
 ზადებით კი არ უნდა იხსნებოდეს,
 არამედ ასეთ წეს-წყობილების შემთ-
 ლება ყოველთვის, ყოველ დროს საჭი-
 როა, როგორც კი საერთო მოლვა-
 წენი გაჩნდებიან ხოლმე. ერობა თვით
 იწვევს კულტურას და ამიტომ, უძულ-
 ტურო ერებს კულტურულ ერზე არა

ნაკლებ ესაჭიროება საერობო წყობილება. ჩვენი ცხოვრება საჭიროებს ასეთ ძალას, ის უფერებელ მხრივ მზადაა და მის გარეშე ცხოვრების წინ-მსვლელობაც მოუხერხებელია.

რა ნაირი უნდა იყოს ჩვენი ერობა?

8

ჩვენი ერობა

რუსეთის საერობო კანონებს, ერობის ძალას საზოგადო ცხოვრებაში ჩვენ დაწვრილებით შევეხეთ. ჟველა მკითხველი ნათლად წარმოიდგენდა იმ დუხვირ, ფრიად მძიმე პირობებს, რომელშიაც რუსის ერობა იმყოფება. ჩვენთვის ოუცილებლად საჭირო იყო რუსის ერობის ცხოვრების და კანონების—განსაკუთრებით ამ უკანასკნელის—განხილვა, მისი სულის-კვეთების წარმოდგენა. პირებს ყოელისა იმიტომ, რომ რუსის ერობის გადმონერებას აპირებენ საქართველოში, იმ სახით, რა სახითაც იყი რუსეთშია.

მეორე მხრივ, საქართველოს საზოგადო-ეკონომიკურ ცხოვრებას სხარტად შევეხეთ. ჩვენი ცხოვრება სამოქალაქო ცხოვრების ნიაღაგზეა მოწყობილი, აქ სულ იხალ დროის და პირობების წესებია წამოყენებული და მთითხოვს შესატერ ახალ კანონებს, ახალ წესებს. ამიტომ, როგორც რუსეთის საერობო წას-წყობილების განხილვა, ისე საქართველოს კონკრეტიულ სოციალ-ეკონომიკურ კულტურის წარმოდგენა გვაიძულებს ზურგი შევაქციოთ რუსეთში არსებულ საერობო წეს-წყობილების. ამნაირად, ჩვენი ერობა

სულ სხვა საფუძველზე უნდა მოეწყოს ეინებ რესის ერობა.

რანაირი უნდა იყოს ეს საფუძველი?

პირველ ყოვლისა საჭიროა ერობის მნიშვნელობა არ გავაზვიადოთ. სოციალ-ეკონომიკურ კულტურას ერობა ვერ შესცვლის, სტუქტურის საკითხი მას არ ეხება, უმთავრესად მისი საქმე საადმინისტრაციო საქმეა, რომელიც მთელ რიგ კულტურულ-პოლიტიკურ შემოქმედებით ხელს უწყობს საზოგადო ცხოვრების მამოძრავებულ ძალების წინსელის, განვითარებას. რა თქმა უნდა, ესეც ფრიად დიდი საქმეა და მისი ვანხორცივლება მხოლოდ მაშინ შეიძლება თუ ერობის შემოქმედებას თავისუფლებას მივანიჭებთ, თუ დავიცავთ ხალხოსნურ მართველობის წესებს საერობო . კანონებსა და ცხოვრებაზი.

ერობის მნიშვნელობასთან მჰილროდ დაკავშირებულია მისი წეს-წყობილებაც. ამას წინად, კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებაში მოღაპარება გამართა ერობის შესახებ. საგანვებო ყრილობაზე მოწვეულ იქმნა კულტურულ-განმანათლებელ დაწესებულებათა წარმომადგენელნი და ვამოჩენილი საზოგადო მოლვაწენი. ყრილობაზე საგულისხმიერო მოხსენება წაიკითხო ბ-ნმა ალიბეგოვმა. საკითხი ფართედ იქმნა დაყენებული, რასეც მოჰყვა პროგრამული ხასიათის შენიშვნები. ერთი შენიშვნა ჩერნოვის ძლიერ საინტერესოა. მოხსენებელი ალიბეგოვი ასეთ იმედს

ამყარებდა ერობაზე: „საერობო დაწესებულებანი კავკასიაში გახდება იმ სტიმულად, რომელიც ააყვავებს ხალხის სულიერ, ფიზიკურ და საექონომიკ ძალებს, რომელიც გააცოცხლებს და გააცხოველებს დედამიწის იმ უმდიდრეს კუთხეს. ერობა გახსნის კავკასიის წიაღს და ბუნებრივ სიმდიდრეს მიანიჭებს სახელმწიფოს. ერობა აამოძრავებს ჩვენს მრეწველობას და აღაშალლებს გლეხ-კაცობის კულტურულ მდგომარეობას. თავისუფალი, ფართო და ლია გზა კავკასიის ცივილიზაციისა, განათლებისა და ექონომიური წარმატებისაკენ,—აი ლოზუნვი, რომელიც დღეიდან შეურყევლად უნდა აღიაროს კავკასიამ“ (ანგარიში იხ. „სახალხო ფურც.“ № 329—15 წ.). როგორც ვხედავთ, საშვილისშვილო და საისტორიო საქმეს შეისრულებს კავკასიის ერობა. გატაცებით ლაპარაკობს ბ-ნი ალიბეგოვი, გულწრფელის ალტიკინებით, უმწიკველო რწმენით. მოხსენება ახდენდა შთაბეჭდილებას როგორც ლოლიკურის მთლიანობით, ისე პსიხიურის მხრივ და კრებაც იძულებული შეიქმნა „საკითხს ფართედ შეხებოდა. არა მხოლოდ პრაქტიკულის თვალსაზრისით, არამედ ობიექტურ სინამდვილის მოთხოვნილებით. კრებაც საინტერესო ამიტომ იყო.

ერობა მიზანს მხოლოდ მაშინ მიაღწევს, როცა საზოგადოების ფართო წრეების იმედებს განახორციელებს, ცხადია, პირობებიც ისეთი უნდა შეიქნეს, რომ ერობის ძალამ თავი იჩი-

ნოს, საზოგადოების იმედი გაამართლოს. კრების წევრებმაც ამ პირობებზე ჩამოაგდეს საუბარი. ერთბა ფრიად გლოსტიური არსებაა. მხოლოდ მაშინ მოიტანს ის სარგებლობას, სათანადო ნაყოფს, როცა ადგილობრივ ცხოვრების მიხედვით იწყებს მუშაობას, ადგილობრივ ცხოვრების საჭიროებაზე დგება და ერთს ცოცხალ, პროგრესიულ ძალას ითრევს შემოქმედებითი მუშაობის მორევში. პრინციპი, ერთბის ორგანიზაციის დედა აზრი, კავკისიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოების კრებაზე კარგად წამოაყენა გიორგი დურმიშხანის ძე ეკრულმა. უურულმა სოჭვა: ჩვენ ვსაუბრობთ კავკისიის ერთბის შესახებ, მაგრამ გვავიწყდება: ერთბის საქმეში შაბლონი შეუწყნარებელია, რაც გამოდგება თერგის თლქა და ბაქოს გუბერნიაში სრულიად არ შეეფერება ბათომისა და ქუთაისის გუბერნიას. ჯერ ადგილობრივი ცხოვრების პირობები უნდა იქმნას განხილული, შესწავლილი, რომ ერთბა ეროვნულ ცხოვრების მიხედვით მოვაწყოთ. ეს მართალი, კეშმარიტი აზრია. ჩვენ ვემხრობით კავკისიის ყველა მხარეში ერთბის შემოლების აზრს, მაგრამ შეუძლებელია საქართველოსათვის საჭირო ერთბა დაუკავშიროთ რომელიმე სხვა ერთიათვის საჭირო ერთბას, საერთო წყობილების ტიპს, ვინაიდან, პირველყოვლისა ჩვენთვის კეშმარიტებაა შემდეგი: საქართველო და ქართველი ხალხი წარმოადგენს განვითარებულ, თავისებურ კულტურას და ერთბაც ამის შესაფერი უნდა იყოს.

თერგის, ბაქოსა და ბათომ-ქუთაისს შორის დიდი განსხვავებაა. კიდევ მეტი განსხვავება არსებობს საქართველოსა და რუსეთს შორის. შეუწყნარებელია ნიკო ნიკოლაძის „მოძღვრების“ მიღება რუსეთსა და საქართველოს კულტურის, ეთნოგრაფიის და ისტორიის ნათესაობის შესახებ. კიდევ ვიმეორებთ: ჩვენი მდგომარეობა, კულტურა, ისტორია, ხალხის თვითშეგნება და სულიერი განწყობილება სრულიად თავისებურია და ყოვლად შეუძლებელია ერთი ყაზარმისათვის საჭირო წესები თავზე მოვახვიოთ ქართველ ხალხს. ჩვენ იმდენად დიდი ყურადღება უნდა მივაჭიოთ ბუნებრივ, გეოგრაფიულ, ისტორიულ და ეკონომიკურ პირობებს, რომ თვით საქართველოს საზღვრებში არსებულ სხვადასხვაობას, თემის, ხევის, მთისა და ბარის კულტურას თავისუფლად და ბუნებრივის მისწრაფებით გავიმლევინოთ ფრთხები. ამ თვალსაზრისს კავკასიაში მოლეაწე ლიბერალებიც თანაუგრძნობენ, რომელნიც ამ უამაღ ერთის საქმეს სათავეში უდგანან. ისინიც ნათლად იღიარებენ: 1890 წლის ერთბა განვახორციელოთ იმ დამატებითი ცვლილებით, რომელიც ადგილობრივ ცხოვრებისათვის იქნება ხაჭიროვ. ეს პრინციპი ძლიერ უნდა გაღრმავდეს, გაფართოვდეს და სულ იმის მიხედვით აიგოს საერთო წეს-წყობილება. ეს იგი 1890 წლის კანონი სრულიად შეიცვალოს.

რადგან ერთბა ფრიად დიდი საზოგადოებრივი საკითხია და ეხება ჩვენი

ცხოვრების ძირითად წეს-წყობილებას, ხოლო იგორს ადგილობრივ პირობების მიხედვით, ცხადია, საერთო წესებიც, კანონებიც ადგილობრივ ხალხის ძალებშია უნდა გამოარიციოს, გადასწყვიტოს. ეს იქნება საზრიანი და საკითხის ფართედ დაყენება. ეროვნული და საერთო მოღვაწეობაც უკეთელად ასე უნდა მოხდეს, მავრამ თანამედროვე მდგომარეობის პირობებში ამ გეგმის განხორციელება პირდაპირ იცნება. დღეს-დღეობით ეროვნული ძალები ვერ მიიღებენ სათანადო მონაწილეობას ეროვნულ-საერთო წეს-წყობილების გადაწყვეტის საქმეში. საერთო კანონი უნდა გატარდეს საკანონმდებლო დაწესებულების მიხედვით და ამნაირად, სახელმწიფო სათათბიროში, ჩვენი დეპუტატები პროგრესიულ ელემენტების საშუალებით უნდა შეეკადნენ სასურველ საერთო წეს-წყობილების დაწესებას.

რესერვი ერობა თავად-აზნაურობის ძალაშეა დამყარებული. იქ, ეხლაც კი, დიდ საზოგადოებრივ ძალას წარმოადგენს თ.-აზნაურობა. საქართველოში სულ სხვა მდგომარეობაა. იქ თავად-აზნაურობა ერის უულატაკესი ნაწილია, დიდი მამულები, ლატიტუნ-დია იღარ ირსებობს. წვრილი შეძლების ხალხი, უმთავრესად ვლებ-კუობა საქართველოს ცხოვრების ძარღვია. ისე დაქუცმაცემულია იქ თავად-აზნაურობის ქონება, რომ თვით თ.-აზნაურები თხოვლობდნენ: თუ ერობის საარჩევნო ცენზი არ შეამცირეთ ერობა მცირე ჯგუფის ხელში ჩავარდებათ.

ეს მოთხოვნა თავად-აზნაურობის კლასობრივი მოთხოვნილებაა. ისინი ისეთ ცვლილებებს მოითხოვენ, რომელნიც მათთვის არსებითადაა საჭირო. მეოცე საუკუნეში ყოვლად შეუძლებელია მთელი ცხოვრება მხოლოდ თ.-აზნაურულ პროგრამაზე დამყაროს. პირველ ყოვლისა წოდებრივი განწყობილება და უპირატესობა უნდა იქმნას მოსპობილი. რუსეთში ერობის მოლვა-წერის პირველ ხანაში გლეხვაცობამ საარაუ უძლურება გამოიჩინა. მდგომარეობა ისე შემჩადდა, რომ 1889 წელში საგლეხო კანონი გამოიცა, რომელსაც საგლეხო უფლების კარგად მცოდნე გ. ევრეინოვი ბატონიუმურ განწყობილების დაბრუნებად ნათლავს (იხ. ევრეინოვის „Крест. вопрос.“) 1889—1890 წლის კანონებზე დამყარება ეხლა ჩეენი გლეხვაცობის უფლების აურის გამტკიცებას მოასწავებს, მთელი ჩეენი ცხოვრების მამორავებელ ძალების განადგურებას და უიპოველია, ასეთ მიზანს არ უნდა ვთხახავდეთ ერობის განხორციელებით, რომ ერობის საქმეში ხალხის ნამდვილი ძალები იქნას გამოყენებული, ჩეენში ქონებრივი იერარქია, სხვა და სხვაობა ჯერ კიდევ არ არის გაამისებული, გალრმავებული, აქ ჯერ კიდევ დიდი ნიადაგი იქვე სოკიალურ სამართლიანობას და ამიტომ, ელემენტარულ ჰერმარიტებას უნდა შეადგენდეს შემდეგი დებულება: ხაარჩევნო ხმის უფლება არა ქონების წარმომადგენელს, არამედ შრომის ხალხს, უფლებას, ვინც ცხოვრებაში აქტიურ

მონაწილეობას იღებს. თავის-თავად, ეს მოთხოვნილება არაჩეულებრივი სრულიად არ არის. რესერვი კი ლი-ბერიალები თიხ-მუხლოვან საარჩევნო სისტემას აღიარებენ, კადეტებიც ამ ნიადაგზე დგანან. ამ წესის სავსებით განსახორციელებლად აუკილებლად საჭიროა ყოველ უპირატესობის მოს-პობა რწმენის, მიმართულების, ეროვ-ნების და სქესის შორის. ქალები სარვეპლობენ არა მხოლოდ პასიური ხმის უფლებით, არამედ, აქტიური სა-არჩევნო უფლებითაც. ისინია ამომზ-ჩეველი და შეიძლება იყოს ამორჩევ-ლიც.

საქართველოს კულტურულ-ეკონომი-ური მდგომარეობა ერთი სახით გან-ვითარდა: სოფელი ჩვენი არსებობის ქვა-კუთხედია, ის ააშკარავებს ჩვენი სულისა და კონების ძალას, ის არის ქართულ ეროვნულ ცხოვრების საფუ-ძველი. ქართული ქალაქები ერთობ დამყარებულია სოფლის ძალაზე, სო-ფელი დიდ გავლენას ახდენს პირველ-ზე და ობიექტიურ პირობის მიხედ-ვით უმთავრეს მოვალეობას შეადგენს შემდეგი: საერთო ორგანიზაცია ფა-რთედ მოეწყოს სოფელში. სოფელმა ფორმალურად მიიღოს ის უფლებები, რომელიც ნის არსებას, ძალას შეეფე-რება. ამიტომ, საერთო ორგანიზა-ცია სავსებით ხალხს უნდა დაუახ-ლოვდეს, ხალხის ძალა სავსებით იქმნეს ერობაში გამოყენებული. ამ შეხედულებით ფრიად დიდი ყურად-ლება უნდა მიექცის წკრილ საერთო ერთეულების შექმნას. ხასოფლო ერთ-

ბა უნდა იყოს პირველი და უმთავრესი საძირკველი მთელი საერთობო წეს-წყობილების, რომელსაც უმიხლობელეს მეთაურობას თუ ხელმძღვანელობას გაუწივს სამაზრო ერობა.

საგუბერნიო ერობა ჩვენ არ მიგვაჩნია საქიროდ, თვით საქართველოს მდგომარეობის და შემდეგ ფინანსიურის მოსაზრებით. საგუბერნიო ერობის ნაცელად უნდა დაწესდეს სრულიად საქართველოს ცენტრალური ერობა, რომელიც მხარის რთულსა და სხვა და სხვა მოთხოვნილებას შესაფერად გადასწყვეტს.

სოფელისა და მაზრის საერთობო ერთეულები ისე უნდა შედგეს, რომ სათანადოდ გამოხატავდეს ხალხისა და ბუნებრივ მდგომარეობის სისრულეს, მთლიანობას. ამიტომ, შეიძლება მიღამო-მაზრების შევიწროება-გაფართოვებაც გახდეს საჭირო, რომ საადმინისტრაციო ტოპოგრაფიამ არ დაახშოს ბუნებრივ-გეოგრაფიული განწყობილება. ჩვენ არ ვწერთ კინონ-პროექტს, რომ ამავტონებაც დაწერილებით გაფიქტდეთ. სრულიად საქართველოს საერთობო ერთეული უნდა იყოს მესვეური, გამწეს-რიგებელი და გამჩალხველი საერთობო შემოქმედებისა, ხოლო სასოფლო-სამაზრო მართველობის ფარგლის, საზღვრის ვამორცველა უნდა ხდებოდეს თვით სოფელისა და მაზრის რჩევით.

დაბებსა და ქალაქებში მეურნეთა და ვაჭარ-მრეწველთა საგანგებო საარჩევნო კრებების მოხდენა საჭირო არ არის. ისე მცირეა ვაჭარ-მრეწველთა კლისი, ამავე დროს იღებ-მიცემობა

ისე გაერცელებულია ყოველ მწარ-
 მოებელის შორის, რომ შეუძლებელია
 ერთი ძალის შეუვიწროებლად ჩატარ-
 დეს პროფესიონალური კურიების სის-
 ტემა. დაბები სოფლებიდან არ გამოი-
 ყოფა, ხოლო საგუბერნიო ქალაქს მიე-
 ნიჭება სამაზრო ერობის უფლება. თვით
 საქალაქო მართველობა კი ლოლიკურად
 უნდა მოეწყოს დეცენტრალისტურ
 მართვა-გამგეობის საფუძველზე. ასეთ
 წეს-წყობილების განხორციელებას გრ.
 შრეიდერიც გვიჩჩევს. როცა ამბობს:
 „ჩვენ ვხედავთ, რომ დასავლეთ ევრო-
 პის დიდ ქალაქებში თან და თან,
 ცხოვრების გართულების მიხედვით, ქა-
 ლაქის ცენტრალურ მართველობის
 გვერდით ფეხს იდგამს აღვილობრივი,
 საუბნო მართველობა“ (იბ. „Мелкая
 земская единица“ გვ. 26) და ასეთი
 ტენდენცია ჩვენს ქალაქებსაც აშკა-
 რად იტყვია. ქალაქის მართველობის
 დეცენტრალიზაცია—როგორც წვრილ
 საერთო ერთეულის სისტემა—დაახ-
 ლოვებს საქალაქო მუშაობას ხალხთან,
 ცხოვრების გამგე-მესუეური. არსები-
 თად შეიქნება მასა, საზოგადოება და
 ამნაირად, საზოგადოებრივ შემოქმე-
 დების საქმე სათანადოდ განვითარდე-
 ბა. დიდ ქალაქებში: ტფილისში, ქუ-
 თაისში, ბათომში და სხ. შეიძლება და
 უმშვილად უნდა შესდგეს წვრილი,
 საუბნო მართველობის ერთეული, რო-
 მელიც ქალაქის ცენტრალურ მართვე-
 ლობას, სამაზრო ერობის ძალის ორ-
 განოს შექმნის, რომელთანაც ერთად
 სრულიად საქართველოს სასოფლო
 ერობები ქართულ ცხოვრების წინ-

მსელელობას ხელს შეუწყობს. ცხადია,
ქალაქის ერობის კომპეტენცია სოფ-
ლის ერობის კომპეტენციის თანაბრად
უნდა იქმნას გაფართოებული.

სამაზრო და სასოფლო ერობაში
ხმოსნებს ირჩევს პირდაპირ ხალხი.
სამაზრო და სასოფლო ერობათა ხმოს-
ნების საზოგადო კრება ირჩევს სრუ-
ლიად საქართველოს ერობის ხმოს-
ნებს. არჩეული პირები თავის მხრივ
ირჩევენ გამგეობას, გამგეობის თავ-
შჯდომარეს და სხ. ამნაირად, ხალხი
პირდაპირ მონაწილეობას მიიღებს მარ-
თვა-გამგეობის საქმეებში. *)

თავისუფლად არჩეულ ხმოსნების
მოქმედება გამსჭვალული უნდა იყოს
მოვალეობის გრძნობით, უფლების პა-
ტივისცემით. როგორც მოვიხსენიეთ, |
გამგეობას ირჩევს კრება, ავტოდა
თავშჯდომარესაც. ამ შემთხვევაში 1890
წლის საერობო კანონის მე-116 მუხ-
ლი უნდა გამოვიყენოთ, რომლითაც
გამგეობის წევრების და თავშჯდომა-
რის არჩევა შეიძლება არა თუ მხო-
ლოდ ხმოსნებ შორის, არამედ უბრა-
ლო იმომრჩეველ—მოქალაქისაც კი.
სახელმწიფოს წარმომადგენელი ამ
შემთხვევაში

მხოლოდ ყურადღებას იქცევს, რომ
საერობო კანონის მიხედვით ერობაში
ბოროტ-მოქმედებას ადგილი არ და-

*) ხმოსნები სამი წლის გადით ირჩე-
ვა, ყოველ წელში კი არჩეულთა მესამე-
დის ხელ-ახალი არჩევნები უნდა მოხდეს.
ლირსეულთა ხელ-ახალი არჩევა თავისუფ-
ლად უნდა მოხდეს.

ურჩეს. ასეთ შემთხვევაში მთავრობის წარმომადგენელს უფლება აქვს ხმის-ნების კრების მოწვევისა, რომ საქმე გამოარყენოს და გადაიწყვეტოს. კრებას. ცენტრალურ საერობო ერთეულის კრება, რომელზედაც მონაწილეობას იღებს კულტურულ დაწესებულებათა წარმომადგენელნი, შეადგენს უმაღლეს ინსტანციას, სადაც ერობის ცხოვრების საჭირო-ბოროტო საკითხებს გადასცრის.

ერობის კომპეტენცია, უფლება, სამოლეაწეო სარმიელი რაც შეიძლება უნდა გაფართოვდეს. სასმელი, სამკურნალო, სარწყავი წყალი, არხები, მდინარეს კალაპოტის გამაგრება, მიწის ნააღავის შემზადება, ჭაობები, ე. ი. ირიგაცია და მელიორაცია, სისუფთავი, გზები, ტუე, მიწა-ადგილი, მაღანი, ფრინველებისა და პირუტყვის მოშენება, მოელა, მკურნალობა (ვეტერინარია), ხალხის ჯანმრთელობა, საექიმო ადგილები, კურორტები, აფთიაქი, საავადმყოფო, გადასახადების მოწესრიგება, სამართალი, პირველ-დაწებითი თუ საგანგებო ხასიათის სკოლა, წიგნ-საცავები, წიგნის გამომცემლობა, სტამბა, სამკითხველოები, თეატრი, ცეცხლის მქრობელთა რაზმი, იარაღის საწყობი, სასოფლო ბანკი, კომპეტიტივი, სამეცნიერო კავშირი, ამხანაგობა, მრავალი სხვა მხარე საზოგადოებრივი (ცხოვრებისა და ამაების შესახებ ხადალდებულო დადგენილებანი — ი) დაახლოებით ერობის სამოლეაწეო სარმიელი. ვიდრე არ მოგვამოება საგანგებო. დაწესებულება ჩვე-

ნი ცხოვრების ინტერესების უზრუნ-
 ველმყოფელი, ერობის ორგანიზაციას
 უნდა მივანიჭოთ სოციალ-პოლიტი-
 კურ უფლების ელემენტები, რომ მით
 ცხოვრების არსებითი მოთხოვნილება-
 ნი და კმაყოფილებულ იქმნას. საქარ-
 თველოში ისე სუსტია საერობო თვით-
 ცნობიერობა, რომ ეს გეგმა ბევრს
 უტოპისტური შეიძლება ეჩვენოს. მა-
 გრამ ეს, რა თქმა უნდა, იქამდის იქ-
 ნება ასე, სანამ ხალხის ძვალ-რბილში
 არ გაჯდება ერობის ნამდვილი მო-
 თხოვნილება. ბორის ვესელოვსკი,
 რომელიც ძლიერ კარგად იცნობს ერო-
 ბის საქმეებს,— კითხულობს: ერობის
 უფლებაში რა და რა საქმეები უნდა
 შედიოდეს? და შემდეგ პასუხს იძლე-
 ვა: ჩვენის რწმენით, ერობა უნდა იყოს
 როგორც სამეურნეო ცხოვრების მო-
 მწესრიგებელი, ისე საადმინისტრაციო
 — საპოლიციო უფლების შესვეური. აქედან ბორის ვესელოვსკის ლოდიკუ-
 რი დასკვნაც გამოჰყავდა: ამიტომ,
 ერობას უნდა მიეცეს სახელმწიფოე-
 ბრივ დაწესებულების ხასიათით.
 (იხ. ბორის ვესელოვსკის თხზულება,
 ტომი მე-III გვ. 606). ერობაზე ასეთი
 შეხედულება თან და თან მტკიცდება,
 თანამედროვე ომიც ამტკიცებს, რომ
 საერობო ორგანიზაცია უნდა შეიქმნეს
 სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, ე. ი.
 ერობის ხელში გადავიდეს მთელი რი-
 გი იმ საქმეებისა, რომელსაც ამ უამაღ
 სახელმწიფოს ბიუროერატულ მექა-
 ნიზი განავებს. ფრიად სასურეელა
 ასეთი შეხედულების განმტკიცება გან-
 საკუთრებით ჩვენში, სადაც ეროვნუ-

ლი პოლიტიკური ორგანიზაცია არ
არსებობს.

როგორც თავისუფალი, სახალხო-
სახელმწიფო ეროვნული იურიდიკური ერო-
ბას უფლება იქვს კავშირის, სხვა საე-
რობო ერთეულებთან და სამეცნიერო-
კულტურულ დაწესებულებებთან მუდ-
მივ საბჭოების დაარსების. ერობა
იწვევს სისტემატიურ ყრილობებს, იკვ-
ვლევს საზოგადო ცხოვრების ეითარე-
ბას და მსჯელობს ყოველ საზოგადო
საკითხებზე. ყოველ ეროვნულ—სა-
ხელმწიფო მოვლენაზე აცხადებს თა-
ვის დამოკიდებულებას და რო-
გორც იურიდიული პიროვნება მხა-
რეს ცხოვრებაში იღებს აქტიურ მო-
ნაწილეობას. ამნაირად, ჩვენი ერობა
საფუძვლიანად განირჩევა და ეწინააღ-
მდეგება ყველა იმ საერობო პროექ-
ტებს, რომელსაც ასე ავტოკულებენ
ჩვენში ევანგულოვისა თუ თუმანოვის
რედაქტორით. ყველა ეს პროექტები
უმთავრესად დაფუძნებულია ჩვენ მიერ
განხილულ 1890 წლის საერობო დე-
ბულებაზე და სრულებით არ გა-
მოხატავს თანამედროვე ცხოვრების
და საზოგადოების ფართე წრე-
ბის ინტერესებს. განსაკუთრებით და-
საგმობია ევანგულოვის რედაქტორის საე-
რობო კანონ-პროექტი, რომელიც მე-
ფის მოადგილეს საერობო პროექტს
უდრის. იგი ერთობ ჰგავს ფონ-პლივეს
მიერ 1903 წელში შექმნილ ერობას
დასაელეო გუბერნიებში, განსაკუთრე-
ბით გარევნულ ორგანიზაციის მხრივ.

მეფის მოადგილის ხაერობო ცირკულიარი.

ერობის გამო ჩვენი საზოგადოება ერთ მითქმა-მოთქმაში იყო, რომ სრულიად მოულოდნელია, 26 ივნისს, ხელმწიფის მიერ ნებადართული კავკასიის მეფის მოადგილეს ცირკულიარი დაეგზავნა ტფილისის, ქუთაისის, განჯის, ბაქოს, ერევნისა და ჩერნომორის გუბერნატორებს სასოფლო ერობის შესახებ. სრულიად მოულოდნელი ხელმწიფი ცირკულიარი იმიტომ იყო, რომ ჩვენი საზოგადოება ძლიერ შეჩეკულია დაპირებას. 1905 წელში მეფის მოადგილე გრაფი კორონუაჟ-დაშვილი თავის სასახლის „თეთრ დარბაზში“ მხურვალე თანავრძნობას უცხადებდა ერობას. მიშინ კინ იფიქრებდა, რომ ათი წლის განმავლობაში ქანონ-პროექტსაც არ შეადგენდნენ საერობო. წყობილების სასაჩვებლოდ, მაგრამ დღეს ჩვენ ისევ და ისევ ერობის წინა ხანებში ვიმყოფებით, ე. ი. ერობა კვლავ საოცნებო მიზნად გვაქვს დასახული.

26 ივნისის ცირკულიარი ერობას კი არ ამყარებს, არამედ საერობო წესწყობილებისათვის მხოლოდ ნიადაგს ამზადებს. მეფის მოადგილეს ეხლა სერიოზულად მოსწონს ერობა და სწორედ ამიტომ „უმორჩილესად სიხმის გუბერნატორებს სასოფლო ეროეულების საერობო მოღვაწეობის გაფართვებას და ხელის შეწყობას“. რა თქმა უნდა, — ესეც დადებითი მოვლენაა ჩვენს ცხოვრებაში, მაგრამ ისიც

არ უნდა დავივიწყოთ, რომ „უმორჩილესი თხოვნით“ არსებითად არაფერი კითდება ჩეენს კურთხეულ სამშობლოში, თუნდაც ხელისუფალთა თხოვნებს ბრძანების ხასიათიც ჰქონდეს. ამიტომ, ვიდრე საერობო შემოქმედებისათვის საგანგებო საერობო ქანონი არ შეიქმნება, ესე იგი სანამ საერობო წესრიგობილება ფაქტიურად არ განხორციელდება საქართველოში, მანამდე საერობო მოღვაწეობის განვითარებაზე ლაპარაკი ზღაპარი, ოცნება იქნება.

თავისთავად მეფის მოადგილის საერობო კირკულიარი ძალიან საყურადღებოა. პრაქტიკულ ცხოვრების მიხედვით ჩვენ პესიმისტური შეხედულება შეგვიძუშავდა სხვა და სხვა მოვლენაზე, საგანზე. ესლაც არ ვართ დარწმუნებული: გამოცხადებული კირკულიარი მხოლოდ ნიადაგის შესამჩადებლად არის შექმნილი და მაშისადამე მას დროებითი ხასიათი აქვს, თუ ის დასრულებული რეფორმაა არსებულ წეს-წყობილების და ამნაირად მუდმივი ინსტიტუტი, ახალი წყობილება. ჩვენ მაინც ასე ვფიქრობთ: კირკულიარი სრული, რეფორმის ხასიათის მოვლენაა და ამიტომ მისი შესწავლა, განხილვა საჭირო. ვინ უწყის როდის გამოქვეყნდება სანეტარო კანონდებულება სრული ერობის შესახებ, რომ ამდენ ნატევრას და ოცნებობას საზღვარი დაედოს.

მეფის მოადგილე ასე ამბობს: სოფლის მართველობა უწესოდ მიმდინარეობს, — ამიტომ, სასოფლო მართველობის ახალი წესებია საჭირო.

საზოგადოებრივ ჯგუფთა პროგრამის თვალსაზრისით მეფის მოადგილის ცირკულიარი

არც ერთ ჯგუფის საერობო პროექტს არ გამოხატავს ნამდვილ ბიუროკრატიულ წყობილების ბიუროკრატიულ საშუალებით შეკეთებას ნიშნავს ხსენებულ ცირკულიარის ცვლილება.

26 იქნისის ცირკულიარი რა ცვლილებას იხდებს ჩვენი სოფლის ცხოვრებაში? თანამედროვე ცხოვრება ძალზე გართულებულია და თუ არა ყოველ საზოგადოებრივ ელემენტის გამოყენება შეუძლებელი ხდება წესიერი და აზრიასი მართველობა. პირველ ყოვლისა ამ გარემოებას ანგარიშს უწევს მეფის მოადგილეს ცირკულიარი და მართველობაში ამეცებს დეცენტრალისტურ პრინციპს.

დღესდე სოფელი შემდეგის წესით განაგებს სასოფლო ცხოვრებას. ჩვენში სოფელი ყველაზე უმცირესი ერთეულია. კუთხე, მიღამო, უბანი სასოფლო წყობილებას არ გამოხატავს. დღევანდელ სოფელში ჩვეულებრივად ცხოვრობს — 500 კომლი. მცირე რიცხოვანი სოფელები წინად უძლურნი იყვნენ სასოფლო საქმეები სათანადოდ დაექმაყოფილებიათ და ამიტომ საზოგადო საქმეების უზრუნველსაყოფად შეადგინეს სოფელების „კავშირი“, სოფელების საზოგადოება. სოფელებში უფრო ძლიერი სოფელი მეთაურობას უწევდა სოფელელთა ცხოვრებას და აქედან

შესდგა მართველობის სისტემა ხოფ-
 ლის ხაზოგადოება. ამნაირად, სასოფ-
 ლო საზოგადოებაში ყოველთვის შედის
 რამდენიმე სოფელი. მაგალ. კახეთში
 ჯუგაანის საზოგადოებაში შემდეგი
 სოფლებია:—ჯუგაანი, პრასიანი, ტი-
 ბაანი, ან იმერეთში, კურსების საზო-
 გადოებაში:—კურსები, გელათი, კოქა,
 მოწმეთი, ნაბოსლევი და ოხომირი,
 დლევანდველი საზოგადოება სოფელთა
 კავშირია. ყველა სოფლის მცხოვრებნი
 იკრიბება საჯარო ყრილობაზე და ირ-
 ჩევს მამასახლისს. ამნაირად არჩეული
 მამასახლისია სოფლელთა ბედის გა-
 დამწყვეტი. საზოგადოდ, უმაღლესი
 ინსტანცია სოფლის საქმეების გადა-
 საწყვიტად ძველ სისტემის მიხედვით
 სოფელთა, საზოგადოების ყრილობაა.
 თავის თავიდ, პრინციპი აგეთი მართ-
 ველობისა დადებითია, კარგია. მაგრამ
 დემოკრატიული საფუძველით, ყრილობა
 თავის ნებას გამოხატავს არა კოლე-
 გიალურ, ჯვეფის მართველობით, არა-
 მედ ერთი პირის საშუალებით—მამა-
 სახლისით. დეცენტრალისტური და
 ცენტრალისტური პრინციპი აქ არეუ-
 ლია, ყველაფერი აბნეულია და არსე-
 ბული. წყობილება სარგებლობის . ნა-
 სახსაც არ იძლევა. კონკრეტული,
 წმინდა პრაქტიკულის თვალსაზრით
 ყრილობების სისტემა უარსაყოფია.
 უმთავრესად იმიტომ, რომ ყრილობის
 თავისუფალ განვითარებას საზოგადო-
 პირობები ხელს
 უვლის.

სწორედ ამიტომაა

სოფლის პატიოსანი, მუყაითი და ხალ-
ხის მოკეთენი ყრილობებზე მონაწი-
ლეობას ვერ იღებენ, იქ გაბატონებუ-
ლია ძველი თაობის და მიმართულე-
ბის ხალხი, რომელთაც თავისუფლად
შეუძლია ლაპარაკი, მოქმედება, ბრძო-
ლა. ამნაირად, ყრილობები რომ სა-
სარგებლო გამოდგეს საჭიროა მთელ
წეს-წყობილების რეორგანიზაცია.

მეფის მოადგილე ყრილობების სა-
კითხს ამ შხრივ სრულიად არ ეხება.
რა თქმა უნდა ის ამ შემთხვევაში
ლოლიკურად იქცევა. მისი მიზანია
არსებულ წყობილების ფარგალში
მოახდინოს რაიმე ცვლილება და სწო-
რედ ამიტომაა ყრილობების სისტემას
მხოლოდ ტეხნიკურ მიზეზების დასა-
ხელებით უარყოფს. კლასიურის თვალ-
საზრისით თუ განვიხილავთ ყრილო-
ბების სისტემას, უნდა აღვიაროთ, რომ
მეფის მოადგილეს ცირკულიარი

ერის
ხმის, საჯარო, საერთო კრებას, საზო-
გადო სჯა-ბაას, ბრძოლას ის უარყოფს
და სოფლის ივან ჩავანს ამწყვდევს
ვიწრო წრის ფარგალში.

როგორც ვთქვით, საზოგადოების შე-
მადგენელი ნაწილი—სოფელია. თეით-
მართველია საზოგადოება და არა სო-
ფელი. სოფელს არა აქვს რაიმე უფ-
ლება, ის ყრილობას ვერ მოიწვევს,
დამოუკიდებლად კულტურულ და ეკო-
ნომიკურ საკითხებს ვერ გადაწყვეტს
და რაკი ნამდ-
ვილად სოფლის საზოგადო ცხოვრე-
ბა განვითარებულია, ცხადია მართ-

ველობასა და ობიექტიურ სინამდევი-
 ლეს შორის ძირითადი წინააღმდეგო-
 ბა არსებობს. საჭირო იყო ივტონო-
 მიურ უფლების მინიჭება სოფ-
 ლისათვის, ხელის შეწყობა, ბუ-
 ნებრივი განვითარების გამტკიცება. ამ
 მხრივ სასოფლო საზოგადოებათა
 მართველობის ძველი სისტემა პირდა-
 პირ უარსაყოფი და მავნებელი იყო.
 და მეფის მოადგილე თავის ცირკუ-
 ლიარით მოვლენის ამ მხარეს კარგიდ
 აქციებს ყურადღებას და როგორც სა-
 ჭიროა ისე სჭრის. ახალ დემოულების
 ძალით სოფელსაც ეძლევა თვით-მართ-
 ველობის საშუალება. სასოფლო მართ-
 ველობის რეორგანიზაცია ანხორციე-
 ლებს შემდეგ გეგმას:— საზოგადოების
 ფარგალს აფართოვებს, ხოლო საზოგა-
 დოების ნაწილებს — სოფლებს საშუალე-
 ბას, აძლევს თავისი ცხოვრება სურვილის
 მიხედვით მოაწესრიგოს. უეპველია, ეს
 წესი საყურადღებო და დადებითია. სოფლების დაახლოვება, ხელახალი გა-
 მიჯენა უნდა მოხდეს ტოპოგრაფიის,
 კულტურულ-ეკონომიკურ და თვითმარ-
 თველობისათვის სასაჩვებლო ფაქტო-
 რების მიხედვით. სამწუხაროა, რომ აქ
 გარკვევით არ არის ყველა ფაქტორი
 დასახელებული და ამიტომ, არსებულ
 სააღმინისტრაციო დაწესებულებათა
 შეხედულებაზეა დამოკიდებული რა-
 ფაქტორს, რა პირობას იცნობენ ისი-
 ნი თვითმართველ ერთეულებისათვის
 სასაჩვებლოდ, საჭიროდ.

ცირკულიარი ყრილობების სისტემას
 სპობს, ხოლო ანხორციელებს წარმომა-
 დგენლების წესს. ყრილობის ნაცვლად

იქნიბება საჯარო კრებაზე ამორჩეული პირები, რომელთა რიცხვიც განსაზღვრულია, — არა ნაკლები ოცისა და არა უმიტესი ორმოცდა ათისა. მაშასადამე 20—50 წარმომადგენელი სწყვეტს სოფლის ცხოვრების ბელილბალს. წარმომადგენლების არჩევნებში საყოველთაო საარჩევნო წესი არ არის მიღებული. აქ ცენზიც არის მიღებული. არჩევნებში მონაწილეობას იღებს მხოლოდ ოჯახის. პატრიონი, ოჯახის მესვეური. ოჯახში რომ ხუთი სრულწლოვანი მამაკაცი იყოს არჩევნებში მონაწილეობას მხოლოდ ერთი პირი. მიღებს, ოჯახის მესვეური. გამოთავთავებული, გამოყოფილი სოფლელი, სოფელში მცხოვრები და ქონების პატრიონი — აი ვინ ლებულობს წარმომადგენლების არჩევნებში მონაწილეობას. ქალებს ხშის უფლება არ აქვს, ისინი კვლავ სოფლის მართველობის გარეშე რჩება დატოვებული.

წარმომადგენელს ირჩევს ოცი კომლი. თუ სოფელი ოც კომლზე ნაკლებია ან საზოგადოების სხვა ნაწილი, მცირე ჯგუფი განცალკევით არის, მას უფლება ეძლევა ერთი წარმომადგენელი აირჩიოს. წარმომადგენლები ირჩევენ საზოგადოების მამასახლისს, ხოლო მამასახლისის თანაშემწევები ხოფლის ყრილობებს უწევენ მესვეურობას. წარმომადგენლებს ირჩევენ სამი წლის ვადით, მაგრამ ყოველ წელს ხდება არჩევნები წარმომადგენელთა ერთი მესამედის. ეს ერთი მესამედი სამსახურს თავს ანებებს კენჭის ყრის შემდეგ, თუმცა

მათი ხელმეორედ არჩევაც ნებაღარ-
თულია.

დაახლოებით ასეთია ცირკულია-
რით შემოღებული სოფლის ახალი მა-
რთველობა. მეფის მოადგილე ძლიერ
დაინტერესებულია ამ რეფორმით და
გუბერნატორებს დაბეჯითებით სოხოვს
წინასწარი მუშაობა რიც შეიძლება
დააჩქაონ, რომ 1916 წლის 1 იანვ-
რიდან ახალ მართველობის წესით გან-
ვითარდეს ცხოვრება.

ცირკულიარის ცხოველმყოფელ და-
ლას რომ ვითვალისწინებთ,

მეტი ბიუროებრიტიული, მეტი ქარ-
ჩაკეტილი მართველობა გამტკიცდება
და მეტი არაფერი. სოფლის განახლე-
ბა მხოლოდ მაშინ შეიძლება, როცა
სოფლის ცოცხალი, მოწინავე, პროგრე-
სიული ელემენტები მიიღებენ მონა-
წილეობას. უმთავრესი კი ის არის,
რომ თავისუფალი შემოქმედება შეუძ-
ლებელია, კომლის მესვეურს, მეოჯა-
ხეს ხელუხლებლობის გარინტია არ
აქვს, რომ მან წარმომადგენლის
არჩევნებზე თავისუფლად იმსჯელოს
სოფლის ცხოვრების ჭირ-ვარამზე,
ასარჩევ პირის ლირსებაზე, მოვა-
ლეობაზე და სხვა. თავისუფლება
დაბშულია არა თუ ძირითად არ-
ჩევნებზე, არც წარმომადგენლების
მოღვაწეობა იქნება თავისუფალი, მაგა-
სახლისიცა და მისი თანაშემწენი ნამ-
დვილი მოხელენი იქნებიან, ბოქაულის
და შაზრის უფროსის ყურმოჭრილი
მონა.

ვარდა იმისა, სასოფლო ერობასაც
არავითარი აზრი არ აქვს, თუ ის დამ-

თავრებული არ არის, ე. ი. თუ საზოგა-
 დოების მართველობას ერობის საფუ-
 ძველზე აგებული სამაზრო და საოლ-
 გო მართველობა არ მოჰყება. ერთი
 სიტუაციით, სოფლის მართველობის მე-
 სვეური უნდა იყოს საერობო დაწესე-
 ბულებანი და არა არსებული საპოლი-
 ციო დაწესებულებანი. სრული დამო-
 უკიდებლობა უნდა მიენიჭოს სოფლის
 ძალებს, რომ თავისუფალ ძალთა თავი-
 სუფალი შემოქმედება მივიღოთ. ასეთ
 წეს-წყობილების ნასახსაც არ ამეცებს
 ჩვენი სოფლის ცხოვრებაში მეფის
 მთადგილეს ცირკულიარი. ამიტომ,
 სოფელს „რეფორმის“ შემდეგაც ზურგს
 შეაქცევს მოწინავე ხალხი, სოფელი
 კვლავ ძველ თაობას, საზოგადოებრივ
 გრძნობას მოკლებულ პირებს ჩაუკარ-
 დება ხელში და ამნაირად კვლავინდე-
 ბურად, ძველებურად, ხოლო უფრო
 თავისუფლად
 გაავითარებენ

საქმეებს.

მდგრმარეობას თუ გაეითვალისწი-
 ნებთ თავის სიგრძე-სივანით, მართვე-
 ლობის მთელ შინაარს ანგარიშს გაუ-
 წევთ და კარგად ივწონ-დავწონით
 ცირკულიარის შინაარს, მის შესაძლებელ
 ნაყოფს, მუშაობის წეს-რიგს, ჩვენ უნდა
 ვალიაროთ, რომ ცირკულარის „ერობა“
 საერობო მოღვაწეობას სრულიად ვერ
 ვაანვითარებს, ნიადაგსაც ვერ შეამშა-
 დებს. თეორეტიკულ მიზანსაც ვერ ვა-
 ნახორციელებს. სოფლის ცხოვრება,
 მართველობა, კერძო მოვლენა არ არის
 რომ საკანცელიარო რეფორმით მივი-
 ღოთ ცხოვრების სრული რეორგანიზა-
 ცია. საჭიროა მთელი წეს-წყობილების

ძირითადი ვანახლება. რომ ეს ასეა, ამას
 თვით ის ცოცხალი ფაქტი მოწმობს,
 რომელსაც ეხლა ადგილი ჰქონდა თიო-
 ნეთის მაზრის შემდეგ სოფლებში, პა-
 ტარა თონეთში, მანგლისში, მეავისში,
 გულიცინოში და სხ. ამ სოფელს შე-
 ეკითხნენ: გსურთ თუ არა ერობა?—
 ერობის „შინაარს ხსნიდა, ახასიათებდა
 ბოქაულ-მაზრის უფროსები და თქვენ
 წარმოიდგინეთ, რომ ქართველი ხალხი,
 რომელიც მთელ თრიმოცდაათი წლის
 ვანმაჟლობაში ერობაზე თცნებობს,
 ერობის „შენატრის, ხსენებულ სოფლებ-
 ში ერობაზე უარს აცხადებენ. აშეა-
 რაა, კარგი მზრუნველობა გაუწევია
 ბოქაულ—მაზრის უფროსების ხალხზე,
 ერობის „შინაარსი კარგიდ გაურკვე-
 ვიათ. როცა ასეთ ხასიათის მოქმედე-
 ბას ეწევა მაზრის აღმინისტრაცია,
 როდესაც მეფის მოადგილე „უმორჩი-
 ლესადა სთხოვდა“ გუბერნატორებს
 საერობო მოღვაწეობის აზრი ხალხში
 გაემტკიცებია და გაუვრცელებია მო-
 ხელეთ, ნუ თუ უვილასათვის აშეარა
 არ არის, რომ ასეთ ხალხის ხელში,
 რომელნიც ერობის მოღვაწეობით გამს-
 ჭვალულნი არიან სოფლის საერობო
 მართველობას! სავსებით ჩატკლავენ და
 ჩახშობენ?

ეხლა გურიიდანაც მოგვდის ცნობა
 მთავრობის მუშაობაზე სასოფლო ერო-
 ბის შესახებ.

მტკიცე
 მოღვაწეობა ჩვენში არ არის, რომ
 ერთხელ გადაჭრილი საგანი სათანა-

დოდ დაბოლოვდეს. და თუ ამ შემთხვევაში ტრადიცია, ძველი ჩვეულებაც დაირღვა, მართლა განხორციელდა ის, რასაც ცირკულიარი გვპირდება, უკველია ჩვენს სოფელს უკეთესი დღე არ დაადგება, ვიდრე დღეს ადგია. პირიქით, თანამედროვე მართველობის პირობებში შეიძლება გაცილებით უარესი მდგომარეობა შეიქმნას, საზოგადოების ბედი ხელში ჩაუკარდეს ვიწრო წრის ხალხს და ამნაორად საერთო მოლვაწეობის ნაყოფიდ მივიღოთ აზ-სებულზე დუბჭირი, უარესი პირობები.

ასეთი შნიშვნელობისაა მეფის მოადგილეს ცირკულიარი. როცა მას ვითვალისწინებთ ჩვენი საზოგადო – სახელმწიფოს ცხოვრების პირობებში. თეორეტიკულ აბსტრაქტიაში ის, რა თქმა უნდა დადებითი მოვლენაა, რამდენადაც ის უახლოვდება წვრილ საერთო ერთეულის აზრს. როგორც ვიცით, რუსეთში ერთბა ფრიად დუბჭირ პირობებში იმყოფება, იქ წვრილი საერთო ერთეული დღესაც საოჯნებო საგანია და აი, როგორც კი კავკასიაში მეფის მოადგილის ცირკულიარი გამოქვეყნდა, რუსეთის პრესამ ხარბის თვალით შეხედა მას და ისურვა შიდა რუსეთის გუბერნიისათვის. ამ მხრივ ყველაზე საინტერესოა „რუსკ. ვედ.“. ს მოწინავე წერილი. ტრადიციით, „რუსკია ვედომოსტი“ ითვლება ერთბის უერთგულეს გამოცემად. და ეს გაზეთი მოადგილეს ცირკულიარის შესახებ ამბობს შემდეგს: „სოფელის საზოგადოებათა კავშირი, რომელშიაც მიწისმფლობელები მიიღებენ მონაწილე-

ობას წვრილ საერთო ერთეულის
 სურროგატია; მაგრამ აზრით უახლოვ-
 დება ამ უკანასკნელს. ისეთ საერთო ბო-
 რითეულის განხორციელება, რომელიც
 მაზრაშე მცირე იქნება საჭიროდ არის
 ალიარებული კავკასიაში, ვინ-და უარ-
 ჰყოფს მის საჭიროებას რესერვის შიდა
 გუბერნიიებისათვის? თუ მრავალი მო-
 დგმის კავკასიას, საღაც დღემდე არ
 არსებობდა საერთო დაწესებულება-
 ნი, შეუძლიან შეისისხლხორცოს წვრი-
 ლი სასოფლო ერთობის წყობილება,
 რად არ შეუძლიან გამოიყენოს იგი
 საერთო გუბერნიიების ძალებში, რო-
 მელთაც საამისო გამოცდილებაც აქვთ
 მილებული?» „რუსკ. ვედომ.“-ის გუ-
 ლისნადები კველასათვის აშკარაა, ის
 ელემენტარულ უფლებისათვის იბრ-
 ძეის, რომელიც რესერვის მოსაპოვებელი
 აქვს. და მის აზრს მეტი ძალა და სა-
 ბუთი აქვს, ვინაიდან საერთო გუ-
 ბერნიიებში მეფის მოადგილეს მაგვარი
 ცირკულიარი მართლა მოიტანს ნა-
 ყოფს, რადგან წვრილი საერთო ერ-
 თეული ზეღმეტი და ეგზოტიური მცე-
 ნარე კი არ იქნება ცხოვრებაში, არა-
 მედ იმ თავისუფალ ადგილის დამკა-
 ვებელი, რომელიც კაი ხანია მზადაა
 სასურველ საერთო წყობილების გან-
 ხორციელებისათვის. სულ სხვა პირო-
 ბებია ჩვენში. აქ ცირკულიარის წყო-
 ბილებას მონათესავე საერთო წყო-
 ბილებანი არ ამაგრებს, ის მხოლოდ
 ერთი მცენარეა ბიუროკრატიულ წყო-
 ბილების წალკოტში.

ერობა და დასელეცი.

„ნაციონალნია პრობლემი“-ში გ. მ.
 თუშანოვის პატარა წერილია დასტამ-
 ბული კავკასიის ერობის შესახებ—
 „ერობა და ეროვნული საკითხი კავკა-
 სიაში“. წერილის ერთ აღნავს შემდე-
 გი აზრია გატარებული: კავკასიაში
 ერობის მტერი უმთავრესად წვრილი
 მოხელეები არისო. კავკასიაში ერობა
 არ არის, მაგრამ საერობო გადასახა-
 დები კია, ამ გადასახადებისაგან რამ-
 დენიმე მიღიონი დგება და ამ დიდ
 თანხას საშუალო და წვრილი იღმინი-
 სტრაცია ატრიიალებს. სწორედ ეს ძა-
 ლებია ერობის მტერი, რომელთაც
 „საერობო საქმე“ ხელიდან გამოეც-
 ლება, როგორც კი ნამდვილ ერობას
 განახორციელებენ („ნაც. პრ.“ № 2 15
 წ.). ეს სრული სიმართლეა. მაგრამ
 გულწრფელი მოყეთე კი ბევრი ჰყავს
 კავკასიის ერობას? ძალიან მცირე.
 ჩვენში ერობის შესახებ ისე კოტა და-
 წერილი, იმდენად მცირეა საერობო
 მოღვაწეები, რომ საერობო საკითხის
 გაცნობა რომ გსურდეთ, ვერც ქა-
 თულ მწერლობას მიმართავთ, ვერც
 ადგილობრივ რესულ გაზეოთებს. უანი-
 შვენელო სტატიებს თუ უყურადღებოდ
 დავტოვებთ, ჩვენ მხოლოდ ერთი პი-
 როვნება წარმოგვიდგება წინ—გიორ-
 გი თუმანოვი. ეს მოღვაწე ეტუბა ძა-
 ლიანა ცდილი ერობის საქმე აემო-
 ძრავებია და დაეწინაურებია ჩვენში,
 მაგრამ დღემდე პრაქტიკულად არა-
 ფერი გაკეთებულია.

ერობის საკითხი დიდი საკითხია.
 ივანესა და პეტრეს სურვილით შეუ-
 ძლებელია მისი განხორციელება; სა-
 ხელმწიფოს საერთო პოლიტიკურ მი-
 მართულებაზეა ერობის ბედიც დამო-
 კიდებული. ეს ჩვენ ძალიან კარგად
 ვიცით, არც გვავიწყდება, მაგრამ
 ერობის სასარგებლოდ ჩვენ მეტი სა-
 ქმის გაკეთება შეგვეძლო, ისეთი პი-
 რობების, მდგომარეობის შექმნა, რომ
 ეხლა, დღეს მაინც ყოფილიყო გან-
 ხორციელებული. 20 სექტემბერია რო-
 ცა ამ წერილს ვწერ. ამ ბოლო დროს
 სახელმწიფო სათათბიროში კადეტებმა
 კავკასიის შესახებ საერობო კანონ-
 პროექტი აღძრეს. მართალია, კადეტე-
 ბის ძელი პროგრამით არ არის ეს
 კანონ-პროექტი შედგენილი, ამ შე-
 მთხვევაშიაც კადეტებმა დაამტკიცეს
 თავიანთი ოპორტუნიზმი, მაგრამ ჩვენ
 მაინც იმედი მოგვიცა: შეიძლება ეხ-
 ლა მაინც მიერთოთ საერობო წყობი-
 ლებათ. ჩვენი იმედი მოისპო. სა-
 ხელმწიფო სათათბირო დაითხოვის,
 კადეტების კანონ-პროექტი ისტორი-
 ულ ქაღალდად არის დარჩენილი. მა-
 გრამ ყველიფერი ეს გვაიძულებს ყუ-
 რადლება მივაჭრიოთ არა რესის კა-
 დეტებს, მიღიუკოვებს, შინგარიოვებს,
 როდიჩევებსა და სხვათ, რომელთაც
 არასოდეს არ სწავლა და არც ეხლა
 სწამის ჩაგრულ ერთა ინტერესები, არა-
 მედ ქართველ ერის იმ შეილი, რო-
 მელნიც სახელმწიფო სათათბიროში
 სხედან, სახელმწიფოებრივ პოლიტიკის
 მიმართულებაში მონაწილეობას იღე-
 ბენ და მაშისადამე, მათ მუშაობას დი-

დი საზოგადო-სახელმწიფო ბრივი მნი-
შვნელობა აქვს.

ჩეენი ზნეობრივი, მოქალაქობრივი
მოვალეობაა დიდი საყველური გამო-
უცხადოთ ქართველ დეპუტატებს სა-
ხელმწიფო სათათბიროში, ხოლო და-
სელებს საზოგადოდ, რომელთაც
დიდი ძალა აქვთ ხალხში და სახელმ-
წიფო სათათბიროში, რომ ერობის სა-
კითხი სახალხო საქმედ არ აქციეს,
რომ სტრულიად არ შეუწყვეს ხელი
ხალხისათვის ასე საჭირო საერთო
წეს-წყობილება განხორციელებულიყო.
პირდაპირ საარაკო ქართველ დაიკ-
ლების დამოკიდებულება ამ საკითხთან.
რესის დასელებისათვის ეს საკითხი
არ არსებობს. რესერტში იგი კი ხანია
განახორციელეს, იქ ერობის წესების
გაუმჯობესობისათვის, ესე იგი რე-
ფორმებისათვის იპრეციან მხოლოდ,
საქართველოში კი დღესაც მარტოდ-
მარტო პოლიციური მართვა-გამგეო-
ბაა. ცხადია, ხალხის საჭიროებისათვის
განსაკუთრებული ყურადღება უნდა
მიექცია დასელ დეპუტატებს. ჩეენი
და ჩეენკელის ჯგუფი ხშირად იმბობს:
სახელმწიფო სათათბირო ჩვენთვის
ტრიბუნაა და არა დადებითი შემოქმე-
დების ადგილი. ასე რომ იყოს, მა-
შინ დასელებს არც ერთი კანონ-პრო-
ექტი არ უნდა შეიდგინათ და წარედ-
გინათ სათათბიროს კომისიებში. საჭი-
რო იყო და დასელებმა ხიზანთა სა-
კითხზე სავანგებო აზრი შეიმუშავეს,
პროექტი დამზადეს, დროებით ვალ-
დებულ გლეხების შესახებაც სავანგე-
ბო კანონ-პროექტი შეადგინეს, ასევე

მოიქცნენ სხვა მრავალ საკითხებზედ, მაგრამ ერობის საკითხე კი არსებოთად არაფერს აკეთებენ. მხოლოდ და მხოლოდ შემთხვევით, გაკვრით, სხვათა შორის შეეხებიან მას, თითქმ ერობის საკითხი ერთი ფრიად საყურადღებო მოვლენა არ იყოს ჩვენი ცხოვრებისა და ხალხისათვის.

გარკვევით უნდა ვალიაროთ: დასტლები ამ საგანზე არა თუ მხოლოდ სახელმწი. სათათბიროში სდომან, ასევე იქცევიან პრესაში, საზოგადოებაში, შინ, გარედ, ყველგან, საღაც კი მათი არსებობა არის. ცხადია, აქ მოელი სისტემაა, წინასწარ ვანსაზღვრული და ჩამოყალიბებული შეხედულებაა. ერობისადმი საარაკო გულგრილობაში ერობაზე გული აუცილუა ხალხს, ჩამოაშორი წრეები და ერობის საკითხი გარდააქცია მხოლოდ თეორიუტიულ საგნად. სწორედ ამიტომაა, დღესაც უნდობლობის თვალით უყურებენ ერობას, დასელები ეხლაც არ აქცევენ მას სათანადო ყურადღებას, ეხლაც არაფერს ამბობენ მის სასარგებლოდ, ხალხს, საზოგადოებას მისთვის არ ახალისებენ. ასეთი საზოგადოებრივი მდგომარეობის შემდეგ ობიექტიურად ცხადია, რომ ერობის საქმეს არავინ გაანალდებდა ჩვენში. დასელები ზურგს აქცევენ ერობას და სხვა რაღას იტყოდა?

თუ როგორ უყურებენ დასელები ერობის საკითხს, ამას ძლევის კარგად დავინახავთ ნოე ქორდანიას იმ პატია წერილიდან, რომელიც „ორიოდე სიტყვა ერობაზე“-ს სათაურით მოთავ-

სებულია მის რჩეულ ნაწერებში. „ხელ-შეუხებელ მცნებად—ამბობს 6. უორ-დანია—დღეს ჩვენში ერობა გადაიქ-ცა. საცა კი მიიხედავ და ვისაც კი შეხედავ,—ყველა გაიძახის: ერობა, ერობათ; ხოლო რა არის ერობა, რა შედეგი ექნება მას, ამის შესახებ იშვი-ათად თუ ვინმე ალაპარაკდება და თუ ალაპარაკდა, მას უიპველად დიდ თი-ლისმურ ძალას მიაწერს, უებარ წამა-ლად ალიარებს, ყოველივე სენის კურ-ნებას უწინასწარმეტყველებს“. რა თქმა უნდა ზერეულად ლაპარაკი და გადაკრით პოს ან არის თქმა საზოგა-დო. საკითხებზე ძნელია, მაგრამ თუ მსჯელობის ერთ მეთოდს ვიწუნებთ, ჩვენ უნდა ვსარგებლობდეთ სხვა მე-თოდით. ეროვნულიაც გვეუბნება: „ჩვენ კი ხელთ ავილოთ უფრო სხვანაირი საზომი და გავსინჯოთ ერობა ჟველა თავის შედევებით. ვნახოთ, რა ალაგი უჭირავს მას ცხოვრებაში. ვის დაედება ის მაღამოდ და ვის გზა და ხილად გარდაიქცევა. რა არის ერობა? ეს პროვინციის თვითმმართველობაა. სა-ხელმწიფო ეუბნება მაზრას და გუბერ-ნიას: ზენ შენი საქმე თითონ განაგე და გააწესრიგეთ. ცხადია, თვით-მოქ-მედება და თვით-განსჯა არის ერობის მტკიცე საძირკველი. მაგრამ რადგა-ნაც მთელ პროვინციას ერთად თავის მოყრა და საქმის წაყვანა არ შეუძლი-ან, საქიზოა მან აირჩიოს წარმომად-გენელნი და მათ ჩააბაროს საქმეთა მსელელობა. ერობაც ასეთ პირთა კრე-ბულია. ვინ აირჩივს ამათ? მთელი ხალხი? მთელი პროვინცია? არა, ას-

ში 57-ს თავად-აზნაურობა ირჩევს თავისივე წოდებიდან, დანარჩენს კი სოფ-
 ლის საზოგილოება და ქალაქი. მაშასა-
 დამე, ერობა თავად-აზნაურული და-
 წესებულებაა par excellence (უმ-
 თავრესად — თ. ღ.) ერობის თვით-მოქ-
 მედება არის ნამდვილად ბრწყინვა-
 ლე წოდების თვით-მოქმედება და მე-
 ტი არაფერი. (კურსივი ყველგან ჩემია
 — ავტ.) ერობის საშუალებით ის განა-
 ვებს არა მარტო თავის საკუთარ საქ-
 მეებს, როგორც ის დღეს შერება, არა-
 მედ მთელი გუბერნიის. მის საბრძანე-
 ბელში შედის ყველა წოდების და შეძ-
 ლების ხალხი, რაც ამაგრებს და აფარ-
 თოვებს მის გაფლენას და უპირატე-
 სობას. იქ ხადაც გლეხეაცობა უამი-
 სოდაც დაბეჩავებული და დამონავე-
 ბულია მემამულეთავან, როგორც ეს
 ქართლ-კახეთშია, ერობა უიმედულად
 კიდევ უფრო დაამონავებს და და-
 ბეჩავებს. იქ, ხადაც მალული და
 ცხადი ბრძოლაა ამ ორ წოდებას შო-
 რის, ერობა გახდება შეძლებულის
 და ღონიერის ხელში შეუძლოს და
 ხუსტის დახაჩავრავ იარაღად". („რჩ.
 ნაწერები“, გვ. 146).

კრიტიკა არსებულ საერობო წეს-
 წყობილებისა ფრიად საჭიროა, მაგრამ
 ეს სრულიადაც არ ნიშნავს ერობის—
 როგორც დაწესებულების—თავალებით
 სივაგლახეს. პოლიტიკური ჯგუფები
 ებრძვიან არსებულ

ფორმებს, მაგრამ მათ მიზნადაც არ
 დაუსახავთ საზოგადოდ მოსპონ სახელ-
 მწიფოებრივი ორგანიზაციი. ყველა
 წყობილებას საფუძველი

აქვს და ჩვენც სწორედ ამა თუ იმ
 წყობილების განსაზღვრულ სახისათ-
 ვის უნდა ვიპრიძოდეთ. 6. ეორდანიას
 კარგად მოეხსენება, რომ საზოგადოდ
 ძნელია ერობის წინააღმდევ ბრძოლა,
 ამას გაკვრით კიდევ აღიარებს: „ერო-
 ბა, თანახმად თავისი შინაგანი ბუნე-
 ბისა, ხელს უწყობს ნატურალურ მე-
 ურნეობის დარღვევას, საქონლის ტრი-
 ალის განვითარებას, საწარმოვო ძალის
 აღორძინებას და სოფელის გაქალაქე-
 ბას. ამას თან მოსდევს წოდებათა
 ერთმანეთში გათქვეფა და ახალ კლა-
 სების შედგენა. რამდენადაც ერობა
 ამას ასრულებს, იმდენად ის ჩვენი
 ქვეყნის წინ-წამწევი და განმავითარე-
 ბელია, იმდენად ის პროგრესიული და
 სისარგებლო დაწესებულებაა. და აი,
 მხოლოდ ამ უკანასკნელ მოსაზრებით
 ჩვენ მომზრე ვართ ერობის შემოღე-
 ბის და მისი ასპარეზის გაფართოე-
 ბის“... (გვ. 149), იმდენად, რამდენად
 გაკვრით და სხვათ შორის ნათქვამი
 აზრი სრულიად იღუპება იმ მთავარ
 მიმართულებაში, რომელშიაც აშკარად
 სჩანს დასელთა ნილილიზმი ერობის
 საკითხში.

საზოგადოდ, მათი აზროვნება არ
 არის გარკვეული. სულ პატია წერილ-
 ში იმდენ ლოლიკურ ნახტომებს აკე-
 თებს დასელთა საუკეთესო მწერალი,
 რომ დამახასიათებელია მთელი მათი
 პოზიციისათვის. რესერის ერობა თა-
 ვად-აზნაურობის მსხვილ მიწის მფლო-
 ბელობას ეძყარება, ჩვენში კი ცენტის
 დაკლებას მოითხოვდნენ წრეები. ამის
 შესახებ ხსენებული ავტორი ამბობს:

„ერობა რა ფორმითაც - უნდა შემ-ი-ლონ, სრული თუ დაკლებული ცენ-ზით, ის გახდება შეძლებულ. შემა-მულეთა ბულე თრვანო. ეს იქნება ისათივე თავად-აზნაურული კრება, როგორც პანკის კრება, იმ განსხვავე-ბით, რომ აქ ხმა ყველას აქვს, იქ კი ზოგიერთს, აქ განაგებენ ერთ სავანს, იქ კი მრავალს“. (ხაზი ჟველვან ჩვე-ნია). ერობაში მონაწილეობას ღებუ-ლობს არა მარტო თავად-აზნაურობა, არამედ გლეხ-კაცობაც. მაგრამ გლეხ-კაცობის შეძლებული ნაწილი. „შეძ-ლებული თავად-აზნაურობა და შეძ-ლებული გლეხ-კაცობა — ის ვის იარა-ლად და ამავე დროს სარბიელად გადა-იქცევა ერობა და მცხოვრებთა დანარ-ჩენ ნაწილს ულლად დააწევება“.

ამის უარმყოფელ წესებს სრულიად არ გვაცნობს ნ. ეორდანია, თითქოს ერობის ისეთი სისტემის გან-ხორციელება არ შეიძლებოდეს, რომ მშრომელ ძალა ინტერესები სათანა-დოდ იქნას დაკმაყოფილებული, თით-ქოს ეს ისეთი წეს-ყობილება არ იყოს, როსთვისაც შემოქმედებითი ბრძოლის წარმოება საჭირო იყოს. დასელების ერობას არაუითარი მიზანი და იდეალი არ აქვს. მათ მოსპეს ამ საქმეში ყო-ველივე დადებითი, ისეთი ძალა, რო-მელიც ხალხს აღაფრითოვანებს, საზო-გადოებრივ წრეებს ფრთხებს გაუშლის. იმდენად, რამდენად, რადგან — აი მთე-ლი მათი დიალექტიკა!

ერობა თავად-აზნაურობის წყობილე-ბაა, მაგრამ ბ-ნ ეორდანიას დიალექტი-კა ნებას არ აძლევს იმ აზრს დაადგეს.

ერობა თავიდან-აზნაურობის არსებობას
 ანგრევს, ამას თავიდან-აზნაურებიც ხედ-
 ვენ და ამბობენ: ძირს ერობაო! ამ-
 ნაირად, ერთ ალაგას თავიდან-აზნაურო-
 ბა მოითხოვს ერობას, მეორე ალაგას—
 ეპრძეის მას. დრო იცვლება, აზ-
 რიც იცვლება, — ეს დიალექტიკის წე-
 სია, მაგრამ ვერც დროთა ბრუნვამ
 და აზრთა ვარჯიშობამ დასელთა ნე-
 ბისყოფას ვერაფერი დააკლო. ისინი
 ყოველ თვითმართველობის გულწრფე-
 ლი მოწინააღმდეგე არიან და ეს ფა-
 ნატიკური აწმენა მათ სასოებას იც-
 ლის ერობის საქმე თავის საქმედ გა-
 მოაქმადებითს.

თვითმართველობის საკითხმა დიდი
 უსიამოვნება მიაყენა ქართველ დასე-
 ლებს. ამ „უსიამოვნების“ ისტორია
 ჩვენ სახოვადოებას უკვე მოეხსენება
 და აზროვნება ამ დარგში ფრიად აი-
 რია მთელ რუსეთის სოციალ-დემოკ-
 რატიისათვის, რამაც 1912 წლის ქონ-
 ფერენცია წარმოშვა, სადაც დასე-
 ლებმა კულტურულ აკტონომიის გან-
 ხორციელება საჭიროდ დაინახეს. არ-
 სებითად, კულტურული აკტონომიი
 იგივეა, რაც დემოკრატიული ერობა,
 როგორც პირველი, ისე უკანასკნელიც
 მოქლებულია პოლიტიკურ უფლებებს,
 თუმცა ეს ადმინისტრატიული მართ-
 ველობაა ე. ი. პოლიტიკური ტერმი-
 ნოლოგიით, ადმინისტრატიული, კულ-
 ტურული აკტონომია; მაგრამ ფრიად
 დამახასიათებელია, რომ ერობისათვის
 ისინი დამახასიათებელ ბრძოლის არ
 იწარმოებენ. სადღარ მათი კულტურუ-
 ლი აკტონომია ესლა, როცა ჟველ

მხარე, ყველა საზოგადოებრივი ჯგუფი ცდილობს გაანალიზოს თავის შეხედულება, პროგრამა, როცა სახელმწიფო ორეთორმების გზაზე ადგია და თანამედროვე ცხოვრება გადაჭრით მოითხოვს სახალხო დაწესებულებების, სახალხო თეატრმართველობათა განხორციელებას. რა საზოგადოებრივი მოიტანს დასელთა კულტურული ავტონომია თუ იგი „ნაშე დელო“-სა და „თანამედროვე აზრი“-ს ორდაჭყიათა ფორმიფელებს არ გასცილდება? არა, ჯერ-ჯერობით ეროვნულ და ადგილობრივ თეატრმართველობის აზრი მხოლოდ თეორეტიულადაა გამარჯვებული, დასელთა მოღვაწეობის ძვალიბილში არაა გამჯდარი მისი განხორციელების, ცხოვრებაში გატარების აზრი. ჯერ კიდევ დიდი ბრძოლაა საპირო, რომ ელემენტარული ჰეზმარიტებანი პრაქტიკულ მოღვაწეობის საგნად გარდაიქცეს.

ეს წერილი იმით უნდა დაევასრულოთ, რითაც დაეიწყეთ: ჩვენს ერობას არ ჰყავთა გულწრფელი მოკეთენი, მეგობრები და იმიტომ მისი თანამედროვე სავალალო მდგომარეობა ბუნებრვია და ლოლიკური.

სხვა ელემენტების შეხედულებას ერობის საკითხშე არ ვეხებით, იმიტომ, რომ საზოგადოებრივ ბრძოლის თვალსაზრისით მათ დიდი მნიშვნელობა არ აქვს.

რა ლონისძიებას უნდა მიემართოთ, რომ ერობის საკითხმა წელი გაიმაგროს, ადგილობრივი თეატრმართველობა თეორიიდან ცხოვრებაში გადაეშვას და იქ დამკვიდრდეს?

ეროვნული ინდე 11 ინორ თამარის
ერობა და ხაზოგადოებრივი ბრძოლა

სააკოვები ხშირად ამბობენ: კავკა-
სიის მკვიდრნი ერობისათვის იჩა თუ
მომწიფებენ, გადამწიფებენ კიდეცო.
ამ აღსარებას ობიექტიური სიმართლე
აქვს. მთელი ჩვენი ცხოვრება საერო-
ბო მოლვაწეობას შეეფერება, ერობას
ჰეთულისხმობს, ხოლო მკვიდრო კულ-
ტურული განვითარება საერობო შე-
მოქმედებას ადვილად შეასრულებს.
სააკოვთა განცხადებას სწორედ და
მხოლოდ ამ მხრივ აქვს საფუძველი,
სიმართლე. კონკრეტულად, მარტი-
ვად, საერობო ცნობიერება ჩვენში მე-
ტის მეტად ლაპიბია, იშვიათად ნა-
ხავთ მოქალაქეს ერობის საქმეებს კარ-
გად იკნობდეს, თავის საჭირო, თავის
საგნად მიაჩნდეს ერობა. მთელი ჩვენი
საზოგადოებრივი ცხოვრება ისე მოეწ-
ყო, რომ ხელს ვყიდებდით უმაღლეს
მიზნებს, უფიდეს საგნებს; მარტივი-
დან და მცირედან არ შენდებოდა ჩვე-
ნი დიადი წყობილების შენობა.

ერობას მხოლოდ კრიტიკულის თვალ-
საზრისით ვხსნიდით, ამასაც იშვიათად,
დადებით ძალას არ ვხედავდით მასში,
ამიტომ, ხალხში, საზოგადოებრივ
ჯგუფებში ერობისადმი ვინმტკიცდა
გულ-გრილობა, აპატია. ერობა სრუ-
ლიად არ იყო პოპულიარული და ხალ-
ხის საგნად არავის მიაჩნდა ივი. სა-
ხალხო შემოქმედებას ჩალხავს ხალხის
პირშოთ შვილი—დემოკრატიული ინ-
ტელიგენცია და ეს ინტელიგენცია
სრულიად არაფერს აკეთებდა ამ ნია-
დაგზე. ამიტომ, სუბიექტიურის თვალ-

საზრისით ერობა ჩვენში მოუმწიფებელია, მისი სიმწიფე კიდევ მომავალს ეკუთვნის და რაკი საერობო შემოქმედებისათვის ობიექტიური პირობები შემზადებულია, ცხადია, სუბიექტიური პირობაც ადრე შესრულდება, იმდენად ადრე, რამდენადაც დემოკრატიული ინტელიგენცია ამ საქმეში მეტ ფხას, მეტ უნარს და საერობო თვით ცნობიერობას, საერობო სიყვარულს გამოიჩენს.

ქართველი ხალხი საქმაოდ არის აღმურვილი იმ საშუალებებით, რომლითაც ობიექტიური პირობების განხორციელება შესრულდება უკედ, რომლითაც ხალხის მასაში შეიძლება დამკვიდრება იმ საქმეების ცნობიერებისა, რომელსაც იწვევს და გულისხმობს ობიექტიური პირობა. ქართული პრესა, ქართველი კულტურულ-განმანათლებელი, წოდებრივი თუ საქალაქო დაწილებულებანი, ლექციები, რეფერატები, სალიტერატურო დილა-საღამოები, საგანგებო საჯარო სხდომები, ყველა ეს კულტურული საშუალებანი საუკეთესო იარაღია ერობის მოძღვრების და პრაქტიკის განსავითარებლად, გასაძლიერებლად.

ჩვენ გადაჭრით უნდა დავადგეთ იმ აზრს, რომ შეუძლებელია ერობის შემოღება საქართველოში, მისი საქმეების გამტკიცება თუ ერობის საკითხი სახალხო საკითხად არ გარიდაიქცა, თუ ხალხის ფართე წრეებმა თავის საქმედ არ აღიარა იგი. ერობა არც ფუფუნების საკითხია და არც უქმი კაცის გამოვნილი თცნება. ერობა არსებითად

სიკირო ჩვენი ხალხისთვის, ყველაზე
 უფრო საიტო მშრომელ საზოგადო-
 ებისათვის, ქალაქისა და სოფლის მუ-
 შისათვის, ვლეხ-კაცისათვის, იმათთვის,
 ვინც ყოველგვარ გადასახადს იხდის,
 ვინც მუდაშ შრომობს ხოლო სიღარი-
 ბეში სულს ღაფაეს. ჩვენში დამკვიდრ-
 და ისეთი შეხედულება, რომ თანა-
 მედროვე კაპიტალისტური წეს-წყობი-
 ლება უკეთესად იწვევს ხალხის გამოვა-
 ნოებას, გაპროლეტარებას, ხოლო პრო-
 ლეტარი ნიშნავს უკიდურეს სიღარიცეს,
 სიღარიბეს, მაწანწალობას, ეთნი სიტ-
 ყით, პაუპერობას. ამ შემეცნებით ჩვენი
 საზოგადოების წრეებს სიღარიბე დაუ-
 სახავს ფატალისტურ აუკილებლობად,
 თითქოს ასეთ მდგომირეობას მხოლოდ
 ცხოვრების ობიექტიური პირობები
 იწვევდეს და ადამიანის ძალას, მის
 ენერგიას და შემოქმედებას ადგილი
 არ ჰქონდეს ამ მოვლენაში. დღეს მტკი-
 ცელ უნდა ვალიაროთ, რომ ჩვენი სი-
 ღარიბის ერთ-ერთი უმთავრესი მი-
 ხეზთავანი თვით ჩვენი პირ დი სული-
 ერი და გონიერივი სიღარიცეა, ჩვენი
 უკულტურობა, აშკარა ველურობა.
 თორჯშირისა და მანჩესტერის, მიუნ-
 ხენის და გამბურვის სარდაფები გვიდ-
 გის თვალწინ, იქაური აშმორებული
 და საშინელი ცხოვრება, რომელც ც
 დაგვიხატა მეცხრამეტე საუკუნის პირ-
 ველ ნახევარში ენგელსმა, მარქსმა და
 ვურმმა. ერთხელაც არ გაგვითვალის-
 წინებია ის გარემოება, რომ ეჭიოპის
 კულტურის განვითარებამ მეცხრამეტე
 საუკუნის მეორე ნახევარში ძირ-ფესტი-
 ვანად შესკვალა მშრომელ ძალების

მდგომარეობა, რომ შრომის დამ-
 ცველი და დამზღვევი კანონები,
 მცირე წლოვანთა, ქალთა და მოხუკ-
 თა სამუშაო ღრმის განსაზღვრა, შრო-
 მის პიგიენური პირობები, მაღალი ხელ-
 ფასი, სასტიკი კლასობრივი ბრძოლა,
 რომელიც კიდევ უფრო აუმჯობესებს
 ეცნობის პროლეტარიატის ქონებრივ
 და უფლებრივ მდგომარეობას, სრუ-
 ლიადაც აღარ ჰგვანან იმ პარაზიტის,
 პაუპერებს, ლუმპენ - პროლეტარებს,
 რომელსაც ხსენებული ავტორები გვი-
 ხატავდა. ჩვენი გლეხ-კაცობის ქონებ-
 რივი მდგომარეობა გაცილებით დაბ-
 ლა სდგას მაგალითად ინგლი-
 სოსა და გერმანიის ქარხანაში მომუ-
 შავე პროლეტარის ქონებრივ მდგო-
 მარეობაზე. ჩვენს გლებს (სახეში
 აღარ ვიღებთ ქართველ მუშებს ქა-
 ლაქების ქარხნებში რომ ეწი-
 ვიან ცხოვრებას) მიწა აქვს და ქოხი,
 ხშირად „ოდა“-ც მაგრამ აგრე მოწ-
 ყობილი „მესაკუთრე“ ქრონიკულ შიმ-
 შილს განიცდის, ჩაცურებულია სიბინ-
 ძურის მორევში და საზღაპრო პიტ-
 ველყოფილ მდგომარეობაში იმყოფე-
 ბა. ეკრობაში იშვიათად ნახავთ მუ-
 შას ოთხი ან სამი მანეთი მაინც არ
 ჰქონდეს დღიური შემოსავალი. ხოლო
 საერთო კულტურული ცხოვრება ისეა
 მოწყობილი, რომ ყოველი საგანი გა-
 ცილებით იაფია და ხელმისაწილი.
 ინგლისელ და იმერიკელ მუშებივით
 ქართველთაგან „ბანკირები“-ც კი ვერ
 იცხოვრებენ – თუ მათი შრომის ხელ-
 ფასის თვალსაზრისით ვიმსჯელებთ.
 ყოველივე ეს ჩვენ სავსებით გვიაშეა-

რავებს იმ ფაქტს, რომ ჩვენი ხალხის
 სიღარიბე-სილცუაკის მიზეზი მხოლოდ
 ობიექტიურ პირობებში კი არ არის,
 არამედ თვით ჩვენს პიროვნულ არსე-
 ბაში: თვითეული ჩვენგანი უიმედონი
 ეართ, სათანადოდ უეუგნებელნი, ჩა-
 მორჩენილნი და არ ვცდილობთ ისეთ
 პირობების, მდგომარეობის შექმნას,
 რომ უმჯობესად ვიცხოვნოთ, თანა-
 მედროვე წესწყობილების სიმძიმე ად-
 ვილად ავიტანოთ. ჩვენ გვაკლია თვით-
 მოქმედება, საკუთარ ძალაშე დაყრ-
 დობა, პირობების მიუხედა-
 ვად მტკიც შემოქმედების გაჩალხვა.
 მოწამლულია ჩვენი საზოგადოების
 პსიხიკა, სულისკვეთება - და ეს აშენ-
 ად იხატება საერთო თვითმართვე-
 ლობის სიძულვილში. ჩვენ გვძულს
 თვითმოქმედება, თვითმართველობა,
 თავისი პიროვნების თავისუფლება და
 მისი მნიშვნელობის გაზიადება. პირ-
 ველყოფლისა ერობა საზოგადოების
 თაოსნობის და ბრძოლის განსა-
 ხიერებაა, იგი ააღვილებს ცხოვ-
 რებას და ხელსაყრელ საარსებო
 პირობებს კვენის. ერობით შეიძლება
 თანამედროვე წყობილების სიმძიმის
 შემსუბუქება, ადგილობრივ კულტუ-
 რის უკითესად განვითარება, მეტი შე-
 მოსავლის უზრუნველყოფა, ხოლო გა-
 სავალის შემცირება. ერობას დიდი
 სარვებლობის მოტანა შეუძლია ქარ-
 თველ მშრომელ ხალხისათვის და სწო-
 რედ ამიტომ, დროა ჩვენი ხალხი
 მტკიცედ დაადგეს თვითმოქმედების
 ამ გზას.

ერობა გვაიძულებს ცხოვრებას პირ-
 ვაპირ შევხედოთ; თვით ჩვენ, სათი-

თაოდ, ცალ-ცალკე და ამავე დროს
 ერთად გამოესჭიროთ აღვილობრივი
 ეროვნული კულტურა, ესე იგი საზო-
 გადო შენობის ავება ძირიდან და
 პირდაპირ შევასრულოთ. ჩვენი ქოხი
 და „ოდა“ მხოლოდ მაშინ გადიდე-
 ბა, განათლება, გასუფთავდება, როცა
 თეითმოშენიდების და თეითმართველო-
 ბის წესებში ჩავაყენებთ ჩვენ თავს,
 ჩვენს საწარმოებ და საცხოვრებელ
 ძალებს, როცა შშრომელი ხალხი გა-
 აწერს გადასიხადს, როცა იგი უკილა
 შწარმოებელს, ქონებას, წარმოებას
 შესაფერიდ მოაქცივს გადასიხადში,
 როცა სოფლის დარიაჯი იქნება არა
 მხოლოდ გლეხი, არამედ აზნაურიც
 და თავადიც, როცა პოლიციაზე ნა-
 კლები დაიხარჯება ხოლო განათლება-
 ზე, კულტურაზე მეტი, როცა მეტრ-
 ნეობა და მრეწველობა საძაგელ სა-
 ქმედ კი არ გამოცხადდება, არამედ
 მას დაეწაფება ნიკიერი და ნასწავლი
 ხალხი, ე. ი. როცა თეითონ ჩვენ მო-
 ვაწყობთ და შევასრულებთ ჩვენი ცხო-
 ვრების რეალური ანიზაციას. ერობა ამი-
 ტომ ჩვენი ალდგენის, ჩვენი განვითა-
 რების, ჩვენი სპეციფიურ კულტურის
 გამტკიცების საშუალებაა, ის წარმო-
 შობს მეტ ალებ-მიცემობას, მეტ გა-
 ჭიობას, მიმოსელას, ხალხის სიძლიე-
 რებს, ფიზიკურ სიყოჩალეს და სულიერ-
 გონებრივ განვითარებას. სახალხო სა-
 ქმეს ემსახურება ერობა, ერობის სა-
 ფუძველი ხალხია და ვიღრე ხალხი
 არ იზრუნვებს ერობაზე, ვიღრე მშრო-
 მელი საზოგადოება თავჯამოდებით არ
 იბრძოლებს მისთვის, მანამდე ერობა
 თეორეტიკული საკრთხი იქნება და არა
 პრაქტიკულ ცხოვრების.

ფრიად სახარებლო საქმეა ერობა,
 სახალხო დაწესებულებაა, ამიტომ ორ-
 მოცი წლის განმავლობაში მას ითხოვს
 ქართველი ინტელიგენცია, მაგრამ არ

იქნა მისი განხორციელება, შემოღება.
 ვგონებ, რომ ორმოცი წლის მაგალი-
 თი ეხლა მაინც უნდა გამოგვადგეს,
 დროი დაურწმუნდეთ, რომ ინტელი-
 გენციას არაფრიის განხორციელება არ
 შეუძლიან, თუ ხალხი არ დაეხმარა
 მას. ინტელიგენცია კერ შექმნის დიდ
 საზოგადოებრივ მოძრაობას, მას უმ-
 თავრესად კაბინეტში ესერხება აზ-
 როვნება და მუშაობა. დღემდე ერო-
 ბის მუშაობა კაბინეტებში სწარმოებ-
 და, აზროვნების სპეციალისტის საგანი
 იყო იგი. ამიერიდან საქართველოს
 ერობის ისტორიის ახალი ხანა უნდა
 შევუქმნათ, ხანა საზოგადოებრივი სი-
 ფხიზლისა, საზოგადოებრივი ბრძო-
 ლისა და შემოქმედებისა. ინტელიგენ-
 ციის ძალა ხალხმა უნდა გამოიყენოს,
 სალი და დადებითი აზრები თავისად
 გაიხადოს და გადაწყვეტით მოითხო-
 ვოს ეროვნული ცხოვრების აღმადგე-
 ნელი საერთო წესს წყობილების გახ-
 მოციელება. ხალხში არის ძალა, სა-
 ზოგადოებრივი ბრძოლა სწყვეტის ყო-
 ველ საკითხს, სხვათა შორის, ერობის
 საკითხსაც და ამიტომ ამ შერივ დიდი
 მუშაობაა საჭირო, მუშაობა ხალხის,
 მუშაობა ერის, ყოველ პროგრესი-
 ულ მიმართულების. პარტიულ სა-
 კითხად კი არ უნდა ვადავაქციო ,
 ერობა, არამედ საერთო, საერთო საქ-
 მედ. დემოკრატია უნდა იყოს ამ საქ-
 მის მესვეური, მხოლოდ დემოკრატიას
 სწამის თავისი ძალა, მხოლოდ ის მიაღ-
 წევს მიზანს და სახალხო საქმეს დაა-
 გვირგვინებს. ჩვენ დიდი იმედი გვაქვს
 დემოკრატიის, ჩვენს იმედს ამტკიცებს
 ისტორია, სხვა ქვეყნების და ერების
 ყოფა-ქცევის მაგალითი. ეს მაგალითე-
 ბი გვწამს და მის საქართველოში გან-
 მეორებას ჩვენ შევნატრიით. ეხლა წერ-
 ტილს ესეამთ აქა იმ ღრმა რწმენით,

რომ ერობის საქმეს ხალხი თავის საქმედ გაიხდის, იმ იმედით, რომ ინტელიგენცია და კულტურული დაწესებულებანი თავის მხრივ შეეცდებიან საერობო საკითხის ფართედ დაყენებას, რომ ხალხი და ინტელიგენცია, ერთ და ეროვნული დაწესებულებანი ტკიცი ხასიათის საზოგადოებრივი ბრძოლის შექმნიან დოდად საჭირო საერობო წეს-წყობილებას.

12

ერობა თუ კოოპერაცია?

ევგენი ტრუბეციონიმ პეტროვრადის ვაჭეთ „ბირუევია ვედომოსტი“ - ში ერობისა და კოოპერაციის ურთიერთობის შესახებ სავანგებო წერილი მოათავსა.

ჩვენშედ ცუდად იმოქმედა ტრუბეციონის წერილმა. საკვირველია სწორედ, ევგენი ტრუბეციონი ეროვნულ საკითხებზედაც ხშირად სწერს წერილებს, თითქოს დაჩატულ ერებსაც იკვავს და „ნაკიონალნია პრობლემი“ - ს თანამშრომლად ითვლება. ჩვენ არა ერთხელ გვითქვამს, რომ რესის ინტელიგენციები გულწრფელად არ თანაუგრძნობენ რესერტის დაჩატულ ერებს და რომ ისინი არა თუ დაბეჩავებულ ერების დამზარე, უბრალო დემოკრატიებიც არ არიან — ამას ტრუბეციონი ამტკიცებს; ეს მწერალი ეროვნულთავისუფლებაზე სწერს, მაგრამ მარტივი რეფორმისა და წეს-წყობილების აწმენა არა აქვს.

ევგ. ტრუბეციონის ეს წერილი გამოიწვია კადეტების მოქმედებამ. კადეტები საერობო რეფორმას მოითხოვენ. ირსებული ერობა უმთავრესად 1890 წლის დებულებებზეა დამყარებული და ეს ისეთი მახინჯი კანონია, რომ შისი შოსპომა ყველას უნდა ახარებდეს. ძველ საერობო კანონის უარ-

ყოფა, წვრილ სახალხო საერთო ერთეულების შექმნა განსაკუთრებით დღეს, ამ თმის დროს, არის საჭირო. აველა პხედავს, თუ რა სარგებლობის მოტანა შეუძლიან ხალხის შემოქმედებითი მუშაობას, მის ნამდვილ მოძრაობას ცხოვრების ყოველ ძნარეში. საოცარია, რომ ეს საამბანო, მარტივი ჭიშმარიტება ისეთ მოაზრესაც ვერ შეუთვისებია, როგორიც ევგენი ტრიპეციონია. როცა ერთობის რეფორმას უარყოფს დაბეჩავებულ ერთა „მოსარჩელე“ — რალა უნდა მოგსოხოვოთ მაკლაკოვებს, ყოფილ მინისტრს, რომელიც დემოკრატიულ ხასიათის პრეზენტიასაც არ აცხადებენ!

ეინც ევგენი ტრიუბეცკოის იცნობს — გაუკვირდება: ნუ თუ დემოკრატიულ მართველობის მოსარჩელე, — კადეტების ლიბერალურ საერთო პროექტს უარყოფსო? და მართლაც, თეორეტიულიც ევგენი ტრიუბეცკოი დიდი დემოკრატია, ამ შემთხვევაშიც დემოკრატიულ პანგს არ უარყოფს იგი, და თუ საერთო რეფორმებს ეხლა ეწინააღმდეგება — იმიტომ, რომ მის მავიერ საკონკრეტოცით მოძრაობას აყენებს. აქ უნდა შევნიშნოთ შემდეგი: მდგ. ტრიუბეცკოის ან სრულიად არაფერი გაეცემა საკონკრეტოცით მოძრაობის, მოძლევების, ან ერთობასაც და კონკრეტისაც სუსტად იცნობს.

ტრიუბეცკოის მოებსენება, რომ 1900 წლიდან რესეტში ძლიერ მოიკიდა ფეხი სასოფლო ერთობის აზრია. 1904 — 1905 წლებში სასოფლო ერთობის სასტიკი შოწინააღმდეგენიც შედრუნენ და აღიარეს მისი სიმართლე, საჭიროება. ტრიუბეცკოის აზროვნების დამხასიათებელია, რომ ის პოპულიარულ აზროვნებას მუდამ ემხრობა, ის თანაუგრძნობდა სასოფლო ერთობის

აზრს, მაგრამ ეხლა ახალი მიმართულებაა შოწონებული — საკოოპერაციო ჰოდროობა. ევგენი ტრუბეკულიც გარე-ცებულია ამ მიმართულებით და სრულიად არ უკვირდება შემდეგ გარე-მოებას: შეუძლიან თუ არა ქრობას კოოპერაციის ფუნქციების შესრულება, ან პირიქით, კოოპერაცია გასწივეს თუ არა ერობის მაგიდრობას? ტრუბეკულის ფიქრით ერობა სრულიადაც აღარ არის საინტერესო, გინაიდან ერობის ყოველ საქმეს კოოპერაცია ასრულებს, ან შეასრულებსო. სწორედ ამ მოსაზრებით ეწინააღმდეგება ის საერთო ჩეფორმებს, უკეთ — საერთო მოლგა-წეობას. ტრუბეკულის შეხედულობა ელემენტარულ კრიტიკას ვერ უძლებს: არც ისტორიულად, არც ანალოგიურად, არც კონკრეტულად. ერობა გაცილებით ძლიერ ვითარდება ვიდრე კოოპერაცია, ძნელია ერობის-ფართე შნიშვნელობით — სათავეს დასახელება. ყოველ დროსა უა პირობებში სოფელი თუ თემი საჭიროებდა ასეთ თუ ისეთ შართველობას, რომელსაც მხო-ლიდ თეთი თემის ხალხი დააქმაყოფი-ლებდა. კოოპერაცია კი ნაყოფ-ა კა-პიტალისტური კულტურის და სულ სხვა მხრივ ეხება ხალხის ცხოვრებას — ვიდრე ერობა. კოოპერაციის აღორ-ძინებამდე ერობა ასრულებდა იმ საქ-მეებს, რომელიც კოოპერაციამ უნდა გააკეთოს. ერობა იწყობდა სასოფლო-სამეურნეო იარაღების საწყობს, ერო-ბა ვაჭრობდა, მრეწველობას ეწეოდა, ხშირად სახელოსნოებს ხსნიდა. იუარე-ბელ საქმეს ასრულებდა, რომელიც კოოპერაციას უნდა გამკეთებინა, მაგ-რამ ერობის ასეთ მოლგაწეობას სათა-ნადო ობიექტიური საფუძველი აქვს: ერობის ხელში ნაკლებად იყო ისეთი საქმეები, რომელიც შან სპეციალურიდ უნდა გააკეთოს, ხოლო საკოოპერაციო საქმეები ისე შარტივი, სადა იყო, რომ

მისი შესრულება ერობასაც ადვილად
 შეეძლო. ერთი სიტყვით, ცხოვრება არ
 იყო განვითარებული, რომ შრომის
 საზრიანი განაწილება განხორციელე-
 ბულიყო. თანამედროვე ცხოვრებაში
 არც ერობა ზედმეტი და არც კომპე-
 რაცია. ევროპაში კომპერაცია სოფ-
 ლისა და ქალაქის თეითმაჩოველობე-
 ბის, მუნიციპალიტეტების გვერდით
 განვითარდა, განტკიცდა. ცხადია,
 შეუძლებელია ერთ რომელიმე მოვლე-
 ნის მოსპობა. ერობასაც და კომპერა-
 ციისაც საკუთარი საჭმე აქვს. პირ-
 ველს უმოავრესად საადმინისტრაციო,
 მეორეს—საეკონომიო. ერთშა საკომპე-
 რაციო საქმეებზე ხელი უნდა აიღოს,
 მეორემ—საადმინისტრაციოზე. მაგრამ
 ბუნებრივი განწყობილება რომ დაწ-
 ყარდეს ამისათვის ძირითადი კანონის
 განხორციელებაა საჭირო: უნდა ვა-
 ფართოვდეს როგორც ერობის ფუნქ-
 ციები, ისე—კომპერაციის. ერთი სიტ-
 ყვით, საერობო და საკომპერაციო რე-
 ფორმებია საჭირო, სწორედ ის, რასაც
 მკვენი ტრუბეციო უარყოფს.

ამ ეამად ერობისა და კომპერაციის
 ურთი-ერთობა არ არის წესიერი,
 გამორკვეული, ჩამოყალიბებული. რა კი
 ორივე დაწყესებულება ხშირად ერთსა-
 და იმავე საქმეს აკეთებს, ამიტომ მათ
 შორის ხშირად იბადება ბრძოლა, წი-
 ნააღმდეგობა, შულლი. „ვესტნიკ კო-
 მპერაციი“-ს მაისის ნომერში ბ. ვ. ბ.
 შიძანოვსკი კიდევც აღნუსხავს ბრძო-
 ლისა და მეტოქეობის განვითარებას
 ერობასა და კომპერაციის შორის. ეს,
 რა თქმა უნდა, ძლიერ მავნებელია სა-
 ზოგადოებრივ სალთა განვითარებისა-
 თვის. ცხადია რად ხდება ასე: ერობა
 შევიწროებულ ფარგალშია მომწყვდე-
 ული, მისთვის უფრო თავისუფალია ის
 ასპარეზი, რომელზედაც ფეხი მოიკიდა
 კომპერაციამ. ეხლა მთავრობის მოვა-
 ლეობაა ასეთი განწყობილება მოსპობ,

ცხოვრების პირობები გააუმჯობესოს,
 გაშალოს, საზოგადოებრივ მოღვაწეო-
 ბას ხელი შეუწყოს. თანამედროვე
 ცხოვრება გართულებულია და სეუცი-
 ლური ხასიათის შემოქმედებაა საჭი-
 რო. შრომისა და წარმოების ინტენ-
 სიტიკაციაა სასურველი და ამიტომ
 აუცილებელია ერობის სფეროში ბო-
 რის ვესელოვანის პროვოკაცის განხორ-
 ციელება: ერთბას უნდა გადაეცეს
 სრული მართველობა, ერობა სახელმ-
 წიფოებრივ დაწესებულებად იქცეს
 და ამნაირად, ერობასა და კოოპერა-
 ციას შორის სამოღვაწეო ფუნქციები
 გაირკვეს, გაიმოჯნოს.

ერობასა და კოოპერაციის შორის
 სამეტოქო პირობების მოსპობაა სა-
 ჭირო. ისეთი წესიერი მდგომარეობა
 უნდა შეიქმნეს, რომ მტრობის, შულ-
 ლის, ქიმპობის ალაგას ალმოცენდეს
 სრული თანხმობა, ნამდვილი თანა-
 მშრომლობა. არსებითად ერობა და
 კოოპერაცია ერთ ღმერთს ემსახურე-
 ბა: —ხალხს. მხოლოდ სხვა და სხვა
 მხრივ, სხვა და სხვა საშუალებით. სა-
 ჭიროა ამ ძალთა შორის სრული, გულ-
 წრფელი თანხმობის, თანამშრომლო-
 ბის განმტკიცება და არა რომელიმე
 მათგანის მოსპობა. ერობა და კოოპე-
 რაცია თანამედროვე ცხოვრების აუ-
 კილებელი თანამგზავრია, ორივე ისი-
 ნი ძლიერ არის საჭირო, მაგრამ მათი
 ნაყოფიერობა, მათი განვითარება ძი-
 რითად რეფორმებზეა დამკიდებული.
 ყოველი მოქალაქე უნდა ცდილობდეს
 ხელი შეუწყოს საერთობო და საკოოპე-
 რაციონ რეფორმებს. საზოგადო ცხოვ-
 რებას აწესრიგებს ერობა და კოოპე-
 რაცია. იმიტომ, საერთობო და საკოოპე-
 რაციონ დაწესებულებებში საზოგადოე-
 ბა, ხალხი, უნდა იქმნას გამეფებული,
 გაბატონებული. რეფორმებიც სწორედ
 ამ მხრივ უნდა განახორციელონ, რომ
 ხალხმა შიომოს, რის მიღებაც ასეთ
 დაწესებულებებისაგან შეიძლება.

